საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№43 (419)
22 - 28 ნოემბერი, 2017
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



## დისნეის სტუდიის მიერ გადაღებულ სერიალში 19 პირველად გამოჩნდა ქართველი გეიპერსონაჟი



## «ნულოვანი ტოლერანტობის» იდეოლოგს 2 «ტოლერანტობის ქომაგის» სიგელი გადაეცა

«გიგა ბოკერია არის ჩვეულებრივი პოლიტიკური ნაძირალა და საზოგადოების დაცინვაა, როცა ასეთ ნაძირალას, გასამართლების ნაცვლად, რაღაც წოდებებს ანიჭებენ»




## ლატენტური მიუმადიდებლები 6 და კოაბიტაციის ფარული ხიბლი

## 7 «ავღანეთში იმისთვის ვომობთ, რომ ქართული პროდუქცია ამერიკულ ბაზარზე სომხურმა კომპანიებმა შეიტანონ?»







არ გეგონოთ, ამერიკა გამონაკლისია. იგივე ხდება ევროპის ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, ავსტრიაში, სადაც „ბორჯომს“ არა მხოლოდ აწერია, რომ სომხურია, არამედ სომხური წარწერებიც ამშვენებს. სომხურად საღდება ქართული სულგუნი, აჯიკა, „ნაბეღლავი“ და „საფერავი“.

## რა ბედი ელის ლარს, რომელიც 3 «სიცივეში ვარდება» და «ფუნდამენტიდან გადახრილია»?



## ვინ ყიდულობს უკრაინას 16 და რა ელის საქართველოს?

მსოფლიო ბანკი უკრაინას სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვაზე გამოცხადებული მორატორიუმის გაუქმებას აიძულებს და ქვეყანას, რომლის ვალმაც უცხოელი პარტნიორების მიმართ მშპ-ს 94 %-ს მიაღწია, სწორედ უცხოელებისთვის მოუწევს შავმიწანიადაგიანი მიწის მიყიდვა.

## «ქვანია იდგა ბუხართან, კარისკენ ზურგით და, რომ შემობრუნდა, ხელები უცახცახებდა, ის ტიროდა» 8

## უკრაინა შოკშია: იტალიაში აჩვენეს ფილმი, რომელშიც სნაიპერები აღიარებენ, რომ მაიდანზე ადამიანებს კლავდნენ 11

## ილჰამ ალიევი იმუქრება, რომ აზერბაიჯანი დატოვებს 11 ევროპის საბჭოს



## პატარა სათამაშო 5 დიდი მოთამაშეების ხელში

«საქართველო, როგორც ამერიკულ ჩიზბურგერში ყველი, ისე აღმოჩნდება თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ჩაფენილი»



ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გიგა ბოკერია სააკაშვილის ხელისუფლების რუხ კარდინალად რომ მიიჩნეოდა, არახალია და მის სახელს დანაშაულებრივი რეჟიმის არაერთი ბრალდება უკავშირდება. ბოკერია დღესაც ცინიკურად აცხადებს, რომ ვარდებით მოსული ხელისუფლების მიერ გაცხადებული პოლიტიკა „ნულოვანი ტოლერანტობის“ შესახებ სწორი გადაწყვეტილება იყო. დიახ, „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკა „ყველანი ციხეში“ თურმე სწორი მიდგომა ყოფილა. სწორედ ნულოვანი ტოლერანტობა გახდა საფუძველი სააკაშვილის რეჟიმის სისასტიკისა, საფუძველი შეკერილი საქმეებით ადამიანების ციხეში გამოკეტვისა და ხშირად მათი სადისტურად წამებისა.

# «ნულოვანი ტოლერანტობის» ერთ-ერთ ავტორს «ტოლერანტობის ქომაგის» სიგელი გადაეცა

**სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა და ეთნიკურმა საბჭოებმა საქართველოში ტოლერანტობის კულტურის განვითარებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისთვის რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძესა და „ევროპული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე გიგა ბოკერიას „ტოლერანტობის ქომაგის“ წოდება მიანიჭა.**






„ეს ადამიანები გამოირჩევიან თავიანთი გამბედაობითა და ტოლერანტობის ერთგულებით“, — განაცხადა ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსმა **რუსუდან გოცირიძემ. ბოკერიასა** და **სამნიძის** გარდა, რელიგიათა და ეთნიკური საბჭოების ტოლერანტობის ქომაგის სიგელი გადაეცათ მწერლებს: **გურამ ოდიშარიასა** და **ლაშა ბუღაძეს,** აგრეთვე, ტელეკომპანია **„რუსთავი 2“**-ს, გაზეთ **„გურჯისტანსა“** და **მშვიდობისა და დემოკრატიის განვითარების კავკასიურ უნივერსიტეტს.**

„პასუხისმგებლობა საზოგადოების ყველა წევრს გვაქვს თავისუფლების დაცვის საკითხებში, მაგრამ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვაქვს იმ ხალხს, ვინც პოლიტიკაში ვართ, ვისი მოვალეობაც არის სხვისი თავისუფლების დაცვა. ჩვენმა ქვეყანამ წლების განმავლობაში წინ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ ჩვენ არ ვართ იქ, სადაც უნდა ვიყოთ და ეს, პირველ რიგში, არის ჩვენი, პოლიტიკოსების, ბრალი; მათი, ვისი მოვალეობაც იყო აქ მეტი პროგრესის მიღწევა. თავისუფლებას ჰყავს ღია მტრები, ჩვენ მათ ვხედავთ ყოველდღე, მაგრამ ზოგჯერ ღია მტრებზე უფრო მეტი საფრთხე არიან ადამიანები, ვინც გულგრილობას იჩენს იმის მიმართ, ვინც კარს ულებს თავისუფლების მტრებს, ვინც საკმარისს არ აკეთებს თავისუფლების მტრების წინააღმდეგ და სწორედ ამას ვგულისხმობ, როცა ვლაპარაკობ ჩვენს, ჩემს პასუხისმგებლობაზე მთელი ამ წლების განმავლობაშიც და დღესაც. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თქვენნაირი ხალხის წყალობით ჩვენ ამ ქვეყანაში აუცილებლად დავამარცხებთ სიძულვილსაც და გულგრილობასაც“, — მიმართა ბოკერიამ რელიგიათა საბჭოს.

**„თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გიგა ბოკერია სააკაშვილის ხელისუფლების რუხ კარდინალად რომ მიიჩნეოდა, არახალია და მის სახელს დანაშაულებრივი რეჟიმის არაერთი ბრალდება უკავშირდება. ბოკერია დღესაც ცინიკურად აცხადებს, რომ ვარდებით მოსული ხელისუფლების მიერ გაცხადებული პოლიტიკა „ნულოვანი ტოლერანტობის“ შესახებ სწორი გადაწყვეტილება იყო. დიახ, „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკა „ყველანი ციხეში“ თურმე სწორი მიდგომა ყოფილა. სწორედ ნულოვანი ტოლერანტობა გახდა საფუძველი სააკაშვილის რეჟიმის სისასტიკისა, საფუძველი შეკერილი საქმეებით**

### «ოთახში ბნელოდა, თვალი მქონდა ახვეული, მაგრამ კარგად გავარჩიე, ვინ მონაწილეობდა ჩემს წამებაში. ისინი იყვნენ: გიგა ბოკერია, ზურაბ ადეიშვილი, გოგა გრიგალაშვილი და სხვები... გიგა ბოკერია იყო ის ადამიანი, რომელსაც გააჩნდა დასაჭერი ხალხის სია. სიას ადეიშვილთან ერთად განიხილავდნენ და ის გოგო-ბიჭები — კალმახელიძეები და ახალაიები — ამ მზაკვრულ გეგმას პიონერებივით ასრულებდნენ»

**ადამიანების ციხეში გამოკეტვისა და ხშირად მათი სადისტურად წამებისა.** მიუხედავად იმისა, რომ ბოკერიას მიმართ კონკრეტული ბრალდებები კონკრეტული პირების მიერ არაერთხელ გაისმა, ის დღესაც აქტიურ პოლიტიკაშია და მეტიც, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნისას მან „ტოლერანტობის სიგელიც“ კი დაიმსახურა.

„საქართველო და მსოფლიო“ ბოკერიას მიმართ გამოთქმულ რამდენიმე ბრალდებაზე კიდევ ერთხელ შეაჩერებს თქვენს ყურადღებას.

*** ერთ-ერთი პოლიტპატიმარი,** რომელიც სააკაშვილის რეჟიმის პატიმარი იყო, ჯერ კიდევ წლების წინათ ამბობდა: **„ალბათ, ეს იქნება გამოძიების საგანი. ე.წ. ციხის ბუნტის საქმე, მე ციხეში ვიყავი და არავითარ ბუნტს არ ჰქონია ადგილი და ამას ჰქონდა ერთადერთი მიზანი, რომ საზოგადებაში შიში დაენერგათ, ამის ერთ-ერთი მოთავე იყო ბატონი გიგა ბოკერია, ის შტაბს უშუალოდ ხელმძღვანელობდა და მისი** ▶

## ენძელა მაჭავარიანი:

# ამ კომიტეტებში, პარლამენტში რა არის ასეთი მძიმე სამუშაო...



**„პარლამენტარის ხელფასის გარდა, სხვა შემოსავალი არ მაქვს. არ ვწუწუნებ, ამაზეც გმადლობ, უფალო, მაგრამ GDS-ში ჩემი ანაზღაურება მნიშვნელოვნად მეტი იყო და ჩემი კრედიტის ამ შემოსავალზე მორგება ცოტა გამიჭირდა“, — ეს ფრაზა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ სახეს, პარლამენტარ ენძელა მაჭავარიანს ეკუთვნის, რომელიც უკბილო ხუმრობით, არაკორექტული თუ არაკომპეტენტური გამონათქვამებით არაერთხელ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში.**

ქალბატონი ენძელა მაჭავარიანი მედიის ინტერესის ობიექტი ამჟამად იმ განცხადების გამო გახდა, რომლითაც რიგითი დეპუტატის ხელფასისა და რანგის კომიტეტის თავმჯდომარის რანგთან და შემოსავალთან გათანაბრების ინიციატივით გამოვიდა და იქვე გაკვირვებულმა იკითხა: **„აი, ამ კომიტეტებში, პარლამენტში რა არის ასეთი მძიმე სამუშაო, რომ ერთით და ხუთით განსხვავდება რიგითი დეპუტატისა და პარლამენტის თავმჯდომარის კოეფიციენტი, ანუ ჩვეულებრივ დეპუტატსა და კომიტეტის თავმჯდომარეს შორის ერთით და ხუთით რატომ უნდა იყოს განსხვავება, მით უმეტეს ამ თანამდებობისთვის კიდევ აქვს უამრავი უპირატესობა, რაღაცით გავათანაბროთ“.**

რიგითი დეპუტატის ხელფასის მომატება სურს „ქართული ოცნების“ დეპუტატს და ამბობს, განა რა არის კომიტეტებში ისეთი მძიმე სამუშაოო. **მძიმე სამუშაო რომ არაფერია და საკუთარი ამომრჩევლის ინტერესების დასაცავად დიდად თავს რომ არ იწუხებენ კანონმდებლები, ფაქტია, მაგრამ, ქალბატონ ენძელას აზრით, ხელფასის მომატების საკითხი მაინც უნდა გადაიხედოს თურმე და ეს მაშინ, როდესაც საქართველოში დაახლოებით 900 ათასი ადამიანი სოციალურად დაუცველია, როდესაც საარსებო მინიმუმი, „საქსტატის“ ბოლო მონაცემით, 174 ლარია, ხოლო პენსია — 180 ლარი.**

„აი, პარლამენტის წევრისა და კომიტეტის თავმჯდომარეების, ანუ პარლამენტის წევრების მდგომარეობას მინდა მივაქციო ყურადღება. პარლამენტის წევრი ხალხის მიერ არის არჩეული, ხოლო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, როგორიც მე ვარ, კომიტეტის თავმჯდომარე არჩეულია მაქსიმუმ 20 ადამიანის მიერ. მე მინდა ვთქვა ასეთი რამ: პარლამენტარის, როგორც ხელფასი, ასევე რანგი, დაახლოებით უნდა იყოს ისეთი, როგორიც არის კომიტეტის თავმჯდომარის. რას ვამბობ, იცით, ერთზე მეტი კოეფიციენტი არ უნდა იყოს სხვაობა. მთავრობაში პრემიერმინისტრი ხომ არის და მერე — ვიცეპრემიერები. ვიცეპრემიერები საერთოდ არ განსხვავდებიან, მათ შორის რანგირება არ არის. სახელმწიფო მინისტრსაც კი, რომელიც უპორტფელო მინისტრად ითვლება, იგივე ანაზღაურება აქვს, რაც შს მინისტრს“, — განაცხადა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ენძელა მაჭავარიანმა.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, **პარლამენტის წევრის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) თანამდებობრივი** ▶

**ვიდრე ლარი ფუნდამენტიდან ჯერ ისევ დავარდნილ-გადახრილია, „ფეისბუქში“ რიგითი მოქალაქეები ქილიკობენ და ლარის გამოსალოც ლოცვასავრცელებენ. საქართველოს ხელისუფლებას კი, რომელიც უუნაროა ამ პრობლემის გადაჭრაში, ისღა დარჩენია, დილა-საღამოს მაინც გამოულოცოს „სიცივისგან“ რეკორდულად დაცემულ ლარს.**

ახალი გლობუსი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შეგულიანებით მიიღო ამ პროცესმა ასეთი ხასიათი“.**

* ციხეში ყოფნისას და მას შემდეგაც კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე **სულხან მოლაშვილი** დაუფარავად საუბრობდა მასზე განხორციელებულ ძალადობაზე და ამაში იგი სხვა პირებთან ერთად „ტოლერანტობის ქომაგ“ ბოკერიასაც ადანაშაულებდა: **„ოთახში ბნელოდა, თვალი მქონდა ახვეული, მაგრამ კარგად გავარჩიე, ვინ მონაწილეობდა ჩემს წამებაში. ისინი იყვნენ: გიგა ბოკერია, ზურაბ ადეიშვილი, გოგა გრიგალაშვილი და სხვები... გიგა ბოკერია იყო ის ადამიანი, რომელსაც გააჩნდა დასაჭერი ხალხის სია. სიას ადეიშვილთან ერთად განიხილავდნენ და ის გოგო-ბიჭები — კალმახელიძეები და ახალაიები ამ მზაკვრულ გეგმას პიონერებივით არულებდნენ“,** — ამბობდა სულხან მოლაშვილი.

* ერთ-ერთ ინტერვიუში მამა **ბასილ მკალავიშვილი** მასთან მისული სპეცრაზმელის ნაამბობს იხსენებს: **„როგორც მიამბო, გიგა ბოკერიას მიერ გამოგზავნილმა პიროვნებამ ბუნტის დროს რკინის ხელკეტი მისცა ხელში, რომელიც არეულობის დროს სულხან მოლაშვილისთვის და ჩემთვის კეფაში უნდა ჩაერტყა და მოვეკალით...“**

* სანდრო გირგვლიანის საქმეზე მოწმის სტატუსით დაკითხულმა **ნინო ბურჯანაძემ** სასამართლოზე განაცხადა, რომ **გიგი უგულავა, გიგა ბოკერია, კახა ლომაია და ნიკა რურუა სააკაშვილს არწმუნებდნენ, რომ გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე დაკავებული პირების დასჯის შემთხვევაში სახელმწიფო სისტემა ჩამოიშლებოდა და რომ ახალაიას დასჯის კატეგორიული წინააღმდეგი გიგა ბოკერია იყო.**

რადიკალური იყო ტოლერანტობის ქომაგი ბოკერია 7 ნოემბერს თუ 26 მაისს დარბეული მომიტინგეების წინააღმდეგაც. როგორც მაშინვე ითქვა, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის საქმეშიც დიდია ბოკერიას წვლილი.

მოკლედ, ეს საკმაოდ ტევადი და, ამასთანავე, მცირე ჩამონათვალია იმ საქმეებისა, რომლებშიც გიგა ბოკერიას სახელი, სულ მცირე, არასასურველ კონტექსტშია მოხსენიებული, თუმცა როგორც ხედავთ, ყოველივე ამას ხელი არ შეუშლია სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთვის, „ტოლერანტობის ქომაგის“ სიგელი გადაეცა სააკაშვილის რეჟიმის რუხ კარდინალად წოდებულ გიგა ბოკერიასთვის, რაც კოჰაბიტაციის შედეგის მორიგი ტოლერანტული გამოვლინებაა...

**P.S. „კავკასიური სახლის“ გამგეობის თავმჯდომარემ, მწერალმა ნაირა გელაშვილმა სახალხო დამცველს დაუბრუნა რამდენიმე წლის წინათ მიღებული ჯილდო ტოლერანტობის კულტურის განვითარებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისთვის. ნაირა გელაშვილის თქმით, გადაწყვეტილების მიზეზი არის ის, რომ „ტოლერანტობის ქომაგის“ ჯილდო გიგა ბოკერიას და ნიკა გვარამიასაც გადაეცა. „ტოლერანტობის ქომაგის“ წოდება მიანიჭეს ბოროტმოქმედებს, კრიმინალურ სუბიექტებსა და სისხლის სამართლის დამნაშავეებს, რომლებიც, წესით, ციხეში უნდა ისხდნენ და იმიტომ არიან გარეთ, რომ ქვეყანას არ აღმოაჩნდა ძალა, აღესრულებინა მართლმსაჯულება. ეს ჯილდო სრულიად დამსახურებისამებრ მოგვანიჭეს და ის ჩვენთვის ძვირფასი იყო, მაგრამ ახლა ის გიგა ბოკერიას, გვარამიას, „რუსთავის 2“-ს გადაეცა, მათ, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ხალხის დარბევაში, გაუბედურებასა და წამებაში. ამ ჯილდომ უკვე თავისი თავი თვითონ გადახაზა და გააბათილა“, — განაცხადა ნაირა გელაშვილმა და დასძინა, რომ „კავკასიურმა სახლმა“ ჯილდო იმისთვის მიიღო, რომ „დასაცავებს იცავდა“.**

**სარგოსა და სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხისგან შედგება. პარლამენტის ყველა წევრის თანამდებობრივი სარგო 2 000 ლარს შეადგენს. სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხის ოდენობა პარლამენტის წევრის თანამდებობაზეა დამოკიდებული და 1 790 ლარიდან 3 905 ლარამდე მერყეობს, ანუ, საერთო ჯამში, საქართველოს პარლამენტის წევრის მინიმალური სარგო 3 790 ლარს შეადგენს. სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისთვის ყოველთვიური სახელფასო დანამატი ასე განისაზღვრება: პარლამეტის თავმჯდომარე — 3905 ლარი, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე 3570 ლარი, პარლამეტის თავმჯდომარის მოადგილე — 3505 ლარი, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერები, კომიტეტის თავმჯდომარეები — 2705 ლარი, ფრაქციის თავმჯდომარე — 2635 ლარი, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების თავმჯდომარე — 2105 ლარი, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერების მოადგილეები, კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეები — 1970 ლარი, ხოლო კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების მოადგილეები — 1905 ლარი.** ამ მონაცემების გათვალისწინებით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ენძელა მაჭავარიანის ყოველთვიური შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) 3905 ლარს შეადგენს (2000 + 1905 = 3905) და ეს თანხა — 3905 ლარი(!) ეცოტავება ქალბატონ პარლამენტარს. სანამ დეპუტატები ხელფასის მომატებაზე ისაუბრებენ, ჯერ საკუთარი უფლებამოსილების შესრულება დაიწყონ, სულ მცირე, სხდომებზე მაინც იარონ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ წლიდან წლამდე ამომრჩევლების პრობლემებზე კრინტსაც არ ძრავენ საკანონმდებლო ორგანოში. მართალია, მათი დუმილი ოქრო არ არის, მაგრამ „ხშირად თქმითაც რომ დაშავდების“, ენძელა მაჭავარიანის ბოლო გამოსვლაც ადასტურებს ამას.

# რა ბედი ელის ლარს, რომელიც «სიცივეში ვარდება» და «ფუნდამენტიდან გადახრილია»?

## ქუმსიშვილი ლარის კურსზე პროგნოზს ვერ და არ აკეთებს, მაგრამ პარლამენტის ტრიბუნიდან ამაყად საუბრობს იმაზე, როგორ აჟრიალებდა ბლუჯა ლარის დანახვაზე. დოლარის მიმართ ლარი, კარგა ხანია, ბლუჯაზე მეტია და ვიცეპრემიერის ჟრიალის ამპლიტუდის მატებაც აშკარად აისახება მის კომენტარზე




**ორ წელიწადზე მეტია, რაც ეროვნულმა ვალუტამ გაუფასურება დაიწყო. მოსახლეობას პროდუქტების გაძვირება და ხელისუფლებისა თუ საბანკო სექტორის წარმომადგენლების არაკომპეტენტური, არასაიმედო განცხადებები შიშის ზარს სცემს. თუკი თავის დროზე ლარის კურსის დაცემას იმჟამინდელმა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა „პატარა შოკუნია“ უწოდა, დღეს ლარის გაუფასურება ძალიან დიდ შოკად და თავსატეხად იქცა მოსახლეობისთვის.**

ლარის კურსს განიხილავენ სოციალურ ქსელებში, ტრანსპორტში, სამზარეულოში, ქუჩაში. მსჯელობენ პოლიტიკოსები და ექსპერტები, მაგრამ გამოსავალი არ ჩანს. ერთადერთი, ვინც ლარისთვის ძველი დიდების დაბრუნებას გვპირდება, არის საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **რომან გოცირიძე**. „მომეცით ექვსი თვე და დაგიბრუნდებათ ძველი ლარი! არარეალისტურია? გეთანხმებით. რეალისტური ისაა, რასაც ვხედავთ“, – წერს „ალ კუპონედ“ წოდებული რეფორმატორი სოციალურ ქსელში. არარეალისტურია? — სულაც არა, გავიხსენოთ გასული საუკუნის 90-იან წლებში კუპონის გაკუპონებაში გოცირიძის როლი და მილიონერობაც გარანტირებული გვაქვს. მართალია, ამჟამად „კუპონას“ ლარის დაცემა-გამყარებასთან არაფერი აკავშირებს, მაგრამ აშკარაა, არც ხელისუფლებას აქვს წარმოდგენა, როგორ გამოიყვანოს ქვეყანა ამ კრიზისული ვითარებიდან.

„კიდევ ერთხელ ვიტყვი: პროგნოზს არ და ვერ გავაკეთებ, ეს არის მცურავი კურსი. ანალიზი ყოველდღიურად კეთდება. რასაც ვუყურებთ, არის ის, რომ საკმაოდ ბევრი ფორვარდული გარიგება დაიდო ბაზარზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ იანვრის დასაწყისიდან ვალუტაზე მოთხოვნა უნდა დაგვაკლდეს. რასაც ჩვენ ვუყურებთ, გამყიდველების მიმართულებით გარკვეული ინვესტორების აქტივობა უნდა გამოჩნდეს უახლოეს მომავალში. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ყველანაირი პროგნოზისგან თავს შევიკავებ. აქვე ვიტყვი, რომ ეროვნული ბანკის განცხადება იყო მნიშვნელოვანი, რომელიც გუშინ დილით გაკეთდა. ეროვნულმა ბანკმა გააკეთა განცხადება, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ბანკი მის ხელთ არსებული ინსტრუმენტების გამოყენებით მოახდენს ბაზარზე გავლენას იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაინახავენ, რომ ფუნდამენტიდან უკვე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არის გადახრილი ლარის კურსი“, — განაცხადა პირველმა ვიცეპრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ლარის კურსზე დასმული კითხვის პასუხად.

**ქუმსიშვილი ლარის კურსზე პროგნოზს ვერ და არ აკეთებს, მაგრამ პარლამენტის ტრიბუნიდან ამაყად საუბრობს იმაზე, როგორ აჟრიალებდა ბლუჯა ლარის დანახვაზე. დოლარის მიმართ ლარი, კარგა ხანია, ბლუჯაზე მეტია და ვიცეპრემიერის ჟრიალის ამპლიტუდის მატებაც აშკარად აისახება მის კომენტარზე.**

ასეთივე „სიბრძნით“ არის დატვირთული სოფლის მეურნეობის მინისტრ **ლევან დავითაშვილის** კომენტარი ლარის კურსზე. დავითაშვილმა საზოგადოება ასე დაამშვიდა: **„ლარის გაუფასურება ფასებთან პირდაპირ ბმაში არ არის. ინფლაციის ტემპის კონტროლს ახორციელებს ეროვნული ბანკი, ინფლაციური კუთხით ჩვენ არ გვაქვს საგანგაშო მდგომარეობა. ამ შემთხვევაში არ შეინიშნება ფასების ზრდა“.**

ლარის უმწეო მდგომარეობა ორიგანალურად ახსნა BGEO ჯგუფის ხელმძღვანელმა **ირაკლი გილაურმა**, რომელიც „საქართველოს ბანკის“ ყოფილი გენერალური დირექტორი და სააკაშვილის პრემიერმინისტრ **ნიკა გილაურის** ძმაა. მან ლარის კურსის დაცემა აცივებას დააბრალა. მისი თქმით, აცივებასთან ერთად, როდესაც გაზის იმპორტი იზრდება, ჩნდება მოლოდინი, რომ ლარის კურსი დავარდება და სწორედ ამ მოლოდინიდან გამომდინარე ბაზრის მოთამაშეები ყიდულობენ დოლარს.

„ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, მარტის ჩათვლით გაზის იმპორტი ხდება საქართველოში და ყველა სპეკულირებს იმას, რომ კურსი დავარდება. ამ დროს მოლოდინები იქმნება, რომ კურსი დავარდება, იმიტომ რომ ცივდება და კურსი ვარდება, ანუ, როცა შემცივდება დავარდება კურსი ხოლმე. ძალიან ბუნებრივი მოვლენაა, ახალი არაფერია, თავისუფალ ეკონომიკაში ასე ხდება. მოლოდინებიდან გამომდინარე, ბაზრის მოთამაშეები ფიქრობენ, რომ კურსი დავარდება და ამიტომ ყიდულობენ დოლარს“, — განაცხადა ირაკლი გილაურმა.

ვიდრე ლარი ფუნდამეტიდან ჯერ ისევ დავარდნილ-გადახრილია, „ფეისბუქში“ რიგითი მოქალაქეები ქილიკობენ და ლარის გამოსალოც ლოცვას ავრცელებენ. საქართველოს ხელისუფლებას კი, რომელიც უუნაროა ამ პრობლემის გადაჭრაში, ისღა დარჩენია, დილა-საღამოს მაინც გამოულოცოს „სიცივისგან“ რეკორდულად დაცემულ ლარს:

**„ძალა მზის და მთვარისა
შელოცვა ვთქვათ ლარისა.
ლარო, ჩადექ საფულესა,
ხზოს შეგწირავთ საფურესა.
გაიმყარე თავად კურსი,
ლახვარს ნუღარ
ჩაგვცემ გულში.
ლარო გამყარდი, გამყარდი,
რას მისდევ მწვანე
დოლარსა.
გაჩერდი, გიჟად არ იქცე,
დაგიწყებთ ქვების
სროლასა.
ძალა მზისა და მთვარისა,
სიმყარე ვთქვათ ლარისა“.**

**ირაკლი გილაურმა ლარის კურსის დაცემა აცივებას დააბრალა. მისი თქმით, აცივებასთან ერთად, როდესაც გაზის იმპორტი იზრდება, ჩნდება მოლოდინი, რომ ლარის კურსი დავარდება და სწორედ ამ მოლოდინიდან გამომდინარე ბაზრის მოთამაშეები ყიდულობენ დოლარს**

გვერდები მოამზადა ნიკა გელაშვილმა

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ბიძინა ივანიშვილის მიერ გატარებული პოლიტიკა (მათ შორის, საკადრო) საზოგადოებისთვის სულ უფრო გაუმჭვირვალი ხდება. მის უდიდეს ნაწილს არ ესმის, რატომ, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით აწინაურებენ ან ხსნიან ამა თუ იმ პერსონას, არაფერი იცის ლობისტურ თუ ნათესაურ ინტრიგებზე „შუშის სასახლეში“, ვერ გაუგია, რა წესებით მიდის თამაში და როგორ მუშაობს სოციალური ლიფტი ზედა სართულებზე. ეს ბუნებრივად ზრდის გაღიზიანებას და ხელისუფლების შეცვლის სურვილს, მითუმეტეს, რომ მისთვის დამახასიათებელი ნეპოტიზმი და კლანურობა XXI საუკუნეში ფრიად უადგილოდ გამოიყურება.**

# რას შეცვლის შესაკრებთა გადანაცვლება?

**მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურასა და პერსონალურ შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. კარგია მომხდარი, ცუდი თუ არაფრისმომცემი, ამაზე საზოგადოებაში აზრთა სხვაობაა.**

ერთი შეხედვით, ოპტიმიზაცია დადებითი მოვლენაა, რადგან, თეორიულად მაინც, ხარჯებისა და გაბერილი შტატების შემცირების შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაშლამ სერიოზული კრიტიკა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში სამინისტრო თავის ფუნქციებს ჯეროვნად ვერ ასრულებდა, ის მაინც რჩებოდა მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ქვეყანაში, რომლის ეკოლოგიური პრობლემები წლიდან წლამდე მძიმდება. ის, რომ ბუნებრივი რესურსების კომპონენტი ეკონომიკის სამინისტროს შეუერთდა, რეალურად შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ამიერიდან მსხვილ ბიზნესს ეკოლოგიური ნორმების დარღვევისთვის პრობლემები აღარ შეექმნება (პრინციპში, საგრძნობ დისკომფორტს არც ადრე განიცდიდა).

საგარეო დაზვერვის შერწყმა უსაფრთხოების სამსახურთან პატარა და ღარიბი ქვეყნისთვის თითქოს ლოგიკურია, მაგრამ ამ შემთხვევაში კონტექსტი უნდა გავითვალისწინოთ. უსაფრთხოების სამსახური დღეს რეჟიმის სტაბილურობის შენარჩუნებაზე მუშაობს. შესაბამისად, გამორიცხული არაა, რომ სუს-ი გამოიყენებს საგარეო დაზვერვის რესურსებს, უპირველესად კი — კადრებს, რათა პოლიტიკური პოლიცია გააძლიეროს, რომელიც ფორმალურად არ არსებობს, თუმცა სავსებით რეალურია. არადა, ჯერ კიდევ ათწლეულების წინათ გაირკვა, რომ მზვერავის დასაქმება ოხრანკასა თუ გესტაპოში დაახლოებით იგივეა, რაც მიკროსკოპით ლურსმნის დაჭედება.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს გამოყოფა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ადრეც განიხილებოდა და ამ იდეას საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტები ამყარებს, მაგრამ მისი შეერთება კრიზისის მართვის საბჭოსთან, უშიშროების საბჭოს გაუქმების ფონზე, ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა რჩება ორგანოს გარეშე, რომელიც უსაფრთხოების მიმართ სტრატეგიულ საკითხებზე იმუშავებს. ეს შეიძლება გააკეთოს ან დივერსანტმა, ან დილეტანტმა, რომელსაც, უბრალოდ, არ ესმის, როგორ ფუნქციონირებს სახელმწიფო, თუნდაც ისეთი არასრულყოფილი, როგორიცაა თანამედროვე საქართველო. დაგეგმილი ცვლილებები შეიძლება იქცეს ყველაზე სერიოზული დარტყმად ქვეყნის უსაფრთხოებისთვის 2008 წლის შემდეგ.

ეკონომიკის სუპერსამინისტროს შექმნა, რომელმაც ამიერიდან ენერგეტიკასა და ბუნებრივ რესურსებსაც უნდა უპატრონოს, პერსონალური საკითხის მიმართ უნდა განვიხილოთ. ამ ცვლილებების შემდეგ პირველი ვიცეპრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი თითქმის „ჩრდილოვანი პრემიერმინისტრი“ გახდება, ყოველ შემთხვევაში გააკონტროლებს ყველაფერს, რაც საქართველოში რამდენადმე მსხვილი ბიზნესის წარმოებას ეხება. მისი ფარული დაპირისპირება კვირიკაშვილთან, რომელზეც ძალიან ცოტას საუბრობენ, და ინტრიგები ივანიშვილის კარზე ამ ეტაპზე, როგორც ჩანს, ქუმსიშვილის გამარჯვებით დასრულდა. ამასთანავე, გაჩნდა საფუძველი, რომ კვირიკაშვილის დაღმასვლის დაწყებაზე ვისაუბროთ. მართალია, ახლო მომავალში ის კვლავინდებურად უხელმძღვანელებს მთავრობას, შემდგომ კი შეიძლება მეტად საპატიო პოსტი დაიკავოს, მაგრამ სულ უფრო მეტი ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ის ვერ ჩამოყალიბდა ძლიერ მოთამაშედ, რომელსაც ერთგული გუნდის შექმნა და პოზიციების მუდმივი გაძლიერება ძალუძს. ის რჩება გავლენიან ფიგურად, რომელსაც შეუძლია ძველი მეგობრები დააწინაუროს და გარკვეულ საკითხებში თავისი გაიტანოს, თუმცა მისი გავლენის სფერო ახლო მომავალში, სავარაუდოდ, შაგრენის ტყავივით სულ უფრო ვიწრო გახდება. არაერთმა კომენტატორმა აღნიშნა, რომ ბოლო ცვლილებები კარგია ივანიშვილისთვის, ქუმსიშვილისთვის, რაღაც გაგებით, გახარიასთვის და მღებრიშვილისთვისაც კი (ყველა ელოდა, რომ დაშვებული შეცდომებიდან გამომდინარე, მას, უბრალოდ, გააგდებდნენ, მას კი ახალი სტრუქტურა ჩააბარეს), მაგრამ არავის უთქვამს, რომ ის კარგი იყო კვირიკაშვილისთვის.

კახი კალაძის გავლენა მთავრობაში, ერთი შეხედვით, შემცირდა, მას შემდეგ, რაც გაუქმდა ენერგეტიკის, აგრეთვე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და დაიწყო მასზე დამოკიდებული კადრების გადასვლა თბილისის მერიაში, თუმცა კალაძის გუნდის ნაწილი სამინისტროებში დარჩება, ისევე, როგორც მისი ფრაქცია პარლამენტსა და მმართველ პარტიაში (მერე რა, რომ ოფიციალურად გაფორმებული არაა). კალაძეს აღარ ეკისრება პასუხისმგებლობა აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედებაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მასზე არანაირი გავლენა არ ექნება. **საერთოდ, ქალაქისა და ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება ერთმანეთისგან იზოლირებული არაა – პოლიტიკური თუ ბიზნესინეტერესების „საცეცები“ ერთიდან მეორეში თავისუფლად გადადის და ერთმანეთს ერწყმის. მარტივად რომ ვთქვათ, კალაძე და მისი გარემოცვა მერიაში არ ჩაიკეტება. ვინაიდან თბილისის მერად არჩევის შემდეგ მისი გავლენა, სავარაუდოდ, იმდენად გაიზრდება, რომ შეიძლება მთელი სისტემის დისბალანსი გამოიწვიოს, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება იმ უწყებებს, რომელთაც შეეძლებათ, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდონ კალაძის, ქუმსიშვილისა თუ ნებისმიერი სხვა გავლენიანი „მეოცნების“ ამბიციები.**

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ორი ფიგურა: **გიორგი გახარია** და **მამუკა ბახტაძე**, რომლებიც შინაგან საქმეთა მინისტრად და ფინანსთა მინისტრად წარადგინეს. **გახარია ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებულ პირად მოიაზრება. ბახტაძე კი პირველი პირისგან შედარებით შორს დგას, თუმცა, დიდი ალბათობით, მხოლოდ მისი დირექტივებით იხელმძღვანელებს. ორივე გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ ამბიციურ ლიდერებზე ივანიშვილის კონტროლის გაძლიერებას და, შესაძლოა, გამკაცრებასაც მოასწავებდეს.**



მამუკა ბახტაძე



გიორგი გახარია

**გახარია ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებულ პირად მოიაზრება, ბახტაძე კი პირველი პირისგან შედარებით შორს დგას, თუმცა, დიდი ალბათობით, მხოლოდ მისი დირექტივებით იხელმძღვანელებს. ორივე გადაწყვეტილება «ქართული ოცნების» ამბიციურ ლიდერებზე ივანიშვილის კონტროლის გაძლიერებას და, შესაძლოა, გამკაცრებასაც მოასწავებდეს**

მამუკა ბახტაძემ რკინიგზის ხელმძღვანელის პოსტზე, რბილად რომ ვთქვათ, ვერ გაიბრწყინა, თუმცა საზოგადოების უდიდესი ნაწილი ამით არ დაინტერესებულა, რადგან ტრადიციულად მოსაწყენად მიიჩნევს მაჩვენებლების შედარებას და ციფრების გადამოწმებას. ამასთანავე, რკინიგზის მუშაობას ხშირად ნაციონალები აკრიტიკებდნენ, ხოლო მათ, საკუთარი ამომრჩევლის გარდა, დანაშაულებრივი წარსულის გამო, პრაქტიკულად არავინ უსმენს.

საინტერესოა, რომ ბახტაძე გახდება მეორე მინისტრი, რომელმაც თავის დროზე „ნაციონალურ მოძრაობას“ ფული შესწირა — 20 ათასი ლარი 2012 წლის 2 აგვისტოს (ზურაბ ალავიძემ კი — 35 ათასი ლარი იმავე წლის 30 ივლისს). **ცხადია, არსებობს უამრავი არგუმენტი: „დრო იყო ასეთი“, „აბა, რა უნდა ექნა“, „აიძულეს“ და ა.შ., რომლებიც მსგავსი ნაბიჯების გამართლებას ემსახურება, თუმცა, ალბათ, აშკარაა, რომ პრინციპული ადამიანი დანაშაულებრივ რეჟიმს ფულს არ ჩაურიცხავს, ეს შეიძლება მხოლოდ მისმა მხარდამჭერმა ან უნებისყოფო კონფორმისტმა გააკეთოს. ბიძინა ივანიშვილი, როგორც ჩანს, სწორედ მათ აწინაურებს, რადგან მათი მართვა გაცილებით იოლია.**

გახარიას შემთხვევაში სახეზეა გარკვეული ინტრიგა: შეძლებს თუ არა ის, დაიმორჩილოს სისტემა ისე, რომ მონსტრად არ იქცეს და, ამავე დროს, მართვის სადავეები ხელიდან არ გაუშვას, როგორც ეს არაერთ მის წინამორბედს მოუვიდა. მას სისტემაში მუშაობის გამოცდილება არ აქვს, შესაბამისად, მის სპეციფიკაზე შეიძლება მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს, თუმცა მისმა წინამორბედებმა, ავად თუ კარგად, დაუქვემდებარეს შსს ახალი ხელისუფლების კონტროლს და სხვადასხვა გავლენიანი ჯგუფის ინტერესები მეტ-ნაკლებად დააბალანსეს. ასე რომ, ამ ეტაპზე მოულოდნელი რყევების ალბათობა მინიმალურია, მითუმეტეს, თუ გახარია მკვეთრ ნაბიჯებს არ გადადგამს.

განათლების ახალ მინისტრზე ძალიან ცოტაა ცნობილი, თუმცა მას ნებისმიერ შემთხვევაში განიხილავენ უკეთეს ვარიანტად, ვიდრე იმ თვითმავალ გაუგებრობას, რომელიც კვირიკაშვილმა გასული წლის ივნისში დააწინაურა. შესაძლოა, ამ გარემოების, აგრეთვე, კოლეგებისა და სტუდენტების დადებითი გამოხმაურების გამო, **საზოგადოების უმრავლესობა მიხეილ ჩხენკელს პოზიტიურ მოლოდინებს უკავშირებს. თუმცა საქართველოს უახლესმა ისტორიამ არაერთგზის დაადასტურა, რომ კარგი ლექტორი ან სპეციალისტი ყოველთვის როდი ახერხებს, კარგი მინისტრი გახდეს. ასე რომ, ალბათ, უმჯობესი იქნება, ჩხენკელს დაახლოებით ასი დღის შემდეგ დავუბრუნდეთ.** გარკვეული დრო დასჭირდება იმ ცვლილებების გაანალიზებასაც, რომლებიც სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გარემოს დაცვის სამინისტროს ნაწილის შერწყმის შედეგად, აგრეთვე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „სპორტული კომპონენტის“ კულტურის სამინისტროში ინტეგრაციის შედეგად მოხდება. ჯერჯერობით გასაგები მხოლოდ ისაა, რომ (როგორც სოციალურ ქსელებში ხუმრობენ) კულტურის მინისტრი ფიზკულტურის მინისტრიც გახდება.

მთლიანობაში, ოპტიმიზაცია დადებითი მოვლენაა, მაგრამ ზოგიერთმა გადაწყვეტილებამ, განსაკუთრებით უსაფრთხოებისა და ეკოლოგიის სფეროში, მომავალში შეიძლება სტრატეგიული ხასიათის პრობლემები შექმნას. ამასთანავე, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ გატარებული პოლიტიკა (მათ შორის, საკადრო) საზოგადოებისთვის სულ უფრო გაუმჭვირვალი ხდება. მის უდიდეს ნაწილს არ ესმის, რატომ, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით აწინაურებენ ან ხსნიან ამა თუ იმ პერსონას, არაფერი იცის ლობისტურ თუ ნათესაურ ინტრიგებზე „შუშის სასახლეში“, ვერ გაუგია, რა წესებით მიდის თამაში და როგორ მუშაობს სოციალური ლიფტი ზედა სართულებზე. ეს ბუნებრივად ზრდის გაღიზიანებას და ხელისუფლების შეცვლის სურვილს, მითუმეტეს, რომ მისთვის დამახასიათებელი ნეპოტიზმი და კლანურობა XXI საუკუნეში ფრიად უადგილოდ გამოიყურება.

**საზოგადოების უმრავლესობა მიხეილ ჩხენკელს პოზიტიურ მოლოდინებს უკავშირებს. თუმცა საქართველოს უახლესმა ისტორიამ არაერთგზის დაადასტურა, რომ კარგი ლექტორი ან სპეციალისტი ყოველთვის როდი ახერხებს, კარგი მინისტრი გახდეს. ასე რომ, ალბათ, უმჯობესი იქნება, ჩხენკელს დაახლოებით ასი დღის შემდეგ დავუბრუნდეთ**

**ბრიუსელი დილემის წინაშეა — თუ, ერთი მხრივ, აამუშავებს კანონმდებლობის მე-7 მუხლს, უნგრეთსა და პოლონეთს ევროკავშირში ხმის უფლებას ჩამოართმევს და სხვა სანქციებსაც დაუწესებს; არსებობს საფრთხე, რომ მოიმატებს ე.წ. ევროსკეპტიკოსთა რაოდენობა და შეიძლება ამ ქვეყნებმა ევროკავშირის დატოვებაზეც კი იფიქრონ. ხოლო, მეორე მხრივ, თუ დაუსჯელად დატოვებს პოლონეთსა და უნგრეთს, ამან შეიძლება პრეცედენტი შექმნას და ევროკავშირის შიგნით ურჩთა რაოდენობამ იმატოს, რაც უახლოეს მომავალში ამ გაერთიანების დაშლას გამოიწვევს.**



**ავი მესაიფი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პატარა სათამაშო დიდი მოთამაშეების ხელში

## საქართველო, როგორც ამერიკულ ჩიზბურგერში ყველი, ისე აღმოჩნდება თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ჩაფენილი

**თუ ბოლო ხანს ჩვენ თვალწინ განვითარებულ მოვლენებს გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ, რაც კი რამ ჭირი სჭირს პლანეტა დედამიწას, მნიშვნელოვანწილად, დასავლეთის ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიერ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ დამკვიდრებული და განხორციელებული „სუვერენული დემოკრატიის“ უგულებელყოფის ბრალია.**



მსოფლიოში მიმდინარე პროცესები — ლიბერალური დემოკრატიის მატრიცული მოდელის ცეცხლითა და მახვილით დანერგვის შედეგად წარმოქმნილი ქაოსი და სისხლისღვრა, მოწმობს, რომ, თუ ერებს, სახელმწიფოებს დავაჯგუფებთ მენტალობის, ცხოვრების წესის მიხედვით, რამდენი ჯგუფიც გამოვა, იმდენივე „სუვერენული დემოკრატია“ იქნება საჭირო. ყველა ერს უნდა ჰქონდეს უფლება, იმ დოზის დემოკრატიით იცხოვროს, რამდენის „მონელებასაც“ შეძლებს.

ანუ, **დაუშვებელია, ადამიანის უფლებების დაცვის ნიღბით, დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის დემოკრატიის წესებით ცხოვრება დავაძალოთ არათუ ისლამური კულტურის ერებს, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ან სხვა ტრადიციული პატრიარქალური კულტურის, მენტალიტეტისა და ზნეობრივი ფასეულობების მქონე ქრისტიანულ (ძირითადად, მართლმადიდებლურ) ქვეყნებს, მით უმეტეს — საქართველოს.**

სწორედ „სუვერენულ დემოკრატიაზე“ ძალადობის გამო წარმოიშვა ერაყის ნანგრევებზე ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“, რომელმაც სისასტიკითა და სადიზმით გადააჭარბა შუა საუკუნეების არაბული სახალიფოების მბრძანებლებს — **მურვან ყრუს, ბუღა თურქსა და აბულ კასიმს**; იგივე მოხდა ეგვიპტეში, ლიბიაში, ტუნისში, სირიაში, ალჟირში... სწორედ ამან გამოიწვია მსოფლიოში არნახული მასშტაბის მიგრაცია, რომელიც წალეკვას უქადის „ბებერ ევროპას“, როგორც ქრისტიანობაზე აღმოცენებულ კულტურულ ფენომენს. **ევროკავშირის ყველა წევრისთვის დაწესდა მიგრანტთა მიღების ინდივიდუალური კვოტა და, თუ ამ კვოტის გამო საფრანგეთმა და განსაკუთრებით — გერმანიამ, ფართოდ გაუღეს კარი „არაბული გაზაფხულებიდან“ ლტოლვილებს, იმავეს გაკეთებაზე უარს ამბობენ ევროპული „საერთო ოჯახის“ სხვა წევრები.**

მაგალითად, კლასიკური დემოკრატიის მამამ, **დიდმა ბრიტანეთმა,** ე.წ. ბრექსიტით (ევროკავშირიდან გასვლით) ვირეშმაკულად აარიდა თავი ლტოლვილების მიღებას.

რაც შეეხება ევროკავშირის კიდევ ორ გაურჩებულ წევრს, **2004 წელს, როდესაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები — უნგრეთი და პოლონეთი — ევროკავშირში მიიღეს, ბრიუსელი დარწმუნებული იყო, რომ ახალი წევრები ე.წ. ლიბერალური ღირებულებების გათავისების გზაზე შეუქცევადად იდგნენ, მაგრამ...** უნგრეთის პრემიერმინისტრმა **ვიქტორ ორბანმა** მიგრანტთა მოძალებას ევროპაში მუსლიმანთა შემოსევა უწოდა, რაც, ნეოლიბერალური დოქტრინის მიხედვით, აშკარა ქსენოფობიაა, გნებავთ — ფაშიზმი.

მიუხედავად ამისა, უნგრეთის პრემიერის პრესმდივანმა **ზოლტან კოვაჩმა** განაცხადა: **„ანგელა მერკელისგან განსხვავებით, რომელმაც ფართოდ გაუღო კარი და მილიონობით ისლამისტი მიგრანტი დაასახლა გერმანიაში, სწორედ ვიქტორ ორბანის მსგავსი ლიდერები დგანან ევროპული მემკვიდრეობის, კულტურის შენარჩუნების სადარაჯოზე, ევროპული კულტურის, რომელიც (ვინმეს მოსწონს თუ არა) ქრისტიანობაზეა დაფუძნებული!“**

რაც შეეხება პოლონეთს, ისიც წინააღმდეგია ქვეყანაში ისლამისტი მიგრანტების „უპრაგონო“ შესვლის. ბრიუსელის აზრით კი, ეს ქვეყანა სულ უფრო სცილდება ლიბერალურ ღირებულებებს და მეტიც, პოლონეთის ხელისუფლება ულტრაკონსერვატიულ თვალსაზრისსაც იზიარებს.

თუნდაც მხოლოდ ამ ულტრაკონსერვატიზმიდან გამომდინარე, ისლამისტი მიგრანტების მიღებაზე უარის თქმით შეიძლება იმ ფაქტის ახსნა, რომ პოლონეთისა და უნგრეთის ხელისუფლებები მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერით სარგებლობენ. თუ ამ ყველაფერს იმასაც დავუმატებთ, რომ პოლიტიკური ურჩობის პარალელურად ორივე ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობაა, ასახსნელიც აღარაფერი იქნება.

ეკონომიკის აღმავლობა კი, მნიშვნელოვანწილად, ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების დამსახურებაა და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: **როგორ უყურებს ბრიუსელი ურჩი ქვეყნების მიერ ევროკავშირის სიკეთეებით სარგებლობას, როდესაც ეს ქვეყნები უარს ამბობენ ევროპული ლიბერალური ფასეულობების აღიარებაზე?**

ბრიუსელი დილემის წინაშეა: თუ, ერთი მხრივ, აამუშავებს კანონმდებლობის მე-7 მუხლს, უნგრეთსა და პოლონეთს ევროკავშირში ხმის უფლებას ჩამოართმევს და სხვა სანქციებსაც დაუწესებს; არსებობს საფრთხე, რომ მოიმატებს ე.წ. ევროსკეპტიკოსთა რაოდენობა და შეიძლება ამ ქვეყნებმა ევროკავშირის დატოვებაზეც კი იფიქრონ, ხოლო, მეორე მხრივ, თუ დაუსჯელად დატოვებს პოლონეთსა და უნგრეთს, ამან შეიძლება პრეცედენტი შექმნას და ევროკავშირის შიგნით ურჩთა რაოდენობამ იმატოს, რაც უახლოეს მომავალში ამ გაერთიანების დაშლას გამოიწვევს.

ანუ, ორივე შემთხვევაში ევროკავშირის დასასრულის დასაწყისის ვარაუდი არცთუ უსაფუძვლოა. მოკლედ, ვნახოთ, რას იზამს ბრიუსელი. მანამდე კი, როგორც ერთ ქართულ ფილმშია, „თვალი დაუდგეს ევროპას“ — ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ...

აგერ თითქმის წელიწადი გავიდა **დონალდ ტრამპის** გაპრეზიდენტებიდან და ამდენივე ხანია, კაცობრიობის ნორმალურად მოაზროვნე ნაწილი იმედით ელოდებოდა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი მოახერხებდა სენატ-კონგრესის წინააღმდეგობის დაძლევას და, ბოლოს და ბოლოს, შეუდგებოდა წინასაარჩევნო მთავარი დაპირების შესრულებას — რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას, მაგრამ ამაოდ...

ურთიერთობა არათუ დათბა ორ ბირთვულ ზესახელმწიფოს შორის, არამედ ასეთი გაყინული და სახიფათო, როგორიც დღეს არის, გასული საუკუნის ცივი ომისა და კარიბის კრიზისის დროსაც არ ყოფილა, ამიტომ დონალდ ტრამპის პოზიციების გაძლიერების ამაოდ მომლოდინე რუსეთის პრეზიდენტმა მალევე განაცხადა, რომ რუსეთის მოთმინება უსაზღვრო არ არის და მომავალში აშშ-ის გამოხდომებზე რუსეთის ქმედებები ადეკვატური იქნება.

აშშ-ის წინდაუხედავმა პოლიტიკამ სირიისა თუ ირანის მიმართ (არა მხოლოდ მათ მიმართ) შეუძლებელი რამ შესძლო — რუსეთი და თურქეთი, საუკუნეების განმავლობაში დაუძინებელი მტრები, დღეს მოკავშირეები არიან. მეტიც, ეს მოკავშირეობა თურქეთის აშშ-ნატოსთან დისტანცირების ფონზე მოხდა.

ხოლო, თუ გავითვალისწინებთ ამას წინათ ნორვეგიაში მიმდინარე ნატოს წვრთნებიდან თურქეთის პრეზიდენტის მიერ თავისი სამხედროების დემონსტრაციულად გამოწვევას, რადგან იქ თურქების საფიცარი **ქემალ ათათურქი** და თვით **რეჯეფ ერდოღანი** ფოტოსტენდზე გამოსახეს, როგორც ნატოს მოწინააღმდეგენი, აგრეთვე, იმას, რომ ანკარამ საჯაროდ დაადანაშაულა ვაშინგტონი „ისლამური სახელმწიფოს“ ფინანსურ (და არა მხოლოდ) დახმარებაში, რომ არაფერი ვთქვათ აშშ-ის უარზე თურქეთში შეუმდგარი სამხედრო გადატრიალების ორგანიზებაში მხილებული **ფეთჰულა გიულენის** (რომელიც, წლებია, აშშ-ში ცხოვრობს) თურქეთისთვის გადაცემაზე, დიდია ალბათობა, რომ ბრიტანული „ბრექსიტის“ მსგავსად, ნატოური „თურქსიტი“ მივიღოთ და თანაც რუსეთის სასარგებლოდ. ამ ყველაფრის ერთ-ერთი მიზეზი კი სწორედ „სუვერენული დემოკრატიის“ უარყოფაა. ამ კონტექსშია განსახილველი აზერბაიჯანის პრეზიდენტ **ილჰამ ალიევის** მორიგი დემარში ევროსაბჭოს მიმართ...

დიახ, მორიგი, რადგან ამ ორი თუ სამი წლის წინათ, როდესაც ალიევმა აზერბაიჯანში „მოღვაწე“, საზღვარგარეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედებები აღკვეთა, ევროსაბჭომ მაშინაც დაუწუნა აზერბაიჯანის პრეზიდენტს დემოკრატიის ხარისხი, რის გამოც ის ევროსაბჭოს დატოვებით დაიმუქრა...

და ახლაც მსგავსი სურათის მომსწრენი ვართ, ოღონდ ამჯერად ილჰამ ალიევს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, **ილგარ მამედოვის,** განთავისუფლება მოსთხოვეს, რომელიც, სამ წელიწადზე მეტია, ბაქოს ციხეში ხეხავს ნარებს...

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დადგენილების შესრულების ვადა 29 ნოემბერს იწურება, რომლის შემდეგაც ევროსაბჭო, თავისი არსებობის 68 წლის განმავლობაში პირველად, აპირებს 46-ე მუხლის ამოქმედებას, რომელიც ევროსაბჭოს დადგენილების იძულებითი წესით აღსრულებას გულისხმობს.

**სწორედ ამიტომ იმუქრება აზერბაიჯანის პრეზიდენტი ევროსაბჭოს დატოვებით და, როგორც იტყვიან, ილჰამ ალიევს „ძალაც შესწევს ქადილისა“... მან სარკაზმით აღნიშნა, რომ, ევროსაბჭოს დატოვების შემთხვევაში, აზერბაიჯანი არც იმაზე უკეთ იცხოვრებს და არც იმაზე ცუდად, ვიდრე ევროსაბჭოს წევრობისას ცხოვრობდა. აქაც, აზერბეაიჯანის შემთხვევაში, „სუვერენული დემოკრატიის“ უგულებელყოფაშია პრობლემა.**

დასავლეთმა ერაყისა თუ „არაბული გაზაფხულების“ მაგალითებზეც ვერ ისწავლა ჭკუა და თურქეთსა თუ აზერბაიჯანშიც დასავლური დემოკრატიის დამკვიდრებას ცდილობს, რაც უტოპიაა და დიდ საფრთხეს შეიცავს.

ისლამური სახელმწიფოები მანამდე არ არიან რადიკალურები, სანამ დასავლეთი მათ „სუვერენულ დემოკრატიას“ სჯერდება, ხოლო, როგორც კი დაასავლეთი დააპირებს ისლამურ სახელმწიფოებში მისაღები დოზის დემოკრატიის ჩანაცვლებას ლიბერალური დემოკრატიით, მაშინვე დაიწყება რადიკალური ისლამიზაცია.

თუ ასე განაგრძო ევროპა-ამერიკამ, ერდოღანი შეუმდგარი სამხედრო პუტჩის შემდეგ თურქეთს ხომ ისედაც დიქტატურისკენ (ისლამიზაციისკენაც) მიაქანებს და მსგავსი პროცესი შეიძლება ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანშიც დაიწყოს. და, როგორც ჩვენში იტყვიან, „ე, მაშინ მოგეცა ლხენა“ — **საქართველო, როგორც ამერიკულ ჩიზბურგერში ყველი, ისე აღმოჩნდება თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ჩაფენილი.**

ჰოდა, ამ დროს რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება? რას და, ღნავილი „ნატო-ნატო“ „ხარისხობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანა“.

ამას წინათ საქართველოს თავდაცვის მინისტრ **ლევან იზორიასა** და სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლის, **ჰერბერტ მაკმასტერის,** შეხვედრისას, მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნების მასშტაბები გაიზრდება. მოკლედ, მიუხედავად მხურვალე დაპირებებისა, ახლო მომავალში საქართველოს ნატოში შესვლა პრაქტიკულად გამორიცხულია. ლაპარაკი, კი ბატონო, ენას ძვალი არ აქვს და ქართველ საზოგადოებას კიდევ ბევრჯერ „დაგვაბოლებენ“ ამ თემით... ეს უკვე მერამდენე დასტურია იმისა, რომ საქართველო ამ ხნის განმავლობაში ვერაფრით ჩამოყალიბდა გეოპოლიტიკის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მოთამაშედ. არადა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბუნებრივი რესურსები (ნავთობი და ა.შ.) არ გვაქვს, სწორი საგარეო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ღვთისგან ბოძებული გეოგრაფიული ფაქტორის გამო, სრულიად რეალური იყო საქართველოს, თუნდაც რეგიონში, ანგარიშგასაწევ მოთამაშედ ქცევა.

დღეს კი ჩვენი სამშობლო, მოთამაშე კი არა, სამწუხაროდ, გეოპოლიტიკის დიდი მოთამაშეების ხელში პატარა სათამაშოა.

თუ **რედიარდ კიპლინგის** ბრწყინვალე მოთხრობა „მაუგლის“ სიუჟეტის მიხედვით განვიხილავთ წინამდებარე წერილის ფინალს, აშშ-ნატოს შევადარებდი ყველაფრის მკადრებელ ვეფხვ შერხანს, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას — შერხანს აქტორლიალებულ მყრალ ტურა ტაბაკის, რომელიც მზად არის, მბრძანებლის ნასუფრალის მოლოდინში მანამდე „უჩხიკინოს“ რუსეთს, სანამ...

რაც დაემართათ შერხანსა და ტაბაკის, ვფიქრობ, ამის შეხსენება მკითხველ საზოგადოებას არ სჭირდება...

**დავით მხეიძე**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბოკერია იყო იმ რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომლის დეკლარირებული პოლიტიკაც ყველაზე ნათლად სააკაშვილის ერთ ფრაზაში გამოიხატა: „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი — ციხეში!“**

# ლატენტური მიშმადიდებლები და კოაბიტაციის ფარული ხიბლი

**16 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულმა ეთნიკურ უმცირესობათა და რელიგიათა საბჭომ პარტია „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს, გიგა ბოკერიას, „შემწყნარებლობის კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“ „ტოლერატობის ქომაგის“ წოდება მიანიჭა. როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა განაცხადეს, ბოკერია მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში უკომპრომისოდ იბრძვის ადამიანის უფლებებისთვის, თანასწორობისთვის, განსხვავებულისა და მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის დამკვიდრებისთვის, რაც განსაკუთრებით უმცირესობების დაცვის კუთხითაა მნიშვნელოვანი. ბოკერიამ კი სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ მისი და მისი თანამებრძოლების ძალისხმევის შედეგად ქვეყანაში აუცილებლად დამარცხდება სიძულვილი: „დარწმუნებული ვარ, თქვენნაირი ხალხის წყალობით ჩვენ ამ ქვეყანაში აუცილებლად დავამარცხებთ სიძულვილსაც და გულგრილობასაც“.**

**გიგა ბოკერიას გარდა, „ტოლერანტობის ქომაგის“ წოდება მიენიჭათ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს — ხათუნა სამნიძეს, მწერალ ლაშა ბუღაძესა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს. „ეს ადამიანები გამოირჩევიან თავიანთი გამბედაობითა და ტოლერანტობის ერთგულებით“, — განაცხადა საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსმა და ქალთა უფლებების დაცვის აქტივისტმა რუსუდან გოცირიძემ. შეგახსენებთ, რომ „ტოლერანტობის ქომაგის“ წოდებით დაჯილდოებული გიგა ბოკერია წლების განმავლობაში იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის მიერ გაცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი და იდეოლოგი. ამ პოლიტიკის შედეგად, საქართველო 8 წლის განმავლობაში (2004-2012 წლებში) პატიმრების რაოდენობით მსოფლიოში მოწინავე ქვეყნად იქცა; სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გახშირდა წამება, გაუპატიურება, სასტიკი მოპყრობა (რის გამოც სააკაშვილი, თავის გარემოცვასთან ერთად, არაერთხელ მოექცა საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების კრიტიკის ქარცეცხლში) და მოქალაქეების პოლიტიკური ნიშნით დევნა „ჩვეულებრივ“ პრაქტიკად, ანუ მაშინდელი ხელისუფლების ერთგვარ პოლიტიკურ ლაიტმოტივად იქცა.**

**ლოგიკურია დღეს გიგა ბოკერიას დაჯილდოება „ტოლერანტობის ქომაგის“ წოდებით, აქვს კი მას შემწყნარებლური პოლიტიკური წარსული და რა იდეოლოგიას ემსახურებოდა ან ემსახურება იგი რეალურად? „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის წლების წინათ „ნაციონალური მოძრაობის“ ავტორიტარული რეჟიმის მიერ ნაწამებ ყოფილ პატიმრებს დაუკავშირდა.**



## „გიგა ბოკერია არის ჩვეულებრივი პოლიტიკური ნაძირალა და საზოგადოების დაცინვაა, როცა ასეთ ნაძირალას, გასამართლების ნაცვლად, რაღაც წოდებებს ანიჭებენ“

**ვახტანგ მაისაია, ყოფილი პოლიტპატიმარი, სამხედრო ექსპერტი:**

— რა უნდა ვთქვა, ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური ცინიზმი. გებელსს თუ შეიძლება მივანიჭოთ ტოლერანტობის პრემია, კი, ბატონო... გიგა ბოკერია იყო ნაცრეჟიმის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი. მეტი რა გითხრათ. წესით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აქ ნიურნბერგი უნდა ჩატარებულიყო და ყველა, ვისაც კი რამე წვლილი მიუძღოდა იმ საშინელი რეჟიმის შექმნაში, პასუხისგებაში უნდა მიეცათ. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა, ამიტომ უამრავი დამნაშავე, უამრავი კრიმინალი დღეს დაუსჯელია.

რაც შეეხება გიგა ბოკერიას, ყველას გვახსოვს, რა განცხადებებს აკეთებდა ის, როცა ხელისუფლება ძალადობდა და სასტიკად უსწორდებოდა მშვიდობიან მომიტინგეებს; როცა ციხეებში პატიმრებს სულს ხდიდნენ წამებით; როცა მედიაზე ძალადობდნენ და სიტყვის თავისუფლება ფეხქვეშ ითელებოდა; როცა ადამიანებს ქუჩაში ხოცავდნენ იმ მოტივით, რომ ვითომ კრიმინალს ებრძოდნენ... **ვთვლი, რომ გიგა ბოკერია არის ჩვეულებრივი პოლიტიკური ნაძირალა და საზოგადოების დაცინვაა, როცა ასეთ ნაძირალას, გასამართლების ნაცვლად, კიდევ რაღაც წოდებებს ანიჭებენ“.**



## „ბოკერია ციხეში უნდა იჯდეს“

**ია მეტრეველი, 2004 წლის 23 ნოემბერს სამართალდამცველების მიერ მოკლული ბუტა რობაქიძის დედა:**

— პირველ რიგში, დიდი მადლობა ამ საკითხზე ყურადღების გამახვილებისთვის, იმიტომ, რომ ამ ფაქტს მასმედიისგან, ფაქტობრივად, არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია. არადა, ისეთ უაზრო თემებზე ატეხენ ხოლმე ხმაურს, რომ ვერც გაიგებ, რა უნდათ და რას ითხოვენ.

ახლა რას ვფიქრობ ბოკერიას „ტოლერანტობაზე“: **ბოკერია იყო იმ რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომლის დეკლარირებული პოლიტიკაც ყველაზე ნათლად სააკაშვილის ერთ ფრაზაში გამოიხატა: „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი — ციხეში!“**

მერე ამ პოლიტიკამ რა უბედურებებიც დაატრიალა ქვეყანაში, ყველამ ვიცით: აწამეს და წამებით მოკლეს უამრავი ადამიანი, გაივსო ციხეები პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული მოქალაქეებით, ბიზნესმენები ჰყავდათ ტერორის ქვეშ და, როცა მოუნდებოდათ, ნებისმიერ ბიზნესს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ართმევდნენ, პოლიცია გადააქციეს პოლიტიკურ ინსტრუმენტად, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს, განსაკუთრებით — პატიმრების ოჯახებს, აშინებდნენ და ა.შ. აი, ეს ბოროტება შექმნეს ამ ადამიანებმა წლების განმავლობაში და შედეგად მივიღეთ გაძარცული ქვეყანა, გაუბედურებული ხალხი, დაკარგული ტერიტორიები, უკიდურეს ნიჰილიზმსა და უიმედობაში ჩავარდნილი საზოგადოება... დაცინვაა, რომ ამ სისასტიკის, ამ ბოროტების ავტორებს, გნებავთ ბოკერია იქნება თუ სხვა, დღეს შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის წოდებით აჯილდოებენ. არ ვიცი, სახალხო დამცველი რას ფიქრობს, მაგრამ **ბოკერია ციხეში უნდა იჯდეს. ბოკერია, როგორც ერთ-ერთი შემოქმედი ძალადობისა და ძალადობრივი რეჟიმის, კანონის სრული სიმკაცრით უნდა გასამართლებულიყო...**

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ დღეს სახალხო დამცველის აპარატში „ნაცმოძრაობისადმი“ სიმპათიით განწყობილი კადრები მუშაობენ?**

— არა მხოლოდ სიმპათიით. როგორც ჩემთვის ცნობილია, **სახალხო დამცველის აპარატში დღეს ძალიან ბევრნი არიან ის ადამიანები, რომლებიც წინა ხელისუფლების პერიოდშიც მუშაობდნენ, ხოლო ვის და რას ემსახურებოდნენ ეს ადამიანები, ყველამ ვიცით.**

რაც შეეხება **უჩა ნანუაშვილს**, თავდაპირველად მასზე სხვა წარმოდგენა მქონდა, მაგრამ შემდეგ, მისი ქმედებებიდან გამომდინარე, ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ის თავისი განცხადებებით მხოლოდ ლგბტ თემის დამცველად გვევლინებოდა და სხვა რამეზე ხმას არ იღებდა, თითქოს სხვა პრობლემები არც არსებობდა. კარგია, რომ მას ვადა ამოეწურა, მაგრამ მოხარული ვიქნები, თუ მომავალი ომბუდსმენი მისი პოლიტიკის გამგრძელებელი არ იქნება. მე თუ მკითხავთ, სახალხო დამცველის აპარატი ძირფესვიანად შესაცვლელია, იმიტომ, რომ, როგორც გითხარით, ძალიან ბევრია იქ ისეთი, ვინც არ უნდა მუშაობდეს...“



## „სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოსული „ოცნება“ ვერ ელევა დამნაშავე რეჟიმთან კოაბიტაციას“

**ლევან ჩაჩუა, ყოფილი პოლიტპატიმარი:**

— ძალიან რთული მდგომარეობაა დღეს საქართველოში, იმიტომ, რომ სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოსული „ოცნება“ ვერ ელევა დამნაშავე რეჟიმთან კოაბიტაციას და მნიშვნელოვან თანამდებობებზე რჩებიან ისევ ის ოდიოზური ფიგურები, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ იმ ცხრაწლიანი ავბედითი მმართველობის პერიოდში ადამიანებს სულს ხდიდნენ. თუნდაც იმ რელიგიურ საბჭოში, რომელმაც ბოკერიას „ტოლერანტის“ სტატუსი თუ წოდება მიანიჭა, ისევ ის **ბექა მინდიაშვილია... ეს ყველაფერი კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია იმის, რომ ხელისუფლება უსუსურია, მაგრამ რა ვქნათ, თავს ზემოთ ძალა არ არის.** ვერ ხერხდება საზოგადოების გაერთიანება ქართული სულიერებისა და ცნობიერების ირგვლივ, ვინაიდან, მიაჯაჭვეს ხალხი საკუთარ ოჯახს, პრობლემებს და ქვეყნისთვის, ეროვნული, საქმისთვის ვერავინ იცლის. **მე, როგორც ყოფილი პოლიტპატიმარი, უფრო სწორად, რელიგიური პატიმარი, რა თქმა უნდა, ვგმობ ამ ფაქტს, რადგან იდეოლოგიური შემოქმედი იმ კრიმინალური, სისხლიანი რეჟიმისა იყო სწორედ გიგა ბოკერია.** მისი და მისი მეუღლის კანტორაში დაიგეგმა ე.წ. კავკასიის საქმე, რომლის შემსრულებელიც იყვნენ ტელეკომპანია „კავკასია“ და ის პოლიციელები, რომლებიც შემდეგ ხელს გვადებდნენ დანაშაულში, რაც არ ჩაგვიდენია...“



## „პირადი გამორჩენის გამო „დაცული უფლება“ ვერ იქნება „ტოლერანტობის ქომაგის“ წოდების მინიჭების საფუძველი“

**გიორგი გაბედავა, ყოფილი პოლიტპატიმარი, უფლებადამცველი:**

„ყველასთვის გასაგებია, რომ სახალხო დამცველის აპარატმა ადამიანები არ უნდა გაარჩიოს თავისი პოლიტიკური მრწამსით ან სხვა ნიშნით, მაგრამ **ბოკერია არის ადამიანი, რომელიც იყო რეჟიმის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი და შემოქმედი. თვითონ პირადად არავის აწამებდა, მაგრამ არასოდეს ხმა არ ამოუღია ადამიანის უფლებების დასაცავად, პირიქით, ის მომხრე იყო „ნულოვანი ტოლერანტობის“.** ის მხოლოდ სექტების უფლებებს იცავდა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ სარგებელი ჰქონდა სოროსის ფონდიდან და ცხადია, ამას ვერ ჩავთვლით ადამიანის უფლებების დაცვად. **პირადი გამორჩენის გამო „დაცული უფლება“ ვერ იქნება „ტოლერანტობის ქომაგის“ წოდების მინიჭების საფუძველი.**

სახალხო დამცველის აპარატს რაც შეეხება, სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, მას უყურადღებოდ დაეტოვებინოს ჩვენი რომელიმე განცხადება ან მიმართვა, მაგრამ ამ კონკრეტულ გადაწყვეტილებას ვერ დავეთანხმები. **ეს კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ ბოკერია ნაყიდი ჰყავს მთავრობას, ამიტომ, როგორც რიგითი მოქალაქე და უფლებადამცველი, მოვუწოდებ ომბუდსმენის აპარატს: ნუ გადაუსვამთ თავზე ხელს ჩვენს მწამებლებს, მოითხოვეთ მათი დასჯა და გახსოვდეთ, რომ ეს ყველაფერი ისტორიას დარჩება, ისტორია კი ყველაზე დიდი მსაჯულია“.**



## „ეს სულგაყიდული მოღალატე მართლმადიდებლებს ქვებით დასდევდა და იეჰოველებს თავგანწირვით იცავდა“

**მამა ბასილი (მკალავიშვილი), ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი, ყოფილი პატიმარი:**

**„ბოკერია არის ცოცხალი კიბო საქართველოს მოსახლეობისთვის და მისი ადგილი მხოლოდ ციხეშია, რადგან იმდენი ბოროტება აქვს ჩადენილი, დათვლა შეუძლებელია.** ეს ბოროტი სული, რომელიც გადაწყობილია სოროსის მოდელზე, თავისი საქმით ქართველი ერის ცხოვრების ყველა სფეროს ეხება და ხრწნის. ავიღოთ თუნდაც ცნობილი ციხის ბუნტი, 8 კაცი ჩაცხრილეს მისი მითითებით... მე ბოკერიას და მისი თანამებრძოლების ფაშისტური რეჟიმის პატიმარი ვიყავი. ამის გახსენებაც კი მიმძიმს. მეტსაც გეტყვით, მეშვიდე საპყობილეში ვიღაც გოგოს ხელით მოწამლული საკვები შემომიგზავნეს, მაგრამ ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს: მარხვა იყო და ხორციან საკვებს, ბუნებრივია, არ მივირთმევდი. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ის საჭმელი მოწამლული იყო...

**ეს სულგაყიდული მოღალატე მართლმადიდებლებს ქვებით დასდევდა და იეჰოველებს თავგანწირვით იცავდა. ქრისტიანებს მოძალადეებად გვაცხადებდა, ხოლო სექტანტებს — ჩაგრულებად...** ის დღემდე პირნათლად ასრულებს დასავლელი „პარტნიორების“ დავალებას და, **თუ მას თავის ნებაზე მივუშვებთ, მალე საქართველო ლოს-ანჯელესს გაუსწრებს, რომელიც მსოფლიოში ლგბტ-ების სამშობლოდაა ცნობილი.** ეს ყველაფერი კი შედეგია თავსმოხვეული კოაბიტაციის, „ანტიდისკრიმინაციული კანონისა“ და გადამეტებული „ტოლერანტობის“. აი, ზუსტად ამ „ტოლერანტობის ქომაგი“ და „ფლაგმანი“ ქართველთმოძულე ბოკერია, სოროსის პირველი შვილობილი, ყოველგვარ შავ-ბნელ საქმეებს ატრიალებს საქართველოში, რათა მამობილს აამოს. ძნელი სათქმელია, რომელი უმძიმესი სასჯელი მიესადაგება მის მოღალატეობრივ ქმედებებს, მაგრამ გარწმუნებთ, უზენაესი შეაჩვენებს მას და მიუჩენს საკადრის ადგილს სამუდამო სატანჯველში. ამისგან მას ვერავინ და ვერაფერი დაიცავს, **ღვთისა და ერის მოღალატეს არა მიეტევების რა!**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. გაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლოგო, რომელზეც ქართული და ამერიკული დროშებია გადაჯვარედინებული და რომელიც ერთობლივ მისიებში მყოფ ქართველ და ამერიკელ ჯარისკაცებს სამხედრო ფორმაზე აქვთ, სომხეთში ნაწარმოებ პროდუქტს არ უნდა ეხატოს და, საქართველო-ამერიკის დროშების გამო, სომხური პროდუქცია არ უნდა იყიდებოდეს.**

# ავღანეთში იმისთვის ვომობთ, რომ ქართული პროდუქცია ამერიკულ ბაზარზე სომხურმა კომპანიებმა შეიტანონ?

**ეროვნული ვალუტა აგონიაშია, ლარი სულს ღაფავს და ყველაზე ცუდი ის არის, რომ მთავრობის ნევრები თუ ის ადამიანები, რომლებსაც ეროვნული ვალუტის (ვიმეორებთ, ეროვნული ვალუტის) სიმყარეზე კონტროლი ევალებათ, ვითარების შეუსაბამო განცხადებებს აკეთებენ. დიახ, სწორედ შეუსაბამოს, რადგან მათი მონაყოლი ერთტიკული ზღაპრის აღწერას უფრო ჰგავს — რომ არ იცოდე, ლარზე საუბრობენ, გეგონება, მხედველობაში სხვა რამ აქვთ. პრინციპში, ვინ იცის, ეგებ მართლაც სხვა რამ აქვთ მხედველობაში, მაგრამ ახლა იმაზე უნდა ვისაუბროთ, რაც ლარის სიძლიერეზე პირდაპირ არის მიბმული, მაგრამ, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენს ხელისუფლებას ეს მიმართულება, უბრალოდ, არ აინტერესებს...**










**არ გეგონოთ, ამერიკა გამონაკლისია. იგივე ხდება ევროპის ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, ავსტრიაში, სადაც «ბორჯომს» არა მხოლოდ აწერია, რომ სომხურია, არამედ სომხური წარწერებიც ამშვენებს. სომხურად საღდება ქართული სულგუნი, აჯიკა, «ნაბეღლავი» და «საფერავი». ვენის ცენტრში იყიდება «ხვანჭკარა» და ეს იმ დროს, როცა შარშან ავსტრიაში საქართველომ საექსპორტოდ მხოლოდ 512 დოლარის საქონელი გაიტანა, ანუ დაახლოებით იმდენი პროდუქტი გაყიდა ერთ წელიწადში, რამდენსაც ვენის ცენტრში მდებარე მაღაზია, სავარაუდოდ, დღეში ყიდის**

სოციალურ ქსელში გავრცელდა კიტრის მწნილის ფოტო. შეფუთვას გარედან **Georgian Village**, ანუ „ქართული სოფელი" აწერია და ზედ ქართულ-ამერიკული დროშებია გამოსახული. ეს ყველაფერი კარგი და მისასალმებელია, რადგან ამერიკელებმა ის მაინც იციან, რომ, სრულიად ნატურალური თუ არა, ნატურალურთან ყველაზე ახლოს ქართული სოფლის პროდუქტია და, შესაბამისად, შეფუთვაზე წარწერაც აშკარად კარგად არის მოგონილი, თუმცა, ბოლომდე თუ ჩაიკითხავთ, ნახავთ, რომ კუთხეში არანაკლებ ლამაზი ასოებით აწერია: **„წარმოებულია სომხეთში"**.

ახლა, იმას კი არ ვიჩემებთ, გინდა თუ არა, კიტრის მწნილი პირველად ქართველებმა მოვიგონეთ და ლობიოსთანაც პირველად ჩვენ მივირთვითო, მაგრამ ფოტოს ავტორი იმასაც წერს, ამერიკაში ყველაზე პოპულარული ქართული მინერალური წყლები იყიდება და მასაც „წარმოებულია სომხეთში" აწერიაო. ანუ, მწნილი სომხური (მერე რა, რომ ქართული სოფლიდან), „ბორჯომი" — სომხური, „ნაბეღლავი" — სომხური და რაღა დარჩა ქართული?! მე გეტყვით — ქართული მებრძოლი სული დარჩა ნატოს სხვადასხვა მისიაში.

ჰო, ქართველი ვაჟკაცები! **იმის გამო, რომ ჩვენთან, ეგებ ინებოს და, თავისუფალი ვაჭრობის ფორმა აამოქმედოს, ამერიკას, პრაქტიკულად, ფეხქვეშ ვეგებით, ყველა ხუშტურს ვუსრულებთ, ჩვენი ბიჭები ტყვიას უშვერენ შუბლს და ამით მარტივად სარგებლობენ სომხები. ერთი მინერალური წყლები გვაქვს შერჩენილი და ისიც სხვას გადავაბარეთ. არადა, სომხებმა ყველაზე კარგად იციან ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ამბავი და ამიტომ ჭკვიანურად იქცევიან, იმას კი არ ამბობენ, ტოლმა მიირთვითო, არამედ ქართულ სახელებს ტენიან, ოღონდ სომხური წარმოშობისას.**

მას შემდეგ, რაც სომხეთი რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობაშია და ამ ურთიერთობის გაფუჭებას არც აპირებს, ამერიკა მთავარ საყრდენად კავკასიაში საქართველოსა და აზერბაიჯანს განიხილავს, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ აზერბაიჯანიც არ წვავს მწვადსა და შამფურს ერთად და ამიტომ აქეთ ამერიკის ოფიციალური ვასლობა და იქით რუსეთის გაბრაზება საქართველოს აქვს „შეტენილი". და **ვეძახით რუსებს ოკუპანტებს, ვუპროტესტებთ მავთულხლართებს, ამერიკის ელჩი შეშფოთებას გამოთქვამს პერიოდულად და ამ ყველაფრის ფონზე, ამერიკაში ქართული პროდუქტის გატანის შესაძლებლობა არ გვაქვს. სამაგიეროდ, სომხებს აქვთ, რომლებიც არც ნატოს მისიებში მონაწილეობენ, არც თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის გაბმა უნდათ ამერიკელებთან და ასე, მარტივად ყიდიან ქართულ სახელს. სამაგიეროდ, რუსეთის ბაზარია სომხეთისთვის ღია და მთავარი გამსაღებელიც სწორედ ჩრდილოელი მეზობელი ჰყავს. ალბათ, იფიქრებთ, ჩვენ ხომ ამერიკის ბაზარზე ვართ ჩამოკიდებულ-დამოკიდებულიო, მაგრამ ნურას უკაცრავად, მეგობრებო, ოფიციალური მონაცემები სულ სხვა რამეს გვეუბნება.**

„საქსტატის" 2016 წლის მონაცემებით, რუსეთში საქართველომ 182 მლნ დოლარზე ცოტა მეტი პროდუქტი გაიტანა. სამაგიეროდ, „ოკუპანტი მეზობლისგან" 598 მლნ დოლარის პროდუქცია იყიდა, ანუ 182 მლნ დოლარზე მეტი ქართული პროდუქტი რუსულმა ბაზარმა აითვისა იმ პირობებსა და რეალობაში, რომელიც დღეს გვაქვს. ჩვენი მოძმე და სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნიდან, ამერიკიდან, კი იმავე 2016 წელს 188 მლნ-ის პროდუქტი შემოვიტანეთ, გატანით კი 64 მლნ-ის პროდუქტი გავიტანეთ, ანუ 118 მლნ დოლარით ნაკლები, ვიდრე რუსეთში. და აქ მთავარი არ უნდა დაგვავიწყდეს — რუსეთი დღეს ოკუპანტია და მასთან, პრაქტიკულად, საომარი მდგომარეობა გვაქვს, ამერიკა კი — სტრატეგიული პარტნიორი და მისი მთავარი საყრდენი ამიერკავკასიაში სწორედ საქართველოა. გაგეცინებათ და, 140 მილიონი დოლარის პროდუქტი 2016 წელს სომხეთშიც გვაქვს გაყიდული, ანუ სომხეთის ბაზარი გაცილებით მომგებიანია ჩვენთვის, ვიდრე ამერიკის.

ისევ ციფრებს გადავხედოთ, ციფრები ხომ არასდროს ტყუიან. წარმოიდგინეთ, რუსეთთან ზუსტად ისეთივე ურთიერთობა რომ გვქონდეს, როგორიც სომხეთს აქვს. მისი „წარმოებულია სომხეთში" იყიდება ამერიკაშიც და რუსეთშიც და რეალურად სომხეთის ეკონომიკა სწორედ რუსულ ბაზარზე დგას. მაგრამ არა, **ჩვენ ას ევერ მოვიქცევით, რადგან ამერიკას გავანაწყენებთ, ქვეყანას, რომელსაც იმპორტ-ექსპორტის მხრივ, პრაქტიკულად ისეთივე ურთიერთობა აქვს საქართველოსთან, როგორიც ბულგარეთს, იაპონიას, ირანს... თურქეთი, უკრაინა, სომხეთი, რუსეთი, ბულგარეთი, იტალია და კიდევ რამდენიმე ქვეყანა ამერიკას უსწრებს.** რა თქმა უნდა, ამ თანხაში არ არის ის ფული, რომელსაც ქართველი ემიგრანტები გზავნიან ყოველწლიურად საქართველოში ევროპისა თუ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან. მართალია, ფული ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისგანაც მოდის, მაგრამ რაოდენობით ვერ შეედრება ევროპიდან და რუსეთიდან გადმორიცხულ თანხებს.

ახლა მხოლოდ ამერიკისკენ თითის გაშვერა, უფროსი ძმა რას გვიშვრებაო, არ იქნება მართებული. საქართველოს მთავრობამ უმაღლეს დონეზე უნდა დასვას აღნიშნული საკითხი და შტატებში მხოლოდ ე.წ. მეორადი იარაღის სამათხოვროდ არ უნდა იაროს. სწორედ ხელისუფლებამ უნდა მოითხოვოს, რომ თუნდაც ის **ლოგო, რომელზეც ქართული და ამერიკული დროშებია გადაჯვარედინებული და, რომელიც ერთობლივ მისიებში მყოფ ქართველ და ამერიკელ ჯარისკაცებს სამხედრო ფორმაზე აქვთ, სომხეთში ნაწარმოებ პროდუქტს არ უნდა ეხატოს და, საქართველო-ამერიკის დროშების გამო, სომხური პროდუქცია არ უნდა იყიდებოდეს.** ჭკუით გვჯობიან მეზობლებიო, — რომ ვთქვათ, ესეც არ იქნება საკმარისი. ჭკუით იმიტომ გვჯობიან, რომ ჩვენი მხრიდან წინააღმდეგობა არ ხვდებათ, თორემ, **აბა, გაბედოს ვინმემ, დაახატოს პროდუქტს სომხეთ-რუსეთის დროშა, მერე დააწეროს „ნაწარმოებია საქართველოშიო" და რა ამბავს ატეხენ ჩვენი მეზობლები, ნახონ!** და მართლებიც იქნებიან, მაგრამ ჩვენ ხომ მხოლოდ ერთი ქვეყნისკენ გვაქვს გეზი აღებული და მხოლოდ ერთ ქვეყანას ვებრძვით, იმ ქვეყანას, რომელთან ურთიერთობის მოგვარებაც მსოფლიოში ყველაზე დიდ ბაზარს გაუხსნის ქართულ პროდუქტს. აღარც ატამს გადაყრიან მერე გლეხები წყალში და აღარც ყურძნის ჩაბარების პრობლემა იქნებათ, მაგრამ ძია სემს ეს არ მოეწონება და აშშ-დან წამოსული გრანტები შემცირდება. გრანტების შემცირება კი რამდენიმე ათეული ადამიანის ინტერესში არ შედის, სწორედ იმ ადამიანების, რომლებიც ამერიკიდან წამოსულ გრანტებს ინაწილებენ და სანაცვლოდ მხოლოდ ერთი რამ უნდა გააკეთონ — მსოფლიოს გასაგონად იძახონ, რომ რუსეთი ოკუპანტი და მტერია. არადა, რამდენიმე ქვეყნის გარდა, სწორედ ეს მტერი უსწრებს ყველას იმპორტში და სწორედ ეს მტერია საუკეთესო ბაზარი საქართველოსთვის.

ისევ სომხეთსა და კიტრის მწნილს დავუბრუნდეთ. **არ გეგონოთ, ამერიკა გამონაკლისია. იგივე ხდება ევროპის ბევრ ქვეყანაში, მაგალითად ავსტრიაში, სადაც „ბორჯომს" არა მხოლოდ აწერია, რომ სომხურია, არამედ სომხური წარწერებიც ამშვენებს. ავსტრიაში სომხურად საღდება ქართული სულგუნი, აჯიკა, „ნაბეღლავი" და „საფერავი". ვენის ცენტრში იყიდება „ხვანჭკარა". და ეს იმ დროს, როცა შარშან ავსტრიაში საქართველომ საექსპორტოდ მხოლოდ 512 დოლარის საქონელი გაიტანა, ანუ დაახლოებით იმდენი პროდუქტი გაყიდა ერთ წელიწადში, რამდენსაც ვენის ცენტრში მდებარე მაღაზია, სავარაუდოდ, დღეში ყიდის.**

ნამდვილად ვერ გეტყვით, საქართველოს მთავრობა მიაქცევს თუ არა ამ ყველაფერს ყურადღებას და, სულ ცოტა, თუ გააპროტესტებს მაინც, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს სახელს, დროშას, პროდუქტს სხვები იყენებენ და ძალიან სარფიანადაც. და ეს მაშინ, როცა ეროვნული ვალუტა აგონიაშია და, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სულს ღაფავს...

**ბესო ბარბაქაძე**

[illegible]

| | ექსპორტი | | იმპორტი | | ბრუნვა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ათასი აშშ დოლარი | ხვედრითი წილი | ათასი აშშ დოლარი | ხვედრითი წილი | ათასი აშშ დოლარი | ხვედრითი წილი |
| სულ | 1 919 736.6 | 100.0 | 8 910 725.6 | 100.0 | 10 830 461.1 | 100.0 |
| მათ შორის: | | | | | | |
| [illegible] | 40 626.5 | 2.1 | 1 790 474.4 | 20.1 | 1 831 100.9 | 16.9 |
| [illegible] | 163 651.4 | 8.5 | 1 235 873.0 | 13.9 | 1 399 524.3 | 12.9 |
| [illegible] | 182 404.7 | 9.5 | 598 782.3 | 6.7 | 781 187.1 | 7.2 |
| [illegible] | 158 055.6 | 8.2 | 510 906.6 | 5.7 | 668 962.0 | 6.2 |
| [illegible] | 376.5 | 0.0 | 621 294.3 | 7.0 | 621 670.7 | 5.7 |
| [illegible] | 131 174.5 | 6.8 | 440 188.7 | 4.9 | 571 363.2 | 5.3 |
| [illegible] | 77 761.8 | 4.1 | 374 015.2 | 4.2 | 451 777.0 | 4.2 |
| [illegible] | 63 616.1 | 3.3 | 359 112.6 | 4.1 | 422 728.7 | 4.0 |
| [illegible] | 140 147.6 | 7.3 | 194 716.0 | 2.2 | 334 863.6 | 3.1 |
| [illegible] | 67 559.6 | 3.5 | 238 467.0 | 2.7 | 306 026.6 | 2.8 |
| [illegible] | 894 183.3 | 46.6 | 2 536 875.6 | 28.5 | 3 431 058.9 | 31.7 |

[illegible]

14 წლის შემდეგ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„როდესაც არჩევნები დამთავრდა, დაიწყო ე.წ. ეგზიტპოლების ომი. ერთ მხარეს იყო ბადრი პატარკაციშვილი „იმედით“, მეორე მხარეს — ეროსი კიწმარიშვილი „რუსთავი 2“-ით. ვფიქრობ, ეგზიტპოლები არც ჩატარებულა, ისე დადეს ციფრები ტელევიზიებმა. სხვათა შორის, კიწმარიშვილმა სააკაშვილზე არჩევანი ბოლოს გააკეთა, მანამდე ის ბურჯანაძესა და ჟვანიას უჭერდა მხარს. როდესაც დაინახა, რომ მათთვის საარჩევნო ბარიერის გადალახვა პრობლემა იყო, ტორპედოდ აქცია სააკაშვილი, რომლის პოლიტიკური თიკუნიც იყო არმაგედონი, დამანგრეველი და ასეთად დარჩა პოლიტიკაში“.

ვალერი ხაბურძანია:

# ჟვანია იდგა ბუხართან, კარისკენ ზურგით და, რომ შემობრუნდა, ხელები უცახცახებდა, ის ტიროდა

**როდის დაიწყო მზადება „ვარდების რევოლუციისთვის“? რა კონტრზომები შესთავაზეს ედუარდ შევარდნაძეს? რა იყო სააკაშვილის თიკუნი? რატომ ტიროდა ზურაბ ჟვანია შევარდნაძესთან მოლაპარაკების შემდეგ? სად წავიდა კობა ნარჩემაშვილი სააკაშვილთან დაპირისპირების შემდეგ? ვინ დაარწმუნა შევარდნაძე, რომ ის უნდა ჩასდგომოდა სათავეში „მოქალაქეთა კავშირის“ საარჩევნო სიას? — ამ და სხვა მრავალ საინტერესო საკითხზე „ვარდების რევოლუციიდან“ 14 წლის თავზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია:**

— „ვარდების რევოლუციისთვის“ მზადება მაშინ დაიწყო, როდესაც პარტიული სიები იწერებოდა, დაახლოებით 2003 წლის ივნისში. რადგან სიები ვახსენე, აქვე გეტყვით, ალბათ, ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელშიც დღემდე 3 მილიონი ადამიანი ვერ დაუთვლიათ, და XXI საუკუნეში გვაქვს საარჩევნო სისტემა, რომლის მიხედვით უბანზე ბიულეტენების დამთვლელი ხალხის პარტიული კუთვნილება წყვეტს არჩევნების ბედს. იმხანად **ამ სიების შესაქმნელად ამერიკის საელჩომ და ამერიკულმა ორგანიზაციებმა ათასგვარი გრანტი დაარიგეს. „რუსთავი 2“ აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში და კიდევ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია.** სახელმწიფო სტრუქტურებიდან სიების ფორმირებას შს სამინისტრო და პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი **მაია ცაცანაშვილი** კურატორობდა. სამწუხაროდ, სახელმწიფო სტრუქტურებმა ამ პროცესს ნორმალურად ვერ მიადევნეს თვალი, რაც კარგად გამოიყენეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ადრინდელზე უარესი დომხალი წარმოიქმნა. ეს იყო ერთ-ერთი საბაბი „ვარდების რევოლუციისა“.

**— თქვით, სახელისუფლო სტრუქტურებმა სიების ფორმირებას ვერ მიადევნეს თვალიო, ეს მიზანმიმართული ქმედება ხომ არ იყო?**

— ალბათ, უფრო ზერელე, თვითდაჯერებული დამოკიდებულება იყო საკითხისადმი. თავიდანვე, როდესაც სიებზე ქაოსური ვითარება შეიქმნა, ვხედავდი, რომ პროცესები რთულად წარიმართებდა. გახსოვთ, ალბათ, რომ უშიშროების სამინისტრო მაქსიმალურად ჩამოაშორეს პოლიტიკას — აგვეკრძალა პოლიტიკურ პარტიებზე მუშაობა და ეს სწორიცაა, თუმცა დღეს უშიშროების მხრიდან პოლიტიკურ პარტიებზე მუშაობა კვლავ გრძელდება. ასევე ყველას გვახსოვს, რა წარმატებით მუშაობდა სააკაშვილის რეჟიმის უშიშროების სამსახური პოლიტიკურ პარტიებზე. არადა, პოლიტიკური პარტიების კონტროლი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ხდებოდეს, როცა სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან აქვთ დადასტურებული კავშირი.

**— რევოლუციის ლიდერები გარე ძალებთან რომ თანამშრომლობდნენ, ნათელი იყო. თვითონაც თქვით, რომ ამერიკის საელჩო და ამერიკული კომპანიები აფინანსებდნენ პროცესს, ეს არ იყო „დადასტურებული საფუძველი“ იმისა, რომ პოლიტიკურ პარტიებზე გემუშავათ?**

— ამერიკის შეერთებულ შტატებთან ოფიციალურ დონეზე იყო ეს ურთიერთობა განსაზღვრული და „რევოლუციონერებს“ დაფინანსებაც ღიად ეძლეოდათ. როდესაც ენ-დი-აი, აი-რა-ი, იუსაიდი, ამერიკის საელჩო დაუფარავად არის პროცესში ჩართული და აფინანსებს არასამთავრობო ორგანიზაციებს, უშიშროებამ რაზე უნდა იმუშაოს, აქ ხომ მუშაობის გარეშეც ჩანს დამფინანსებელიც და დაფინანსების მიმღებიც?! დასადასტურებელი და გამოსაკვლევიც არაფერია...

**— თუ ყველაფერი დადასტურებული იყო, რატომ არ მოხდა რეაგირება?**

— ამაზე შეიძლება იმსჯელოს პროკურატურამ და შს სამინისტრომ, და თუ დანაშაული იკვეთება, საქმეს სათანადო სამართლებრივი კვალიფიკაცია და მსვლელობა მისცეს; ამაზე შეიძლება ისაუბროს მოწინააღმდეგე პოლიტიკურმა ძალამ, მაგრამ სპეცსამსახურების ამ საქმეში გამოყენება დანაშაულია. მოცემულ შემთხვევაში სპეციალურად იყო გახსნილი ეს ურთიერთობა, „რევოლუციური ძალები“ სპეციალურად ფინანსდებოდნენ ღიად, რათა სპეცსამსახურებს არ ჰქონოდათ ვითარების კრიმინალად კვალიფიცირების საფუძველი. იმ ქვეყნის სპეცსამსახურებთან, რომლებიც ჩვენს



## როგორ მზადდებოდა «ვარდების რევოლუცია» და როგორ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება «არმაგედონმა»

პარტნიორებად ითვლებიან, ურთიერთობა სრულიად ღია იყო და ასეა დღესაც. ასეთ დროს უფრო პოლიტიკური რეაგირება უნდა მოხდეს და არა ფარულად უშიშროების სამსახურების.

**— დავუბრუნდეთ „ვარდების რევოლუციის“ მომზადების პერიოდს...** ...

— როგორც გითხარით, სრულად ჩამომაშორეს პოლიტიკურ პროცესებს და, მართალი გითხარათ, ვითარების შესწავლის არც ძალა გვქონდა და არც რესურსი. ყველაფერი პირად ურთიერთობებსა და ინტუიციაზე იყო დამოკიდებული. ივნისში, როდესაც უკვე ჩანდა, რომ პოლიტიკური ესკალაცია მზადდებოდა, **შევარდნაძეს** ვუთხარი: თქვენ ისევ „მოქალაქეთა კავშირის“ სიის სათავეში ხართ და პროცესები, შესაძლოა, რთულად განვითარდეს-მეთქი. სიის შედგენაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი **მაია ცაცანაშვილი, ვიტალი ხაზარაძე, ავთანდილ ჯორბენაძე, ვაჟა ლორთქიფანიძე. ლევან მამალაძეს** ცალკე ფლანგი ჰქონდა, ცალკეულ ბიზნესჯგუფებს თავიანთი ხალხი ჰყავდათ და მე არც დამიძახეს. მიდგომა იყო ასეთი: უშიშროების მინისტრს არავინ ეკითხება, სიაში ვის ჩავწერთო.

**— რა გიპასუხათ შევარდნაძემ, როდესაც უთხარით, რომ საქმე რთულად იყო?**

— მითხრა: რა რთულია სიის შედგენა, იცი? **ჯანსუღ ჩარკვიანიც** კი ვერ ჩავსვით სიაშიო. მივხვდი, რომ, ცუდად კი არა, ძალიან ცუდად იყო საქმე. მიუხედავად ამისა, მაინც გავაცანი ჩვენი, ე.წ. საჯაიას ბიჭების (ასე გვეძახდნენ) ინიციატივა. **შევარდნაძეს შევთავაზეთ, ახალ სიას არ ჩასდგომოდა სათავეში და ორგანიზებას გავუწევდით სხვა სიის შედგენას, რომელსაც სათავეში ქარიზმული და ნიჭიერი ადამიანი, კონტროლის პალატის იმჟამინდელი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი ჩაუდგებოდა.** მოლაშვილის ხმაურიანი გადადგომა და ახალი სახეების გამოჩენა შანსებს ერთიორად გაზრდის, ბოლოს კი ყველა გამარჯვებული პარტია თქვენთან მოვა, ბატონო ედუარდ-მეთქი. თანაც არჩევნების მთავარი გამყალბებლები — **მიხეილ მაჭავარიანი** და **ხათუნა გოგორიშვილი** — ოპოზიციაში იყვნენ და სახელისუფლო გუნდს გაყალბების ტექნიკური ბაზაც არ ჰქონდა. ეს ახალი ინიციატივა გვეკუთვნოდა მე, **სულხან მოლაშვილს, კობა ნარჩემაშვილს, სულხან პაპაშვილსა და ლადო ჭანტურიას**, ისიც იყო ამ პროცესში ჩართული, თუმცა მერე ისეთი როლი ითამაშა...

**— რას გულისხმობთ?**

— ლადო ჭანტურია ბოლოს მოვიდა შევარდნაძესთან და უთხრა, რომ არჩევნების შედეგების პროპორციული ნაწილი უნდა გავაუქმოო. მაჟორიტარული დატოვეს. ამან კიდევ უფრო დიდი დომხალი გამოიწვია და აბსურდამდე მივედით. ლადოს ეს პოზიცია მანამდე რომ დაეკავებინა, პროცესები, შესაძლოა, სხვაგვარად განვითარებულიყო. სამწუხაროდ, ამ საუბრის შემდეგ შევარდნაძე ერთი კვირის განმავლობაში არ დაკავშირებია მოლაშვილს. სხვათა შორის, სულ მიკვირდა ერთი რამ: კონტროლის პალატის თავმჯდომარესა და პრეზიდენტს არ ჰქონდათ ისეთი ურთიერთობა, რომ ყოველდღიური სასაუბრო ჰქონოდათ, მაგრამ სულხანი თვითონ იყო აქტიური კაცი და ხშირად ესაუბრებოდა პრეზიდენტს. მე ვიცოდი ამის შესახებ, რადგან ჩემი უწყების საქმე იყო იმის კონტროლი, ვინ რეკავდა პრეზიდენტთან. სხვათა შორის, **შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის საუბრები რომ გამოქვეყნდა, ვიღაცებმა დაარწმუნეს შევარდნაძე, თითქოს მე ვუსმენდი. არადა, ეს საუბრები აბაშიძის ჩაწერილი იყო.** მერე გაბრაზებულმა ჩემზე ისიც კი თქვა, სულ ორჯერ მყავს ნანახი, წესიერად არც კი ვიცნობდიო.

**— ბატონო ვალერი, თქვით, თქვენი შეთავაზების შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში არ დაურეკა პრეზიდენტმა მოლაშვილსო, რა მოხდა შემდეგ?**

— მოლაშვილმა თქვა, ბაბუ ჩვენზე გაბრაზდა და ახლა ყველას მოგვხსნისო. სხვათა შორის, მალევე გავრცელდა ხმა, თითქოს პრეზიდენტის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა, რომელშიც ვმონაწილეობდით მე, ნარჩემაშვილი და პაპაშვილი. ამ ხმების გავრცელებას ხელი შეუწყო ფინანსთა იმჟამინდელმა მინისტრმა **მირიან გოგიაშვილმა.** გახსოვთ, ალბათ, ნავთობპროდუქტების შემოტანაზე პრობლემები შეიქმნა. სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძეს ვუთხარი, გოგიაშვილი პრობლემებს ქმნის, ვერ ხედავს საკითხს ამ კუთხით და იქნებ დაველაპარაკოთ, ავუხსნათ, გვითხრას, რა უჭირს-მეთქი. გოგიაშვილმა ჩათვალა, რომ მას დავუპირისპირდით, გაბრაზებული გაგვექცა საუბრისას, მივიდა შევარდნაძესთან და მიიყვანა თავისი მამა — ომარი, პატარა ბავშვივით მოიქცა. სხვათა შორის, **სწორედ ომარ გოგიაშვილმა და, როგორც ვიცი, რეზო ამაშუკელმა დაარწმუნეს შევარდნაძე, რომ საარჩევნო სიას სათავეში ჩასდგომოდა. ეს შევარდნაძემ თვითონ მითხრა.** როგორც აღვნიშნე, ნავთობპროდუქტების შემოტანა-რეალიზაციის საკითხში პრობლემები იყო და შევთავაზე პრეზიდენტს, ამ საკითხის კონტროლს საკუთარ თავზე ავიღებ-მეთქი. კობა ნარჩემაშვილს კონტრაბანდული სიგარეტის გაკონტროლება ჩააბარეს. ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე გეტყვით, რომ გაცილებით უკეთესი შედეგი მქონდა, ვიდრე შს მინისტრს. რადგან საწვავის ძირითადი ნაწილი თბილისში იყიდებოდა, უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები დავაყენეთ ბენზინგასამართ სადგურებზე. ახლა, შესაძლოა, ვიღაცამ მითხრას, მოგიშიშვლებია სამინისტრო და, ჯაშუშების დევნის ნაცვლად, ბენზინს აკონტროლებდიო, მაგრამ რა ჯაშუშების დევნაზეა საუბარი, არაფრის თავი არ გვქონდა და სადღაც ხომ უნდა გვქონოდა შედეგი. თუ მანამდე 12 ათასი ტონა საწვავის რეალიზაცია აღირიცხებოდა, კონტროლის შედეგად ეს რაოდენობა 50 ათას ტონამდე გაიზარდა. შევარდნაძეს მონაცემები რომ გავაცანი, თქვა, შედეგი ხელშესახებია, მაგრამ გოგიაშვილმა მითხრა, თითქოს რეალიზატორებს აშინებთ, რომ ამ თვეებში მეტი საწვავი შემოეტანათო. ხუმრობით ვუპასუხე: თუ ჩემი შიშით შემოაქვს ამ ხალხს ამდენი ►



## „ვთვლი, რომ დაცვას შევარდნაძე არ უნდა გაეყვანა პარლამენტიდან. ვერაფერს იზამდნენ და იქვე მოხდებოდა ესკალაციის ლოკალიზება“.

14 წლის შემდეგ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «სააკაშვილი ჟორბენაძეს ევაჭრებოდა, რომ არ შეეშვათ პარლამენტში ბურჯანაძე-ჟვანიას ტანდემი; არ შეეშვათ «ახლი მემარჯვენეები» და პირველი და მეორე ადგილები «ნაციონალურ მოძრაობასა» და «მოქალაქეთა კავშირს» გაეყოთ»



**«ვაჭრობის პროცესში ჩაერთო პატარკაციშვილიც, რომელიც «ახალი მემარჯვენეების» პარლამენტში შესვლას ითხოვდა, და იყო დიდი ვაჭრობა გაჩაღებული. საბოლოო შედეგიც არ გამოაქვეყნა ცესკომ. ამ პერიოდში ოპოზიციური ფლანგი ძალებს იკრებდა, ხელისუფლება კი სუსტდებოდა. სააკაშვილის დათვლით, მას 36 მანდატი ეკუთვნოდა, ხელისუფლება კი აცხადებდა, რომ ნაციონალებმა 30 მანდატი მოიპოვეს და ამ 6 საპარლამენტო ადგილს გადააყოლეს ყველაფერი»**

◀ საწვავი, მაშინ სხვა თანამდებობაზე უნდა ვიყო-მეთქი.

**— თქვენ მიერ შევარდნაძისთვის შეთავაზებული გეგმის განხორციელებას რამ შეუშალა ხელი?**

— მოლაშვილს უნდა გაეკეთებინა ხმაურიანი განცხადება და გადამდგარიყო. ჩვენ ვერ ვაიძულებდით მოლაშვილს ამის გაკეთებას. სამწუხაროდ, სულხანმა ეს ნაბიჯი ვერ გადადგა. მას უნდოდა, ეს ყველაფერი შევარდნაძის მხარდაჭერით მომხდარიყო და ჩათვალა, რომ ეს მხარდაჭერა არ ჰქონდა. თანაც „ნაციონალური მოძრაობა“ იმხანად სერიოზულად არ აღიქმებოდა. როდესაც არჩევნები დამთავრდა, დაიწყო ე.წ. ეგზიტპოლების ომი. ერთ მხარეს იყო **ბადრი პატარკაციშვილი** „იმედით“, მეორე მხარეს — **ეროსი კიწმარიშვილი** „რუსთავი 2“-ით. ვფიქრობ, ეგზიტპოლები არც ჩატარებულა, ისე დადეს ციფრები ტელევიზიებმა. სხვათა შორის, კიწმარიშვილმა **სააკაშვილზე** არჩევანი ბოლოს გააკეთა, მანამდე ის **ბურჯანაძესა** და **ჟვანიას** უჭერდა მხარს. როდესაც დაინახა, რომ მათთვის საარჩევნო ბარიერის გადალახვა პრობლემა იყო, ტორპედოდ აქცია სააკაშვილი, რომლის პოლიტიკური თიკუნიც იყო **არმაგედონი**, დამანგრეველი და ასეთად დარჩა პოლიტიკაში.

**— ვინ შეარქვა სააკაშვილს ეს მეტსახელი?**

— ეროსი კიწმარიშვილმა. და სააკაშვილს ყველა არმაგედონს ეძახდა... ეგზიტპოლების პარალელურად ცესკოს წინასწარი მონაცემებიც ცნობილი შეიქნა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ რეალურად დააგროვა იმდენი ხმა, რამდენიც წინასწარი შედეგით ჩანდა. ძალიან ცუდი როლი ითამაშა აჭარის ხელისუფლებამ, როდესაც ხელოვნურად გაზარდა ამომრჩევლების რაოდენობა და ისეთი შედეგი მიიღო, სააკაშვილი აღმოჩნდა მესამე ადგილზე. ამის შემდეგ დაიწყო ვაჭრობა. **სააკაშვილი ჟორბენაძეს ევაჭრებოდა, რომ არ შეეშვათ პარლამენტში ბურჯანაძე-ჟვანიას ტანდემი; არ შეეშვათ „ახლი მემარჯვენეები“ და გაეყოთ პირველი და მეორე ადგილები „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „მოქალაქეთა კავშირს“. ვაჭრობის პროცესში ჩაერთო პატარკაციშვილიც, რომელიც „ახალი მემარჯვენეების“ პარლამენტში შესვლას ითხოვდა, და იყო დიდი ვაჭრობა გაჩაღებული. საბოლოო შედეგიც არ გამოაქვეყნა ცესკომ. ამ პერიოდში ოპოზიციური ფლანგი ძალებს იკრებდა, ხელისუფლება კი უფრო სუსტდებოდა. სააკაშვილის დათვლით, მას 36 მანდატი ეკუთვნოდა, ხელისუფლება კი აცხადებდა, რომ ნაციონალებმა 30 მანდატი მოიპოვეს და ამ 6 საპარლამენტო ადგილს გადააყოლეს ყველაფერი.**

**— გამომდინარე იქიდან, რაც თქვით, უფრო მყარდება მოსაზრება, რომ შევარდნაძე შეთანხმებული იყო სააკაშვილსა და ჟვანიასთან და მათ ლანგრით მიართვა ხელისუფლება...**

— არა, ეს სისულელეა. შევარდნაძემ იცოდა შექმნილი ვითარების შესახებ, მაგრამ, ჩემის აზრით, მას ადეკვატურად ველარ აფასებდა. ფიქრობდა, რომ ისევ გაუმართლებდა და გაძვრებოდა. გარდა იმისა, რომ ჭკვიანი და ძლიერი პოლიტიკოსი იყო, ამასთანავე, იღბლიანიც გახლდათ, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ გამოძვრა სიტუაციიდან. ყველაფერს ართულებდა ის, რომ ჩვენ ფული არ გვქონდა — არც ერთმა ბიზნესმენმა არ მოიტანა ფული. შევარდნაძის ოჯახთან დაახლოებულმა ბიზნესმენებმაც კი არ მოიტანეს. ყველა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ინახავდა ფულს.

**— ვის ამზადებდა შევარდნაძე მემკვიდრედ?**

— ვფიქრობ, ერთხანს ყველაზე მეტად ლადო ჭანტურიაზე ფიქრობდა, უშიშროების საბჭოს მდივნობაც შესთავაზა, მართალია, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობიდან ეს დაქვეითება იქნებოდა, მაგრამ ამით შევარდნაძე მას კარტბლანშს აძლევდა, ლადომ კი უარი თქვა. ამის შემდეგ შევარდნაძე სხვებთანაც სინჯავდა ნიადაგს, ამას ეუბნებოდა სულხან მოლაშვილს, კობა ნარჩემაშვილს, მეც მეუბნებოდა, ხანდახან იმასაც იტყოდა, როგორც **ალიევმა** ქნა, მეც ისე ხომ არ მოვიქცევიო. **გია ჭანტურიაზეც** იყო საუბარი, ალბათ, ჟორბენაძესაც ეუბნებოდა იმავეს. შევარდნაძის უბედურება იყო ის, რომ მან არ განსაზღვრა თავისი მემკვიდრე და ამიტომ ყველა ერთმანეთს ჭამდა. არსებული ვითარებით კი კარგად ისარგებლა ოპოზიციურმა სპექტრმა. **ეს სცენარი სურათების ფრიალითა და რადიკალური ნაბიჯებით ამერიკულმა კომპანიამ ჟვანიას დაუწერა, მაგრამ მან ეს ვერ გააკეთა. ნათქვამია, სანამ ჭკვიანი ფიქრობდა, გიჟი ქალაქს გარბოდაო.**

**— გაიხსენეთ ეპიზოდი, როდესაც პარლამენტის კარი გააღეს...**

— ამას წინათ სულხან მოლაშვილის აპარატის უფროსის ინტერვიუ წავიკითხე, ამბობდა, პირველ ზოლს ხაბურძანია აკონტროლებდა, მეორეს — პაპაშვილი და მათ გაყიდეს შევარდნაძეო. შე მამაცხონებულო, რომ არ იცი, ნუ ლაპარაკობ მაინც! პარლამენტის დაცვა მთლიანად, სამივე კორდონით, საკუთარ თავზე ჰქონდა დაკისრებული შს სამინისტროს, რომელმაც ეს ფუნქცია ვერ შეასრულა, და მე ვეუბნებოდი ყველას, რომ პარლამენტის დაცვა გაჭირდებოდა. ბოლო, გაფართოებულ თათბირზე მითხრეს, შენ პანიკიორი ხარ, დაჯექი, არავინ არ გისმენსო.

**— ვინ გითხრათ, პანიკიორი ხარო?**

— შევარდნაძემ მითხრა, ვიცი შენი მოსაზრება, ჩავატარებ სესიას და ყველაფერი კარგად იქნებაო. მე კი ვთქვი, რომ შს სამინისტრო ვერ უზრუნველყოფდა პარლამენტის დაცვას. **მშიერ-მწყურვალი ჯარი, რომელიც მთავრობის წევრებს გვაგინებდა, შეასრულებდა დავალებას?** განწყობა ჩვენი საწინააღმდეგო იყო. გარდა ამისა, რა აზრი აქვს ჯარით პარლამენტში სხდომის გამართვას? **მომიტინგეებმა პირველი კორდონი რომ გაარღვიეს, მეორე კორდონთან თვითონ შს მინისტრი დახვდა სააკაშვილს, მაგრამ მანაც ხომ გაატარა?**

**— მაშინ, ალბათ, სხვა გზა უკვე აღარ იყო...**

— გადამრევთ თქვენ მე! **მაშინ მე რატომ მაბრალებთ, რომ მე გავუღე კარი?!**

**— ჩვენ ნამდვილად არაფერს გაბრალებთ...**

— თქვენ არა, საზოგადოება ვიგულისხმე. გაიხსენეთ, რა მოხდა შემდეგ, სად წავიდა შს მინისტრი? წავიდა და დაჯდა სამინისტროში. პარლამენტს, როცა მის კარს მოადგნენ, სახელმწიფო დაცვის სამსახური იცავდა. მომიტინგეებს ნინო ბურჯანაძე მოუძღოდა, რომელმაც დაცვას მიმართა: გაატარეთ პარლამენტის თავმჯდომარეო, და მათაც გახსნეს კარი. ყველა გაიქცა. მე სულელივით დავრჩი იქ, რადგან შემრცხვა გაქცევის. დღესაც ვისჯები ამისთვის. **სააკაშვილს, რომელსაც ჯავშანჟილეტი ეცვა და კორდონებს არღვევდა, იცით, ვინ იცავდა? — პოლიცია.** ვთვლი, რომ დაცვას შევარდნაძე არ უნდა გაეყვანა პარლამენტიდან. ვერაფერს იზამდნენ და იქვე მოხდებოდა ესკალაციის ლოკალიზება. სტაცა დაცვამ ხელი აკანკალებულ მოხუცს და გაიყვანა სხდომათა დარბაზიდან, მერე ჩაიყვანეს აჭარიდან ჩამოსული მოსახლეობის მიტინგზე, ჩასვეს მანქანაში და გააქციეს. მხედართმთავარი გაიქცა და დამთავრდა ომი. მას შემდეგ, რაც შევარდნაძე წაიყვანეს, წავედი სამინისტროში. დამირეკეს, — შევარდნაძე უკვე რეზიდენციაშია და მოდიო. დაუძახეს კობა ნარჩემაშვილს, თავდაცვის მინისტრ **დავით თევზაძეს**, სახელმწიფო დაცვის სამსახურის ხელმძღვანელ სულხან პაპაშვილს. შევარდნაძემ თქვა, საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოვაცხადოო, და დაიწყო დავალებების მიცემა ნარჩემაშვილისა და თევზაძისთვის. მე უკვე ალმაცერად მიყურებდა ყველა. ვერ მოვითმინე და ვიკითხე: დათო, რომ იწერ ამას, ჯარს გამოიყვან-მეთქი? უარი თქვა, პარლამენტის ნებართვის გარეშე როგორ გამოვიყვანო. მაშინ რატომ იწერ, სადაა პარლამენტი-მეთქი? სულხან პაპაშვილი მიხვდა, რომ ეს ბოლო წვეთი იყო და შევარდნაძეს უთხრა: ბატონო პრეზიდენტო, რასაც ახლა ამათ ავალებთ, შემსრულებელი არც ერთი არ არისო. შევარდნაძემ, — წადით და გეგმა შეიმუშავეთო. წავედით შს სამინსიტროში. გზაში ავთო ჯორბენაძემ თქვა: რაღაც ვერ ვარ კარგად, ოფლი მასხამს და თქვენ წადითო. წავედით მე, **კობა ნარჩემაშვილი** და **აკაკი ზოიძე**, ახლაც ხელისუფლებაშია ორივე. დაიბარა ნარჩემაშვილმა ქალაქის სამმართველოს უფროსი **ლევან მაისურაძე** და ეუბნება: პარლამენტის შენობა უნდა გავათავისუფლოთო. ვუთხარი, ამდენი თუ შეგეძლოთ იქ არ იყავით, გათავისუფლებისას მსხვერპლი ხომ იქნება-მეთქი? — კი მსხვერპლი იქნებაო, — დამეთანხმა ნარჩემაშვილიც. ლევან მაისურაძე მიხვდა, რომ მისი გასაკეთებელი გახდებოდა ეს საქმე და მხარი დამიჭირა. პარლამენტში იარაღი უკვე შეტანილი იყო და, როგორც კი იქ პოლიცია შეიჭრებოდა, სისხლი დაიღვრებოდა. მოკლედ, ვითათბირეთ და კრება დარჩა მხიარული, ჯორბენაძესაც მოვახსენეთ ამის შესახებ და, რადგან გვიანი იყო, შევთანხმდით, რომ დილით შევარდნაძესთან შევიკრიბებოდით. ამასობაში გვამცნეს ახალი ამბავი, უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე **თედო ჯაფარიძე ანზორ ბალუაშვილმა** ჩაანაცვლაო. შევარდნაძესთან რომ შევიკრიბეთ, მოვიდა ლადო ჭანტურია და შევარდნაძეს განუცხადა, არჩევნების შედეგის პროპორციული ნაწილის გაუქმებას ხელი უნდა მოვაწეროო. შევარდნაძე ძალიან გაბრაზდა (შეეტყო გამომეტყველებაზე) და თქვა: იქნებ მაინც დაელაპარაკოთო. ლადომ უთხრა, რომ მოლაპარაკებაზე წავიდოდა. მივხვდი, იქ ჭანტურიას მარტო გაშვება არ შეიძლებოდა და შევარდნაძეს ვუთხარი, მეც გავყვები-მეთქი.

**— როგორ წარიმართა მოლაპარაკების პროცესი?**

— სააკაშვილს, ბურჯანაძესა და ჟვანიას დაახლოებით ასეთი მოთხოვნები ჰქონდათ: გაუქმებულიყო არჩევნების შედეგები და პრეზიდენტი გადამდგარიყო. ერთმანეთში მოსალაპარაკებლად ერთი საათი ითხოვეს დრო. მე და ჭანტურია უზენაეს სასამართლოში წავედით. ვატყობდი, ცუდად გვქონდა საქმე. რომ დავბრუნდით, **სააკაშვილი კიბეზე ჩამორბოდა. შეგვეჩეხა და ჩვეული სულელურად გაბადრული სახით გვითხრა, შინაგანი ჯარი ჩვენკენ გადმოვიდა და აღარ მოვდივართ მოლაპარაკებაზეო. ჩაიქროლა და გაიქცა.** დავრეკე და დამიდასტურეს, **გულუას** სპეცრაზმი მთლიანად სააკაშვილის მხარეს გადავიდაო. ვნახეთ ჟვანია და ბურჯანაძე, მათაც იგივე გვითხრეს. ლადომ თქვა, მე ამ ინფორმაციით შევარდნაძესთან ვერ დავბრუნდებიო და წავიდა. მე კი კრწანისის რეზიდენციაში მივედი. ამასობაში რუსეთის საგარეო საქმეთა იმჟამინდელი მინისტრი **იგორ ივანოვიც** ჩამოვიდა. მის ჩამოსვლას, ფაქტობრივად, არანაირი დატვირთვა არ ჰქონია. მოგვიანებით, სააკაშვილმა და ჟვანიამ ბურჯანაძე დატოვეს აქციაზე და თვითონ წამოვიდნენ რეზიდენციაში მოლაპარაკებაზე. შევარდნაძემ დაუძახა ჯორბენაძეს, ამ მომენტში მე ვიყავი მასთან, იქვე იყვნენ **ირაკლი ალასანია** და **ლაშა ნაცვლიშვილი.** შევარდნაძემ თქვა, ზედმეტი ხალხი გავიდესო, ალასანია აღარ მოსწონდა უკვე. შემოვიდა ჯორბენაძე და უთხრა, მოლაპარაკებაზე შევიდეთო. მე გამოვედი გარეთ, დავუძახე ნარჩემაშვილსა და პაპაშვილს, ვუთხარი, შევარდნაძე გადადგება და ჩვენ ასე დაგვტოვებს-მეთქი. ისე აგიხდეთ ყველაფერი. მოლაპარაკების დასრულების შემდეგ გაფითრებულმა სააკაშვილმა ჩამოირბინა კიბეზე, შევარდნაძეც გამოვიდა და მესმის სიტყვები: „წავედი სახლში“. იქვე იყო ჯორბენაძეც. არ ჩანდა ზურაბ ჟვანია. შევედი ოთახში, **ჟვანია იდგა ბუხართან, კარისკენ ზურგით, და, რომ შემობრუნდა, ხელები უცახცახებდა, ის ტიროდა.**

**— რატომ ტიროდა?**

— ისეთი რაღაცები ილაპარაკა ედუარდმა, მათ შორის, **ნანულიზე**, თავი ვერ შევიკავეო. რადგან ტრიუმვირატს გადაბარდა ხელისუფლება, მიშა უკვე ფიქრობდა, როგორ მოეხდინა ხელისუფლების სრული უზურპაცია. სააკაშვილი ის კაცი არ არის, ვინმესთვის გაენაწილებინა ძალაუფლება. ასე ვითარდებოდა მოვლენები, რაც ე.წ. ვარდების რევოლუციით დაგვირგვინდა.

ესაუბრა
**ნიკა გელაშვილი**

აქტუალური თემა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„როგორც კი საზოგადოება სისუსტეს გამოიჩენს, გეიმოძრაობის მხარდასაჭერად გამოიყოფა უზარმაზარი თანხები და გეიაქტივისტები მოვლენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მოედებიან ტელევიზიებს, რადიოს, მასობრივი ტირაჟით გამოუშვებენ გაზეთებსა და ჟურნალებს. შემდეგ თავს მოგვახვევენ იუვენალურ იუსტიციას, რათა საბოლოოდ ჩამოაშორონ შვილები მშობლებს“.

# მხოლოდ ერის კონსოლიდაციით შეიძლება იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელსაც სოდომიის იდეოლოგიის პროპაგანდა ჰქვია

**2012 წლის 17 მაისს, როდესაც რამდენიმე ლგბტ-მ და მათმა მხარდამჭერებმა ჰომოსექსუალური აქციის გამართვა სცადეს თბილისის ცენტრში, მაგრამ დედაქალაქელების წინააღმდეგობას წააწყდნენ, ხოლო ერთი წლის შემდეგ უკვე ასიათასამდე აღშფოთებული ადამიანის რისხვას ძლივს გადაურჩნენ გეიაღლუმის ჩატარების მცდელობის გამო, ბევრი ირონიულად შენიშნავდა: „რას ერჩით, თუ უნდათ, შეიკრიბონ ეს ჰომოსექსუალები და იარონ ქუჩებში თავიანთი პლაკატებით, ისინი საქართველოში ფეხს ვერასოდეს მოიკიდებენ“-ო, მაგრამ, სულ რაღაც, 3-4 წელიწადში დასავლური გლობალისტური ძალების მხარდაჭერითა და დაფინანსებით შეგულიანებულმა ანტისახელმწიფოებრივმა, მართლმადიდებლობისა და ქართული ტრადიციული ფასეულობების წინააღმდეგ მებრძოლმა ძალებმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს პოზიციები საქართველოში.**

ბევრისთვის მოულოდნელი იყო, რომ საქართველოს პარლამენტმა, რომლის უმრავლესობას „ქართული ოცნების“ დეპუტატები წარმოადგენენ, 2014 წელს ერთხმად მიიღო ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, ხოლო მიმდინარე წელს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 17 მაისი ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოაცხადა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტმა 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმაში 17 მაისს ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის აღნიშვნა შეიტანა. 2017 წლის ოქტომბრის ბოლოს კი საქართველოს მთავრობამ №488 დადგენილებით დაამტკიცა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები“, რომელთა მიხედვით საბავშვო ბაღებში აღმზრდელებმა ბავშვები არ უნდა დაყონ გოგონებად და ბიჭებად, ასწავლონ მათ, რომ ტრანსგენდერობა ნორმაა, ხოლო გენდერი არჩევითია — გენდერულ იდენტობას — ბიჭი ხარ თუ გოგო, ბიოლოგიური სქესი კი არა, ადამიანის არჩევანი და თვითგანცდა განსაზღვრავს. ეს ე.წ. სტანდარტები, რომლებიც გენდერულად ნეიტალური საბავშვო ბაღების შექმნისა და სასწავლო სისტემაში გენდერული იდეოლოგიის შეტანის პირველი ეტაპია, დასავლეთის მიერ არის თავსმოხვეული და მომდინარეობს სქესთა აღრევის თეორიიდან, რომელიც ეწინააღმდეგება ღვთისა და ბუნების კანონებს.

ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს ვერც კი წარმოედგინა, რომ ჰომოსექსუალიზმის მხარდამჭერები და პროპაგანდისტები მოახერხებდნენ ამ ნაბიჯების გადადგმას და ტრადიციული ოჯახისთვის, საერთოდ, ქართული ფასეულობებისთვის მომაკვდინებელი საფრთხის შექმნას, თუმცა ამ საფრთხეებზე ჯერ კიდევ წლების წინათ გვაფრთხილებდა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია.**

აი როგორ აფასებს ის 2013 წლის 17 მაისს თბილისში გეიაღლუმის ჩატარების მცდელობას, რომელმაც ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია, ზოგიერთმა კი ეს მოვლენა საზოგადოებაში განხეთქილების შეტანის მცდელობად აღიქვა:

**„მე არ დავარქმევდი მომხდარს განხეთქილებას საზოგადოებაში. განხეთქილება ვარაუდობს საზოგადოების გაყოფას ორ ან რამდენიმე დაახლოებით ტოლ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან. განხეთქილებაა პარიზში, ლონდონში, სადაც ჰომოსექსუალთა და მათი თანამგრძნობი მოქალაქეების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ქალაქის მერად ღია პედერასტს ირჩევენ. განხეთქილებაა ამერიკაში, სადაც ზანგმაც კი შეძლო, გამხდარიყო პრეზიდენტი, როდესაც გეითანამეგობრობის მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობა დადო, ანუ თეთრკანიანი ამერიკელების გენეტიკურმა რასიზმმა პედერასტიის მომხრეთა შეტევის წინაშე უკან დაიხია. ჩვენთან, მადლობა ღმერთს, ამ მოვლენის ჯერჯერობით სერიოზული გავრცელება არ მოხდა. არიან ახალგაზრდები, რომლებიც განიმსჭვალნენ გეიიდეოლოგიით დასავლურ უნივერსიტეტებში სწავლისას ან აქ, საქართველოში, უცხოელებთან ურთიერთობისას, და არის ხალხი, რომელიც დასავლეთისგან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წევრია და ფულისთვის ასრულებს გარკვეულ მითითებას. აქვს თუ არა პერსპექტივა მათ საქმიანობას? დიახ, აქვს. თუ ხელისუფლება და ქართველი საზოგადოება ჯიუტად გააგრძელებენ ე.წ. ევროპული ღირებულებების მიმართ ერთგულების დეკლარირებას, ანუ გააგრძელებენ შევარდნაძე-სააკაშვილის გეზით სვლას, მაშინ უნდა გაითვალისწინონ, რომ პედერასტია თანამედროვე „ევროპული ღირებულებების“ განუყოფელი ნაწილია, მეტიც, ეს ამა თუ იმ სახელმწიფოს „ევროპულობის“ მთავარი მაჩვენებელია. მსოფლიოში იგი მზარდი ტემპით ვითარდება, რასაც ხელს უწყობს ათასობით სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მედია, კინოინდუსტრია. თუ 15-20 წლის წინათ პედერასტია ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციისა და ცივილიზაციის სიმდიდრით გამძღარი მდიდრებისა და მათი შვილების გარემოში მხოლოდ „მოდა“ იყო, დღეს ეს დასავლური ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტია. ეს მოხდა ძალიან მოკლე ისტორიული პერიოდში... ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. დიახ, 17 მაისმა დაგვანახვა, რომ ქართველ საზოგადოებაში ეროვნული ღირსების გრძნობამ გაიღვიძა ან, შესაძლოა, თვითგადარჩენის ინსტინქტი ამუშავდა. ჩვენი ხალხის ღირსებას, უკვე 20 წელზე მეტია, ფეხქვეშ თელავენ და ბევრ დამკვირვებელს გაუჩნდა შთაბეჭდილება, რომ ღირსების გრძნობა ჩვენს საზოგადოებაში მოკვდა. დიაგნოზი, მე მგონი, ნაადრევია, მაგრამ უნდა ნათლად გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ შევეჯახეთ არა ერთ მუჭა გეებსა და მათ თანამგრძნობ ქართველ „ევროპელებს“, არამედ მძლავრ საერთაშორისო ძალას, რომლის უკანაც შეერთებული შტატები —საქართველოს ფაქტობრივი პატრონი, და მთელი ევროპა დგანან. ძალიან არათანაბარი ძალებია“** *(ალექსანდრე ჭაჭია: „თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ „ღირებულებებს“, დავიღუპებით!“, „საქართველო და მსოფლიო“ №19 (206), 29 მაისი — 4 ივნისი, 2013 წ.).*



**«თუ ხელისუფლება და ქართველი საზოგადოება ჯიუტად გააგრძელებენ ე.წ. ევროპული ღირებულებების მიმართ ერთგულების დეკლარირებას, ანუ გააგრძელებენ შევარდნაძე-სააკაშვილის გეზით სვლას, მაშინ უნდა გაითვალისწინონ, რომ პედერასტია თანამედროვე «ევროპული ღირებულებების» განუყოფელი ნაწილია, მეტიც, ეს ამა თუ იმ სახელმწიფოს «ევროპულობის» მთავარი მაჩვენებელია»**

* და მართლაც — ევროპის ბევრი ქალაქის მერი იყო და არის ჰომოსექსუალი, მაგალითად, ბერლინის — **კლაუს ვოვერაიტი**, პარიზის — **ბერტრან დელანოე**, ვინიპეგის (კანადა) — **გლენ მიურეი**, ჰამბურგის — **ოლე ფონ ბოისტი**, პროვიდენსის (როდაილენდის შტატი, აშშ) — **დევიდ სისელინი**, კასპერის (ვაიომანგი, აშშ) — **გაი პაჯეტი**, სან-დიეგოს (კალიფორნია, აშშ) — **ტონი ატკინსი**, კარტერტონის (ახალი ზელანდია) — **ჯორჯინა ბაიერი.** ჰომოსექსუალია ირლანდიის ამჟამინდელი პრემიერმინისტრი ლეო ვარადკარი, ლუქსემბურგის პრემიერი **ქსავიე ბეტელი**, სერბეთის — **ანა ბრნაბიჩი**, გეია გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი **გიდო ვესტერველე**, ლატვიის საგარეო საქმეთა ამჟამინდელი მინისტრი **ედგარ რინკევიჩი**, ამერიკელი კონგრესმენი **შონ მელოუნი**, კალიფორნიელი სენატორი **როი ეშბერნი**, აშშ-ის არმიის მდივანი **ერიკ ფენინგი** და სხვ. ისინი აქტიურად ეწევიან ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას. ჰომოსექუალები დასავლეთში პრივილეგიურ კლასად იქცნენ. შეაღწიეს რა მმართველ წრეებში, დაიწყეს კანონმდებლობის საკუთარ თავზე მორგება. შედეგად იღებენ შეღავათებს. რაც შეეხება ქართველ საზოგადოებას, უკვე აშკარაა, რომ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის დიდ წნეხშია მოქცეული.

**ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის, ლგბტ თემის დაფინანსებისა და მხარდაჭერის სავალალო შედეგებზე ალექსანდრე ჭაჭია ამბობს:**

„როგორც კი საზოგადოება სისუსტეს გამოიჩენს, გეიმოძრაობის მხარდასაჭერად გამოიყოფა უზარმაზარი თანხები და გეიაქტივისტები მოვლენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მოედებიან ტელევიზიებს, რადიოს, მასობრივი ტირაჟით გამოუშვებენ გაზეთებსა და ჟურნალებს. შემდეგ თავს მოგვახვევენ იუვენალურ იუსტიციას, რათა საბოლოოდ ჩამოაშორონ შვილები მშობლებს. 5-10 წლის შემდეგ ველარ ვიცნობთ ჩვენს საზოგადოებას, იგი სხვანაირი გახდება, მაგრამ ამითაც არ დასრულდება საქმე. უზნეობას, როგორც ცნობილია, საზღვარი არ აქვს. **ჰოლანდიაში, მაგალითად, უკვე შეიქმნა პედოფილთა პარტია, რომელიც ითხოვს მათი უფლებების დაკანონებას. შვეიცარიაში ინცესტი, ანუ მშობლებსა და შვილებს, ძმებსა და დებს შორის სექსუალური ურთიერთობები ოფიციალურად ნებადართულია. ასეთივე კანონები მზადდება სკანდინავიის ქვეყნებში. აშშ-ში გახსნილია სკოლები არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ბავშვებისთვის. იურიდიული სფეროდან ქრება ისეთი ცნებები, როგორიც არის „მამა“, „დედა“, „ქმარი“, „ცოლი“. ამის ნაცვლად მიღებულია „მშობელიN1“, „მშობელიN2“, „პარტნიორები“. ეს ყველაფერი ჩვენამდეც მოვა. ერები, რომლებიც ამ „დასავლური ღირებულებების“ კულტივირებას მიჰყოფენ ხელს, დეგრადირდებიან და დაიღუპებიან. ამერიკასა და ევროპაში უკვე აღარ არის საყოველთაოდ აღიარებული ინსტიტუტები, რომლებსაც ძალუძთ, წინააღმდეგობა გაუწიონ ამ დეგრადაციას. პროტესტანტიზმის თითქმის ყველა შტო მხარს უჭერს ამ „თავისუფლებებს“ და ისინი სინამდვილეში გადაიქცნენ ფსევდორელიგიურ სექტებად. ისინი ჯვარს სწერენ ჰომოსექსუალებს, ანუ მათ ქორწინებას ღვთის სახელით აკურთხებენ! მათვე დაიწყეს ბიბლიის რედაქტირება — იმ ადგილების ამოღება, რომლებიც ჰომოსექსუალების იდეოლოგიისთვის მიუღებელია. აშშ-ში უკვე შეიქმნა ასეთი ბიბლია. კათოლიკურმა ეკლესიამაც ვერ შეძლო სახელმწიფო პროპაგანდისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობისთვის წინააღმდეგობა გაეწია და იმის შიშით, რომ არ დაეკარგა მრევლი, ასევე მიდის გარკვეულ დათმობებზე. ევროპელი ერები, ფაქტობრივად, მთავარი ზნეობრივი ორიენტირის — ქრისტიანული მორალის — გარეშე დარჩნენ. სურთ რა, არ დაკარგონ ადამიანური სახე, არ გადაიქცნენ პირუტყვებად, ბევრი იღებს დღეს ისლამს. მასობრივად გადადიან ისლამზე** ▶

**«ერები, რომლებიც ამ «დასავლური ღირებულებების» კულტივირებას მიჰყოფენ ხელს, დეგრადირდებიან და დაიღუპებიან»**

# „უკრაინელისა და ამერიკელის ხელმძღვანელობით ორი ქართველი და ორი ლიტველი. არანაირი იანუკოვიჩი. ყველაფერი ეს კეთდებოდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ევროკავშირის მფარველობით იმ „დემოკრატი ოპოზიციონერების მიერ, რომლებმაც უკრაინაში ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს“.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ეთნიკური ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, გერმანელები. მათ ამ რელიგიაში იზიდავს სექსუალური გარყვნილებების კატეგორიული უარყოფა, ოჯახის კულტი, ტრადიციების პატივისცემა, ბავშვების მაღალზნეობრივი აღზრდა... *(ალექსანდრე ჭაჭია: „ვფიქრობ, ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი“, „საქართველო და მსოფლიო“ № 21 (208), 12 — 18 ივნისი, 2013წ.).*

* ქართველი პოლიტიკოსის ეს პროგნოზიც, სამწუხაროდ, ზედმიწევნით ახდა — შესამჩნევად გაძლიერდა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა ქართულ მედიაში, განსაკუთრებით — ტელევიზიებში, იქამდეც კი მივიდნენ, რომ ნორმალურ ადამიანებს ჰომოფობის იარლიყს აწებებენ და ეთერში აღარ იწვევენ, ხოლო სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლების გარეშე თითქმის არც ერთი გადაცემა არ ჩაივლის.

**„საქართველო და მსოფლიოსთვის“ 2013 წელს მიცემულ ინტერვიუში ბატონი ალექსანდრე ჰომოსექსუალიზმის განვითარებისა და მოძლავრების მიზეზებს აანალიზებს და ასკვნის:**

„თუ 15-20 წლის წინათ პედერასტია ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციისა და ცივილიზაციის სიმდიდრით გამძღარი მდიდრებისა და მათი შვილების გარემოში მხოლოდ „მოდა“ იყო, დღეს ეს დასავლური ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტია. ეს მოხდა ძალიან მოკლე ისტორიული პერიოდში. გავიხსენოთ ისტორია: ჰომოსექსუალიზმი არსებობდა ყოველთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ჰომოსექსუალური კავშირების თავისუფლებას საზოგადოებისთვის იმდენად დიდი ზიანი მოჰქონდა, რომ მონოთეისტური რელიგიების დამფუძნებლები იძულებულნი გახდნენ, მომაკვდინებელ ცოდვად გამოეცხადებინათ იგი. ქრისტიანიზებულ ევროპაში ჰომოსექსუალიზმი იატაკქვეშ გადავიდა და მისი მასშტაბებიც მკვეთრად შემცირდა. პერიოდულად იყო აღზევებებიც, მაგალითად, შუასაუკუნეებში კათოლიკე ბერების გარემოში და, სავარაუდოდ, სწორედ ამ მოვლენასთან საბრძოლველად შეიქმნა თავიდან ინკვიზიცია. მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპაშიც და აშშ-შიც პედერასტიასთან დამოკიდებულება იყო ძალიან უარყოფითი. გაიხსენეთ ოსკარ უაილდი, რომელიც 1895 წელს ამერიკაში ციხეში ჩასვეს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში ჰომოსექსუალების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ფორმირება დაიწყო. ამას ხელი შეუწყო ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა გარემოში პედერასტთა საზოგადოების წარმოქმნამ საკუთარი ცნობიერებით. ზუსტად მამათმავალმა სამხედროებმა მისცეს აშშ-ში ჰომოსექსუალიზმის რეაბილიტაციასა და ლეგალიზაციას ბიძგი. მას შემდეგ აშშ სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის მებრძოლი მოძრაობის ლიდერია მსოფლიოში. ყველა ქვეყანა, რომლებიც აშშ-ის გავლენის ქვეშაა, იძულებულია, ერთსქესიანი კავშირების ლეგალიზება მოახდინოს და წაახალისოს. თავად აშშ-ში კონგრესის დაახლოებით 70 წევრი ოფიციალური პედერასტია, ჯარში 65 ათასი ოფიციალური გეი და ლესბოსელი მსახურობს“ *(ალექსანდრე ჭაჭია: „თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ „ღირებულებებს“, დავიღუპებით!“, „საქართველო და მსოფლიო“ №19 (206), 29 მაისი — 4 ივნისი, 2013 წ.).*

* ალექსანდრე ჭაჭიას ამ ინტერვიუდან ზუსტად ორი წლის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერთი და იმავე სქესის პირებს ქორწინების უფლება უკვე ოფიციალურად მიანიჭა, ხოლო ამ ქვეყნის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი დაიმუქრა, რომ აშშ შეეცდება, ჰომოსექსუალებს შორის ქორწინება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დააკანონონ.

**კითხვაზე — რა უნდა მოიმოქმედოს ქართველმა საზოგადოებამ ამ სიტუაციაში? ალექსანდრე ჭაჭიას პასუხია ასეთია:**

„პირველ რიგში უნდა შეეცადოს, გახდეს, ოდნავ მაინც, მინიმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო. უკვე 20 წელია, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოიხატება 26 მაისს ზეიმის ჩატარებაში. ეს ცოტა ხომ არაა საიმისოდ, რომ თავი სახელმწიფოდ ჩავთვალოთ?.. ამჟამინდელმა პრემიერმინისტრმა განაცხადა, რომ ჩვენ შეერთებული შტატების „უმცროსი პარტნიორები“ ვართ და ეს, მისი თქმით, დიდი მიღწევაა. სრულიად შესაძლებელია, რომ ვინმეს პარტნიორობა უფრო მოსწონს, ვიდრე ძმობა, მაგრამ პარტნიორს, თუნდაც უმცროსს, შესაძლოა, ჰქონდეს საკუთარი ინტერესები, სხვა შემთხვევაში იგი პარტნიორი არაა — იგი ლაქიაა, მონა. საქართველოს დღეს ერთი მთავარი ეროვნული ინტერესი აქვს — ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, შენარჩუნება.

უნდა ავუხსნათ „უფროს პარტნიორს“, რომ, როდესაც საქართველო იყო „უმცროსი ძმა“, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად მატულობდა, თითქმის ყველა ქართველი ცხოვრობდა საქართველოში და ცუდ სიზმარშიც კი ვერ ხედავდა საკუთარ თავს ემიგრანტის ამპლუაში; ქვეყანაში მუშაობდა ასობით ქარხანა, ფაბრიკა, სასოფლო-სამეურნეო საწარმო და ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო უმუშევრობა, მიწას ამუშავებდნენ და მოსავალს იღებდნენ ადგილობრივი გლეხები, ხოლო „პედერასტი“ სალანძღავი სიტყვა იყო...

წიგნების გამომცემლების, ტელეარხების, კინოგაქირავების სინდისსა და ეროვნული გრძნობების იმედად ყოფნა უაზრობაა, რადგანაც ამის უკან დიდი ფული დგას. საჭიროა ცენზურა, რომელიც მხოლოდ სახელმწიფომ შეიძლება დააწესოს. სახელმწიფო ვალდებულია, ერის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე იზრუნოს, ვალდებულია, დაიცვას ახალგაზრდა თაობა ეროვნული მსოფლმხედველობისთვის უცხო ტენდენციებისა და გავლენებისგან, თუნდაც ისინი თანამედროვე ევროპული და ამერიკული კულტურის ნაწილი იყოს. ბუნებრივია, საუბარია არაა ჰომოსექსუალთა მიერ შექმნილ ნაწარმოებთა აკრძალვაზე. ჩვენ — ყველას წაგვიკითხავს **მარსელ პრუსტის, სომერსეტ მოემის, ვირჯინია ვულფის** რომანები, **რემბოსა** და **ვერლენის** ლექსები, მოგვისმენია **ელტონ ჯონისა** და **ფრედი მერკურისთვის**, მაგრამ მგონია, მცირე ნაწილი თუ დაფიქრებულა მათ სექსუალურ ორიენტაციაზე. სამაგიეროდ, ამერიკელი **ვიდალ გორი** ასევე ნიჭიერი მწერალია, მაგრამ მისი რომანები პედერასტიის ღია პროპაგანდაა. ასეთი ნაწარმოებები არ უნდა ხვდებოდეს წიგნის ბაზარზე... პედერასტიის გავრცელების საწინააღმდეგოდ მოქმედება არაა მარტივი საქმე, მით უფრო, როდესაც ეს ამერიკაზე დამოკიდებულ სახელმწიფოებს შეეხება. საჭიროა საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია. არ ვიცი, ჩვენს საზოგადოებას შესწევს თუ არა მსგავსი კონსოლიდაციის უნარი, მაგრამ მხოლოდ ასეა შესაძლებელი, ერთი მხრივ, აიძულო ხელისუფლება, დაიცვას ერი გახრწნისგან; მეორე მხრივ კი, ხელისუფლებას მისცეს კოზირი ამერიკელ პატრონებთან ურთიერთობისთვის: რაკი ხალხი ერთსულოვნად წინააღმდეგია, მის მოსამზადებლად დრო მოგვეცითო. ამან შეიძლება იმუშაოს“ *(ალექსანდრე ჭაჭია: „თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ „ღირებულებებს“, დავიღუპებით!“, „საქართველო და მსოფლიო“ №19 (206), 29 მაისი — 4 ივნისი, 2013 წ.).*

* ასე რომ, მხოლოდ ერის კონსოლიდაციით შეიძლება იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელსაც ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგიის პროპაგანდა ჰქვია და რომელიც ქართველ ერს გადაგვარებით ემუქრება.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**«სახელმწიფო ვალდებულია, ერის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე იზრუნოს, ვალდებულია, დაიცვას ახალგაზრდა თაობა ეროვნული მსოფლმხედველობისთვის უცხო ტენდენციებისა და გავლენებისგან, თუნდაც ისინი თანამედროვე ევროპული და ამერიკული კულტურის ნაწილი იყოს»**

## უკრაინა შოკშია: იტალიაში აჩვენეს ფილმი, რომელშიც სნაიპერები აღიარებენ, რომ მაიდანზე ადამიანებს კლავდნენ



კობა ნერგაძე

**ერთ-ერთმა იტალიურმა ტელეარხმა ეთერში გაუშვა ჟურნალისტ ჯან მიკალესინის დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ქართველი სამხედროები, სნაიპერები აღიარებენ, რომ 2014 წელს კიევში, ე.წ. ევრომაიდნის მიმდინარეობისას ადამიანებს კლავდნენ, რათა გამოეწვიათ ქაოსი და დაემხოთ კანონიერი ხელისუფლება. დოკუმენტური ფილმის სახელწოდებაა „უკრაინა, დამალული ჭეშმარიტება“.**

ამ ფილმის ტრანსლირებას დიდი ყურადღება დაუთმეს სოციალური ქსელების მომხმარებლებმა.

„იტალიაში აჩვენეს ფილმი მონანიე სნაიპერებზე, რომლებიც ადამიანებს კლავდნენ კიევში, მაიდანზე.

უკრაინელისა და ამერიკელის ხელმძღვანელობით ორი ქართველი და ორი ლიტველი. არანაირი იანუკოვიჩი.









ყველაფერი ეს კეთდებოდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ევროკავშირის მფარველობით იმ „დემოკრატი ოპოზიციონერების მიერ, რომლებმაც უკრაინაში ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს“, — წერს დონეცკის სახალხო რესპუბლიკის სახალხო საბჭოს დეპუტატი **ვლადიმერ ბერდიჩევსკი**, რომელიც ფილმის გადამღებ იტალიელ ჟურნალისტ ჯან მიკალესინს იმოწმებს.

**„სნაიპერები აღიარებენ: დემონსტრანტებს ესროდნენ არა უკრაინის პრეზიდენტ იანუკოვიჩის მომხრეები, არამედ ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ოპოზიციის ლიდერები“,** — წერს იტალიელი ჟურნალისტი სოციალურ ქსელში.

## ილჰამ ალიევი იმუქრება, რომ აზერბაიჯანი დატოვებს ევროპის საბჭოს



**საქართველოს ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელიც თვალებში შესციცინებს დასავლელ პოლიტიკოსებს და მათ ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებს, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი თავისი ქვეყნისთვის საზიანო გადაწყვეტილებების მიღებას, ვისი მხრიდანაც უნდა მოდიოდეს ბრძანება, კატეგორიულად ეწინააღმდეგება და ისეთი ორგანიზაციის დატოვებით იმუქრება, როგორიც ევროპის საბჭოა.**

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა **ილჰამ ალიევმა** განაცხადა, რომ ევროპის საბჭოსთან ურთიერთობაში კრიზისის გამწვავების შემთხვევაში აზერბაიჯანი დატოვებს ამ ორგანიზაციას. ილჰამ ალიევმა ეს მას შემდეგ განაცხადა, რაც ევროპის საბჭო სანქციებით დაემუქრა აზერბაიჯანს ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის გაეთავისუფლებინა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი — **ილგარ მამედოვი** (მოძრაობა „რესპუბლიკური ალტერნატივა“).

მმართველი პარტია „ენი აზერბაიჯანის“ 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებაზე ბაქოში ალიევმა ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი **ტურბიორნ იაგლანდი** აზერბაიჯანსა და ევროპის საბჭოს ურთიერთობაში კრიზისის ხელოვნურად წარმოქმნაში დაადანაშაულა.

**„ჩვენ, უბრალოდ, ადეკვატურ ნაბიჯებს გადავდგამთ ჩვენ წინააღმდეგ განხორციელებული უსამართლო და ფარისევლური პოლიტიკის გამო. ჩვენ უპასუხოდ არასოდეს დაგვიტოვებია თავდასხმა, ამიტომ მიმაჩნია, რომ ადეკვატური პასუხი დროული ნაბიჯი იქნება. ჩემი აზრით, ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიც არის ევროპის საბჭო, ვიღაცის პოლიტიკური ამბიციების მსხვერპლი არ უნდა გახდეს. თუ ეს კრიზისი გაღრმავდება, აზერბაიჯანი, რა თქმა უნდა, თავისუფალი იქნება არჩევანში. ჩვენ ნებაყოფლობით შევედით ამ ორგანიზაციაში, რომელშიც ვართ, და ნებაყოფლობითვე გამოვალთ“,** — განაცხადა ილჰამ ალიევმა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



სტალინისტებო და ანტისტალინისტებო, ლიბერალებო და ანტილიბერალებო, გლობალისტებო და ანტიგლობალისტებო, სხვადასხვა რჯულის, ფერისა და სარწმუნოების ადამიანებო, მონაწილეობა მიიღეთ დისკუსიაში: სტალინიზმი თუ ლიბერალიზმი?

# სტალინიზმი ლიბერალიზმის მესაფლავე?

როდესაც ევროპაში მიმდინარე საშინელებათა კალეიდოსკოპს ვუყურებ, ხშირად ვფიქრობ: ხომ არ გვიახლოვდება „ასერგასის დღე“ — „ნაწლავთა ღეჭვის“ დრო? ამის მიზეზად კი გლობალიზაციისკენ სწრაფვასა და ლიბერალიზმის გააქტიურებას წარმოვიდგენ. ჩემი შიში საქართველოში ერთ-ერთ გამორჩეულ ინტელექტუალს გავანდე, მან კი მიპასუხა: „ფიქრი ნუ გაქვს, ლიბერალიზმი თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის“. მისმა ნათქვამმა ძალიან გამახარა, მაგრამ ჩემს საავტორო გვერდზე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ სადისკუსიოდ მაინც შემომაქვს მეტად მტკივნეული საკითხი: მილიარდების დახარჯვამ დესტალინიზაციისთვის ლიბერალიზმის სასარგებლოდ უკუშედეგი გამოიღო და **დადგა თუ არა დრო, რომ სტალინიზმი ლიბერალიზმის მესაფლავე გახდეს?**
ამ საკითხზე დისკუსიის გასამართავად დღეს გთავაზობთ სხვადასხვა თვალსაზრის, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადამიანმა გამოთქვა.

„სრულიად აბსურდულია მოსაზრება, რომ ლიბერალური სახელმწიფოს შენების პროცესი ვილაცის განადგურებით ან დაკნინებით უნდა მიმდინარეობდეს. პირიქით, საუბარია ისეთი სივრცის შექმნაზე, რომელშიც ყველა მშვიდობიანად იცხოვრებს და გარანტირებული ექნება უფლებები, მათ შორის, რწმენის თავისუფლება“.

„ჩემთვის ილია ჭავჭავაძე შესანიშნავი მაგალითია გაქვავებული დროის. ქართული წარმოსახვა ყველაზე მეტად ამ გაქვავებულ დროში ცხოვრობს, ერთგვარი ადამური ბრწყინვალების ეპოქაში, ბიბლიურ მითოსში. ეს ის წარსულია, სადაც ყველაფერი კარგად არის, სადაც საქართველო ყველაფერია, რაც ის სინამდვილეში არ არის და, დიდი ალბათობით, არც არასდროს ყოფილა. ამ სამყაროში დრო არ მოქმედებს, იქ მუდმივი აწმყოა, სადაც გამოუკეტავთ გმირები, „დიადი ქართველები“, ათასობით წმინდანი. აქ ყოფნას, სამწუხაროდ, ალბათ, ბევრი ჩვენგანიც ლამობს“.

„ლიბერალური აზროვნება ქართველისთვის შედარებით ახალი ხილია. საბჭოთა პერიოდში ადამიანებს არ ეძლეოდათ უფლება, ღიად გამოეხატათ საკუთარი პოზიტიური დამოკიდებულება ლიბერალური იდეოლოგიისადმი. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც იმაღლებდნენ ხმას და საბჭოთა მანქანას უპირისპირდებოდნენ. შედეგად ეს ადამიანი მთელი ცხოვრება რეპრესირებული იყო და ველარ ახერხებდა საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დაკავებას. არ მინდა, თანამედროვე საქართველო საბჭოთა კავშირს შევადარო, მაგრამ ფაქტია, რომ სურათი თითქმის არ შეცვლილა. ქართველმა ხალხმა ლიბერალიზმთან საერთო ენა ვერ გამონახა, რადგან ქართველი საზოგადოება პლურალიზმს არ არის შეჩვეული. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველო მაინც უფრო ჰომოგენურია, ვიდრე პლურალისტური. მოსახლეობის დიდ ნაწილს ვერ წარმოუდგენია ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც მის გვერდით თავისუფლად იცხოვრებს სხვა სექსუალური ორიენტაციის ან, სულაც, მსოფლმხედველობის მქონე ადამიანი“.

„ლიბერალიზმის ზოგიერთი დამცველი მორალური თვალსაზრისით საკმარისად თვლის, რომ ლიბერალური საზოგადოებრივი მოწყობის პირობებში ინდივიდებს შორის ურთიერთობა მხოლოდ ურთიერთთანხმობაზეა დაფუძნებული. მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან ადამიანებს თანამშრომლობა საკუთარი თავის საზიანოდაც შეუძლიათ, მაგალითად, როდესაც ისინი ნარკოტიკებს ამზადებენ და იყენებენ. თავისთავად თავისუფლება არ არის სიკეთე, იგი მხოლოდ წინაპირობაა სიკეთის მისაღწევად. როგორც **ფრიდრიხ ჰაიეკი** წერდა: ის, რომ თავისუფლება არის საფუძველი, რომელიც მორალური ფასეულობების აღმოცენებას უწყობს ხელს და ყველა სხვა ფასეულობის წყაროა“.

„კრიტიკოსები უფრო შორს წავიდნენ და ლიბერალურ ხედვებს რელიგიურ ხედვებთან უპოვეს მეტი საერთო, ვიდრე პოლიტიკურ პროგრამასთან. ისინი ფიქრობენ, რომ ლიბერალების დოგმა უფრო რწმენაზეა დამოკიდებული, ვიდრე ლოგიკაზე. არ ითვალისწინებენ, რომ ადამიანების ბუნება უფრო რთულია და წინააღმდეგობრივი, ვიდრე ლიბერალების წარმოდგენაა. ლიბერალიზმის მიმდევრებს რელიგიურ კულტამდე მისული ხედვების ადეპტებსაც ეძახიან“.

„რა ხდება სამყაროში... რატომ და რისთვის ხდება... მოდით, ჩემთან ერთად თქვენც იფიქრეთ ამაზე. ამას რას მოვესწარი... ჩემი თვალით ვნახე ადამიანთა გასაცოდავება, გადაგვარება, გაუბედურება. ვნახე და თავადაც ვიწვნიე... მათ შორის უდავოდ მეც ვარ. მე შევიძელი თავდავიწყება, თუმცა ვერასოდეს შევიძლებ სხვათა დავიწყებას, რადგან დანაშაულში მოწმე ვერასოდეს ვიქნები... დანაშაულში მე ან დაზარალებული უნდა ვიყო, ან მსხვერპლი... ვარ კიდეც! უზნეო გარემოში მტყუანი ხარ, დიდსულოვნად მოგიტევებენ, მართალი ხარ — ელოდე ჯვარცმას! ი.მ.“.

„არის თუ არა ლიბერალიზმი ცხოვრების სტილი? არის თუ არა ლიბერალიზმი თავისუფლების კულტურა, რომელიც არ გულისხმობს ეროვნულ ან ეთნიკურ კულტურას? რა თქმა უნდა, ეს უფრო მსოფლმხედველობაა და ფასეულობების ნაკრები და არა ხალხური ცეკვები ან ეროვნული სამზარეულო“.



„ადამიანები პიროვნებებად განიხილებიან და არც ერთი ცალკეული პიროვნების ინტერესები არ შეიძლება სოციალური ჯგუფის ან კოლექტივის ინტერესებს შეეწიროს. ლიბერალიზმი მიუკერძოებელია და ინდივიდს საკუთარი ზნეობრივი არჩევანის ნება აქვს“.

„საყოველთაო სამართლიანობის ვითარებაში, თუ ადგილი აქვს ცალკეულ უსამართლობას, ეს ვერ იქნება უბედურება. საყოველთაო უსამართლობის ვითარებაში, თუ ადგილი აქვს ცალკეულ სამართლიანობას, ეს ვერ იქნება კეთილდღეობა. ი.მ.“.



ფრანკლინ რუზველტი: „ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ნამდვილი ინდივიდუალური თავისუფლება არ არსებობს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის გარეშე...“



„კრიტიკოსები უფრო შორს წავიდნენ და ლიბერალურ ხედვებს რელიგიურ ხედვებთან უპოვეს მეტი საერთო, ვიდრე პოლიტიკურ პროგრამასთან. ისინი ფიქრობენ, რომ ლიბერალების დოგმა უფრო რწმენაზეა დამოკიდებული, ვიდრე ლოგიკაზე. არ ითვალისწინებენ, რომ ადამიანების ბუნება უფრო რთულია და წინააღმდეგობრივი, ვიდრე ლიბერალების წარმოდგენაა. ლიბერალიზმის მიმდევრებს რელიგიურ კულტამდე მისული ხედვების ადეპტებსაც ეძახიან“.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„აღუწყველია სამყარო თავისი ცხადით და იდუმალებით... სამყაროში ცალკე სამყარო შენ ხარ, ადამიანო, შენი ცხადით და იდუმალებით!

შენ ძალგიძს, დასახო, შექმნა და შეცვალო — ეს შენი სიძლიერეა!

გვაქვს სისუსტეებიც, შეიძლება მოტყუვდე ან წარიწყმიდო!

მოტყუებული, სიკეთის სახელით, ბოროტებას ჩაიდენ!..

წარწყმედილი ბოროტებას სიკეთეს დაარქმევ!..

შენ შენი ერი ხარ!

შენ კაცობრიობა ხარ!

გახსოვდეს, შენი თანამოძმე-ადამიანი ვითარების და გარემოს მსხვერპლია ე.ი. მისი ერთ-ერთი წარმომქმნელიც შენა ხარ, კეთილი ინებე და გაინაწილე მისი ცოდვა-ბრალი!

სიკეთე, რომელიც შენ ყოველთვის უნდა გქონდეს, ეს სამართლიანობაა!

სამართლიანობა უდიდესი სიკეთეა!

გახსოვდეს, თუ უსამართლობას სჩადიხარ ათასი მართალის წინააღმდეგ ერთი მტყუანის სასარგებლოდ ან ათასი მტყუანის სასარგებლოდ ერთი მართალის წინააღმდეგ, ერთნაირად ბოროტი და არაკაცი ხარ.

უსამართლობას გთხოვენ... არაკაცად გთვლიან!

თუ სუსტს მოწიწებით ექცევი და მისი თხოვნის შემსრულებელიც ხარ, ძლიერისადმი მოწიწება და მისი ბრძანების შესრულება ვერასოდეს შეგარცხვენს.

თუ ძლიერთა წინააღმდეგ ამხედრებას ვერ ბედავ, არ გაგემტყუნება, შიში გაბედული ადამიანის გონივრული განცდაა.

შიში სიყვარულმა იცის, შიში თავმოყვარეობამ და პატიოსნებამაც იცის.

შენ კაცობრიობის ნების მომხრე ან უარმყოფი უნდა იყო.

უმთავრესი სიკეთე შენ საკუთარ სულში უნდა გადაარჩინო. თუ ვერ გადაარჩენ, გაგემტყუნება, რადგან თავისუფლებას, თანასწორობას და სამართლიანობას ალტერნატივა არ გააჩნია.

ადამიანო, შეურიგდი ბედს, ეს შეიძლება შენს სიცოცხლეში არ აღსრულდეს!

იცოცხლე იმედით! ი.მ.“.

„ზნეობრივ გარემოში, ადამიანო, შენ ყველა ადამიანურ სიკეთეზე გაქვს უფლება და საწყალობლად არ გაქვს საქმე! დრო მოვიდა... ეს წინათ იყო, XX საუკუნის დასაწყისში, ეპოქალური და განუმეორებელი. ავანგარდული მეცნიერული თეორიების და პრაქტიკული მოქმედებების ისტორია. დრო დაუდეგარი და იმდენად ტევადი, ასეულობით მნიშვნელოვან თარიღშიც ვერავინ დაატევს. მოვიდა და მოიტანა ცისფერი იმედის სამყარო, უცნაური და სანატრელი, თან მეცნიერული, თან დაუჯერებელი. ასე ვთქვათ, მეცნიერულ-თეორიული ფანტასტიკა! „ზღაპრები“ სოციალურ სამართლიანობაზე... საყოველთაო თანასწორობასა და ათას სხვა ძნელად სარწმუნოსა და ძნელად დასაჯერებელზე.

დედამიწაზე ათასმა წყალმა ჩაიარა, ათასმეერთემ ოცნების ეპოქა შემოაცურა. საუბრები სამართლიანობასა და თანასწორობაზე კაცობრიობის ყველაზე მოდური გატაცება შეიქმნა. სჯეროდათ თუ არ სჯეროდათ!.. მოსწონდათ თუ სძაგდათ.

მარქსიზმ-სტალინიზმის ტოლფას გატაცებას არ იცნობს სამყარო, ასეთის წარმოდგენაც შეუძლებელია.

კაცობრიობის ამ უპირველეს ეპოქაში ცალკე ეპოქა გახლდათ... იოსებ სტალინი.

სამყაროს №2 საოცრება...

სასიამოვნო გამონაკლისი...

პრეცედენტის პრეცედენტი...

არნახულად და მიმზიდველი ბიოგრაფიით, რომელიც ზეაღსვლის მწვერვალებით, ისტორიული კვალით კაცობრიობის ისტორიაში აღემატება ყველა დროისა და ხალხების ათეულობით უდიდეს პიროვნებას, ერთმანეთს მიმატებულს. ადამიანი, რომელსაც ვერ წარმოიდგენდა და ვერ შესთხზავდა ერთობლივად მხატვრული პროზის ათეულობით გენიალური შემოქმედი... ზღაპრული მოვლენა, პიროვნება — ფანტასტიკა, რომელსაც ვერავინ დაიჯერებდა, ფაქტი რომ არა“.

„სტალინი ... ადამიანი, რომელმაც ათასი სასწაული მოახდინა, მათ შორის წარმოუდგენელიც:

* შეცვალა დედამიწაზე ცხოვრების ყველა წესი და კანონი, არსებითად გარდაქმნა სამყარო;

* შეცვალა პიროვნების, ერებისა და ხალხების წარმოდგენები, შეხედულებები და, საერთოდ, მსოფლმხედველობა;

* შექმნა საბჭოთა ხალხი;

* შექმნა ამაღლებული ზნეობის, საკაცობრიო იდეალების მოტრფიალე საზოგადოება, სადაც დანაშაული რეალურად გახდა... გადმონაშთი, სადაც ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეცა სეპარატისტული კერები ქვეყნის შიგნით, ერებს შორის „ერთხელ და სამუდამოდ“ დამყარდა ნამდვილი ძმობა და ურთიერთპატივისცემა;

* დედამიწის საბჭოთა ნაწილში დამყარდა დემოკრატია არსით და ფორმით, დამყარდა თანასწორობის, სოციალური სამართლიანობისა და ერთსულოვნების პრინციპები;

* გაათავისუფლა ხალხები კერძო საკუთრების მონოპოლიის დისკრიმინაციისაგან;

* შრომა, ცოდნა და ტალანტი აქცია ყველაზე მნიშვნელოვან ღირსებად, ანუ ნიჭიერება უფრო მაღლა დასვა, ვიდრე ფული და ქონება;

* გაათავისუფლა რუსეთის ხალხები იმპერიის დიქტატისაგან, ამ ხალხებს შეუქმნა სახელმწიფოებრიობა მოკავშირე თუ ავტონომიური რესპუბლიკების უფლებებში. თანასწორუფლებიანობის საწყისზე შექმნა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი;

* შექმნა უპრობლემო ხალხი;

* ათეიზმით გაანელა სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ხალხების ისტორიული დაპირისპირება;

* შექმნა რაინდული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც ზნეობრივ სიწმინდეზე იქნა დაფუძნებული;

* აქცია საერთაშორისო ურთიერთობები ჰუმანურ-დემოკრატიულად;

* აპოგეამდე მიიყვანა ადამიანის უფლებების დაცვა;

* აიძულა კერძო კაპიტალის სახელმწიფოთა მმართველები, სერიოზულად ეფიქრათ თავიანთი მოქალაქეების სოციალურ დაცვაზე;

* შექმნა ყველა პირობა და მართალი იდეოლოგია ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესების დამთხვევისთვის და პირველად კაცობრიობის ისტორიაში მოახდინა მათი ინტერესების დამთხვევა;

* შექმნა საბჭოთა ხალხების ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა;

* დააკანონა ერთა შორის ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, დააახლოვა ეროვნული კულტურები ერთმანეთს;

* შექმნა საზოგადოება — ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის;

* შექმნა კაცობრიობის არსებობის ისტორიაში ყველაზე წმინდა და ამაღლებული ზნეობის საზოგადოება;

* გაათავისუფლა ადამიანთა გრძნობები;

* გაანადგურა კერძო კაპიტალის ჰეგემონიზმის იდეოლოგია; დაამტკიცა, რომ საზოგადოების განვითარების ტრადიციული, კერძო საკუთრების მონოპოლიის კანონები ექვემდებარება შეცვლას;

* როგორც საბჭოეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ თანასწორობის, ერთობის და სოციალური სამართლიანობის იდეალები აქცია რეალობად;

* გაათავისუფლა ხალხები რელიგიური მომნუსხველობისგან;

* პირველად დედამიწაზე შექმნა საზოგადოება ხალხების, ერების, პიროვნების ექსპლუატაციის გარეშე;

* კაცობრიობა პირველად შეაყენა დემოკრატიული განვითარების გზაზე, რადგან კერძო საკუთრების მონოპოლიის სამყაროს გვერდით წარმოიშვა ნაციონალიზებული საკუთრების მონოპოლიის სამყარო, რომელიც სიცოცხლისუნარიანი გამოდგა.

დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალიზმის დივერსიული დამხობით საბჭოთა კავშირში დაიკარგა კაცობრიობის დემოკრატიული განვითარების შესაძლებლობა;

* გაანადგურა გერმანული ფაშიზმი და იხსნა კაცობრიობა სამუდამო მონობისაგან“.

„ადოლფ ჰიტლერი, ამონარიდები წიგნიდან „ჩემი ბრძოლა“:

„არიული რასა „კულტურის დამფუძნებელ“ რასად არის გამოცხადებული, ამიტომ არიულმა რასამ, როგორც კულტურის დამფუძნებელმა რასამ, დროთა განმავლობაში უნდა დაიკავოს გაბატონებული მდგომარეობა, გერმანულმა სახელმწიფომ თავისი ტერიტორია უნდა გააფართოოს „რუსეთისა და მისი მეზობელი ქვეყნების ხარჯზე“.

„გაუქმდეს სახელმწიფოები და რესპუბლიკები. მათ ნაცვლად შეიქმნეს გუბერნიები, რაიხსკომისარიატები და კომისარიატები. მოხდეს მოსახლეობის „გასახლება“ და „განხალხება“. დაიხუროს ყველა სკოლა და ინსტიტუტი, რომლებშიც სწავლობენ მოსწავლეები 15 წლის ზევით, ხოლო ამ დაწესებულებათა ყველა მოსწავლე და მასწავლებელი, განურჩევლად სქესისა, იძულებითი წესით გაგზავნილი იქნას სამუშაოდ გერმანიაში.



„14 ან 15 წლის ვიქნებოდი, როცა სიტყვა „ებრაელის“ პოლიტიკური მნიშვნელობა შევიტყვე, მას შემდეგ ამ სიტყვისადმი ანტიპათიურად განვეწყვე“.

„ებრაული საკითხი, მთელი თავისი გრანდიოზულობით, მწვავედ იდგა ჩემ წინაშე“.

„უკვე აღარ ვეჭვობდი, რომ ძირითადი მიზეზი იყო, არა რელიგიური, არამედ რასობრივი მტრობა“.

„როდესაც შევიტყვე, თუ რა მუშაობას ეწევიან ებრაელები პრესაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში, იუდაიზმმა ჩემს თვალში საბოლოო სახე მიიღო, სულიერი ბაცილა, რომელსაც ისინი ავრცელებდნენ, შავ ჭირზე საშიში იყო“.

„ახლა, როდესაც მივხვდი, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის სულისჩამდგმელები ებრაელები არიან, ჩემი ხანგრძლივი სულიერი ბრძოლა დამთავრდა, თვალთაგან ლიბრი ჩამომეცალა“.

„ებრაელები დომინირებდნენ რაიხსტაგში, მუშათა კავშირებში, თავმჯდომარეობდნენ სხვადასხვა ორგანიზაციას, იყვნენ ქუჩის აგიტატორები“.

„ამან მიმიყვანა იმ აზრამდე, რომ ისინი ერის გამხრწნელ ელემენტს წარმოადგენენ“.

„მათთვის დამახასიათებელმა მოხერხებულობამ და ცბიერებამ საბოლოოდ შემაძულა ეს ხალხი. ფანატიკურად ანტისემიტისტი გავხდი“.

„და ახლა მწამს, რომ ყოვლისშემძლებლის სურვილისამებრ ვირჯები, ებრაელებთან მებრძოლი ღვთის საქმეს ვემსახურები“.

„ახლა დაგვიდგა მომენტი, გავუსწორდეთ ჩვენი ერის მომწამვლელთ“.

„მსოფლიო ებრაელთა გაერთიანებას, რომელსაც ხელს უშლის ტერიტორიული საზღვრების არსებობა, სურდა, ჩვენი ქვეყნის მონათა ქვეყნად გადაქცევა“.

„ებრაელები ემზადებიან მსოფლიოს დასაპყრობლად“.

**პარადოქსია, მაგრამ დღეს ევროპაში სტალინიზმი გათანაბრებულია ფაშიზმთან, ეს ლიბერალიზმის სამოქმედო პროგრამა იყო, რომელმაც დღემდე მოაღწია. ჩვენი დისკუსიაც ამ თემას უნდა მიეძღვნას. სტალინისტებო და ანტისტალინისტებო, ლიბერალებო და ანტილიბერალებო, გლობალისტებო და ანტიგლობალისტებო, სხვადასხვა რჯულის, ფერისა და სარწმუნოების ადამიანებო, მონაწილეობა მიიღეთ დისკუსიაში:**

**სტალინიზმი თუ ლიბერალიზმი?**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ორი თვეა, ქართული ტელევიზიებისა და, შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი „თოქ-შოუების“ ძირითადი თემა არის ის, ვინ ვის შეაგინა, რატომ შეაგინა და, თუ შემგინებელმა შეაგინა, მანამდე შეგინებულმაც ხომ არ შეაგინა შემგინებელს? ხოლო, თუ შეგინებულმა შემგინებელს შეგინებამდე შეაგინა, მაშინ, საზოგადოდ, ბილწსიტყვაობა და გინება არის თუ არა ცუდი საქციელი და, თუ ვინმემ ვინმეს ოდესმე შეაგინა, შეიძლება თუ არა, ეს შეგინებულ-შემგინებელი დაინიშნოს რომელიმე საჯარო თანამდებობაზე?**

# ქართული ტელეუიმედობა, ანუ შემაგინე და გაგაშუქებ!

**ე.წ. თვითმფრინავის ბიჭების საქმე ქართული ტელევიზიებისთვის წამყვანი თემა რომ იქნებოდა გასულ კვირაში, ისედაც ველოდი. აქედანვე გეტყვით, ეს სტატია ნამდვილად არ ეხება 1983 წლის 18 ნოემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე, კერძოდ, თბილისის აეროპორტში, მომხდარ უმძიმეს სისხლის სამართლის დანაშაულს — მშვიდობიანი მგზავრებით სავსე სამოქალაქო თვითმფრინავის გატაცებას. ამ თემით, უბრალოდ, იმიტომ დავიწყე, რომ ეს კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია იმის დასანახავად, აზროვნების, ანალიზის, მთავარის გამოყოფისა და რეალურად აქტუალურის გაშუქების რამხელა დეფიციტს განიცდიან დღეს ქართული ტელევიზიები და მათი ე.წ. მთავარი თოქ-შოუები. ან იქნებ ეს სულაც არ არის მათი მესვეურების დაბალი გონებრივი განვითარების ბრალი და ყოველივეს, უბრალოდ, ერთი უჩინარი ხელი განაგებს, რომელიც კარნახობს ყველა ტელევიზიას, რომელი თემა უნდა „ააყვირონ“ და რომელს არ მიაქციონ ყურადღება არავითარ შემთხვევაში?!**



პირდაპირ ვაღიაროთ: ჩვენ ამას ნამდვილად ვერ დავადგენთ და დამადასტურებელ ფაქტებს ნამდვლად ვერ დავდებთ. უბრალოდ, შეგვიძლია ლოგიკურად ვიმსჯელოთ რაღაც ფაქტებზე და ჩვენი არცთუ უსაფუძვლო ვარაუდი გამოვთქვათ, ანუ, თანამედროვეობაში უკვე მიღებულ და დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, „გონებრივი ეჭვი“ გავუჩინოთ მკითხველს.

მაშ ასე, **პირველი კითხვა:** განა არ მობეზრდა უკვე ტელემაყურებელს მთელი 20 წლის განმავლობაში, ყოველ წელს, ნოემბერში ერთი და იგივე გაიწი და გამატარე ე.წ. თვითმფრინავის ბიჭების საქმეზე? არ ვამბობ, რომ ამ ამბავს დავიწყების მტვერი უნდა მივაყაროთ და საერთოდ აღარ ვახსენოთ, მაგრამ განა აღარ დადგა დრო, რომ საინფორმაციო გამოშვებებმა, უბრალოდ, აღნიშნონ, რომ 1983 წლის 18 ნოემბერს ეს ფაქტი მოხდაო და მორჩა, დაანებონ თავი ამდენ სჯა-ბაასსა და განხილვას? რა, განა ახალს ამბობს ვინმე რამეს? „თვითმფრინავის ბიჭების“ „რომანტიკოს გმირებად“ დამხატველი მხარე „არახუნებს და არახუნებს“ ერთი და იმავე „არგუმენტებს“, რომ მათ არ ჰქონიათ იარაღი, მათ არავინ მოუკლავთ და ასე შემდეგ. ხოლო მოწინააღმდეგე მხარე სრულიად ამაოდ ცდილობს, დაარწმუნოს ისინი, იარაღი მართლაც რომ არავის არ ჰქონოდა და არავინ მოეკლა, **მშვიდობიანი სამოქალაქო თვითმფრინავის გატაცების მცდელობა, თუნდაც მხოლოდ სიტყვიერი მუქარით, არის სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული და ამას არანაირი „საბჭოთა კავშირის მიმართ პროტესტი“ არ ამართლებს.** აი, ეს ყოველივე გრძელდება უკვე ყოველი წლის ნოემბერის განმავლობაში. ასე იყო წელსაც — ქართული თოქ-შოუები წალეკა „თვითმფრინავის ბიჭების“ თემამ და კიდევ ერთხელ მოვუსმინეთ 20 წლის განმავლობაში მოსმენილს ორივე მხრიდან... რატომ? **დავიჯერო სხვა გაცილებით საჭირბოროტო, აქტუალური და მართლაც ისეთი თემა, რომელიც შეიძლება თოქ-შოუს წამყვანმა და ჟურნალისტებმა დაამუშაონ, სტუმრებს არგუმენტები გამოსტყუონ და მეტ-ნაკლებად დაადგინონ სიმართლე, არ არსებობს?**

თუმცა, „თვითმფრინავის ბიჭებს“ კიდევ რა უჭირს, თუ დააკვირდით, **ორი თვეა, ქართული ტელევიზიებისა და, შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი „თოქ-შოუების“ ძირითადი თემა არის ის, ვინ ვის შეაგინა, რატომ შეაგინა და, თუ შემგინებელმა შეაგინა, მანამდე შეგინებულმაც ხომ არ შეაგინა შემგინებელს? ხოლო თუ შეგინებულმა შემგინებელს შეგინებამდე შეაგინა, მაშინ, საზოგადოდ, ბილწსიტყვაობა და გინება არის თუ არა ცუდი საქციელი და, თუ ვინმემ ვინმეს ოდესმე შეაგინა, ეს შეგინებულ-შემგინებელი შეიძლება თუ არა, დაინიშნოს რომელიმე საჯარო თანამდებობაზე?**

აი, ამის გარკვევით სერიოზულად არის დაკავებული მთელი ქართული მედია! ორი გამოკვეთილი ფიგურაც გვყავს, „დურუ ხუნჭუობაზე“ რომ აცხადებს პრეტენზიას ისეთი — **გია კორკოტაშვილი** და **ნუგზარ ჭონქაძე** (რომლის ფეისბუქნიკია „სულიკო კედელაშვილი“). ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, გია კორკოტაშვილის კონკურენტი „დურუ ხუნჭუობაზე“ მას შემდეგ გახდა, რაც ის **კახა კალაძემ** თბილისის მერიის უსაფრთხოების სამსახურის უფროსად დანიშნა.

გია კორკოტაშვილი კი, იგივე „კორკოტა“, არადა არ ჩამოდის ქართული ტელევიზიების ეკრანებიდან და, მგონი, უცხოპლანეტელები რომ დაგვესხან თავს, ქართული ტელევიზიები მაინც იმის გარკვევას უფრო მიანიჭებენ პრიორიტეტს, „კორკოტამ“ **ნანუკას** რომ შეაგინა, ეგ უფრო დიდი ტრაგედიაა თუ ის, რომ **გვარამიამ** შეაგინა **ლადო სადღობელაშვილს?**

> **ყურიც არ შეუბერტყავს არც ერთ ტელეკომპანიას, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 165 ათასი დოლარით დაფინანსებულმა და ამერიკის შეერთებულ შტატებში «სასწავლებლად» წასულმა «ეროვნულმა ბოზმა» თინა მახარაძემ სოციალურ ქსელში ატვირთა მორიგი ვიდეო, სადაც იგი ნარკოტიკებით აშკარად «განგრეულ კაიფში», ვიღაც ტიპებთან ერთად, სავარაუდოდ, საუნაში ერთობა და იქიდან ქართველ ერს ისევ და ისევ ჩვეულ სტილში «ყ...ებად» მოიხსენიებს**

ახლა, ფაქტობრივად, ჩვენც „გინებების გამრჩევთა“ მარაქაში გარევა გამოგვივა, მაგრამ მაინც გვინდა, ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ „ლიბერასტებისა“ და „პიდარასტების პროპაგანდისტების“ უშვერი და უსაზღვრო ბილწსიტყვაობა იმდენად არ ხვდება ხოლმე ქართული მედიის ყურადღების ცენტრში. „ზრდილობის შემოტევა“ ქართულ მედიას, ძირითადად, მაშინ ეწყება, როდესაც რომელიმე „ანტიმიშისტი“ ან „ანტილიბერალი“ წამოისვრის უხამს სიტყვებს.

მაგალითად, **ყურიც არ შეუბერტყავს არც ერთ ტელეკომპანიას, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 165 ათასი დოლარით დაფინანსებულმა და ამერიკის შეერთებულ შტატებში „სასწავლებლად“ წასულმა „ეროვნულმა ბოზმა“ თინა მახარაძემ სოციალურ ქსელში ატვირთა მორიგი ვიდეო, სადაც იგი ნარკოტიკებით აშკარად „განგრეულ კაიფში“, ვიღაც ტიპებთან ერთად, სავარაუდოდ, საუნაში ერთობა და იქიდან ქართველ ერს ისევ და ისევ ჩვეულ სტილში „ყ...ებად“ მოიხსენიებს.**

აღარაფერია სათქმელი **სალომე ბარკერზე**, რომელიც **თამარა ჩერგოლეიშვილის** გუნდის წევრია, და ისე წალმა-უკუღმა იგინება ყოველ პოსტსა თუ ვიდეოში, ცნობილი ვერელი „საპოჟნიკი“ ბულიკა შურით გასკდებოდა!

სხვა რომ არაფერი, **მე, პირადად, გამოვაქვეყნე მასალა გაზეთის ერთ-ერთ წინა ნომერში, სადაც „პიდარასტების“ ცნობილი წარმომადგენელი ბიწაძე პირდაპირ ამბობს: „ბაგრატის ტაძრის ეზოში ბიჭებთან ვტ...ნაურობ“-ო! რა, ეს სიტყვა არ განეკუთვნება „უხამს ლექსიკას“ თუ თვით ფაქტი, რომ ვიღაც ეკლესიების ეზოებს ბილწავს, არ არის ისე საინტერესო, რომ ტელევიზიები მაინცდამაინც კორკოტასა და კედელაშვილს მიაჭიპჭიპდნენ — არიქა! ნუ რყვნით ქართული ზრდილი საზოგადოების ყურებსო?**

ეს იმ შემთხვევისთვის, თუკი ვინმეს მართლაც ასე მნიშვნელოვნად მიაჩნია იმაზე მსჯელობა მთელი თვის განმავლობაში, ვინ შეიგინა და შეიძლება თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტმა „უზრდელი“ ადამიანები აფინანსოს. ხოლო, თუ ვინმე იკითხავს, კარგი, მაშინ ის გვითხარი, რა მოხდა სხვა ასეთი მნიშვნელოვანი საქართველოში, რომ ქართულ ტელეარხებს „შემგინებელთა თემის“ ნაცვლად ის გაეშუქებინათო? დავასახელებ, თუნდაც ჩემივე საგაზეთო სტატიას იმის შესახებ, რომ ქართველი რეჟისორი და ქართველი პროდიუსერები თურქულ მხარესთან ერთად იღებენ მხატვრულ ფილმს, ანუ კინოს, რომელშიც ასახულია, რომ რუსული „წნეხისაგან“ გაქცეული ქართველები „ტკბილ და ახლობელ“ თურქეთში პოულობდნენ თავშესაფარს და, საზოგადოდ, „ჩვენმა ისტორიულმა მეგობარმა“ თურქეთმა ყველაფერი გააკეთა „რუსული ოკუპაციისგან“ საქართველოს გადასარჩენად. ფილმის რეჟისორმაც და პროდიუსერებმაც ჩემი ეს სტატია მკაცრად გააპროტესტეს და განაცხადეს, რომ სინამდვილეში მსგავსი არაფერი ხდება. კი ბატონო, **დაველოდოთ 2018 წლის ბოლოს, როდესაც ეს ფილმი ეკრანებზე გამოვა და ვნახოთ, რა ხდება სინამდვილეში იქ. მაგრამ, ნუთუ თვით საკითხი და თემა უფრო საინტერესო არ არის, ვიდრე მთელი თვე იმის გამო პანიკის აწევა და განხილვა-მსჯელობა, ვის და რატომ შეაგინა „კორკოტამ“?**

ვიმეორებ: არ ვითხოვ, რომ ქართულ ტელევიზიებს მაინცდამაინც ჩემთვის უნდა დაეჭირათ მხარი და ხსენებული ფილმის რეჟისორ-პროდიუსერები გაემტყუნებინათ! არა, ბატონო! თუნდაც ის ექნათ, რომ სულ გავეპარტახებინე და ცილიმსწამებელი ეძახათ ჩემთვის, ოღონდ კი ასეთი ფაქტისთვის დაეთმოთ ყურადღება და განეხილათ, სტუდიაში მიეწვიათ შემოქმედებითი ჯგუფი, თუნდაც თურქეთის საელჩო, ან ვინმე, ვინც ნათელს მოჰფენდა ამ თემას. არა, როგორც ჩანს, ის უფრო მნიშვნელოვანია, რომელ „ნაცს“ შეაგინა შარშანწინ „სულიკო კედელაშვილმა“ (ეს მისი ფსევდონიმია!) და იმ „ნაცს“ აუხდა ის გინება თუ არა.

ისეც რომ არ გამიგოს ვინმემ, თითქოს მხოლოდ ჩემ მიერ განხილულ თემებზე მქონდეს პერეტენზია — რატომ არ გააშუქეს ტელევიზიებმა-მეთქი, კიდევ ერთ მართლაც უსაინტერესოეს ფაქტს მოვიყვან და, აჰა, ერთად დაველოდოთ, მიმდინარე კვირაში ვნახავთ თუ არა ქართულ თოქ-შოუებში ამ თემის განხილვას. **„იუთუბზე“ აიტვირთა იტალიური ტელეარხის ერთ-ერთი თოქ-შოუს ჩანაწერი, სადაც უკრაინაში მებრძოლი ქართველი მეომრები აღიარებენ, რომ „ევრომაიდნის“ ცნობილი მოვლენების დროს, ისინი სასტუმრო „უკრაინის“ შენობიდან სნაიპერული შაშხანებით ესროდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს, რათა მერე მათი დახოცვა იანუკოვიჩის ხელისუფლებას დაბრალებოდა.**

ამაზე სერიოზული თემა ნუთუ შეიძლება არსებობდეს?! სამწუხაროდ, ჩანაწერს არ ახლავს არც რუსული, არც ინგლისური თარგმანი და ზუსტად ვერ გეტყვით სიტყვასიტყვით რას საუბრობენ ქართველი მებძოლები, მაგრამ ზოგიერთი ქართული სიტყვის (რაც იტალიური თარგმანის მიღმა ისმის) და კადრების გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ **ზალოგი კვარაცხელია, ალექსანდრე რევაზიშვილი** და **კობა ნერგაძე** საუბრობენ, როგორ ავალებდა მათ ახლა უკვე დონბასში მებრძოლი ქართული ბატალიონის მეთაური **მამუკა მამულაშვილი** და პირადად **მიშა სააკაშვილი** მაიდანზე შეკრებილი ადამიანებისთვის ტყვიის სროლას. იტალიელი ჟურნალისტები, როგორც ჩანს, იმასაც ამტკიცებენ, რომ ამ ფაქტებს უკვე ველარც ამერიკელები უარყოფენო...

ჰოდა, მე თუ ვერ გავიგე მთლად ბოლომდე ასეა ეს ყოველივე თუ არა, აგერ, ჩვენზე ბევრი ათასით დაფინანსებულ თოქ-შოუებს ხომ შეუძლიათ, ბოლომდე ჩაეძიონ და გამოიძიონ? რა ვიცი, თუ „რუსთავი 2“-ს ვსაყვედურობთ არაობიექტურობას, აგერ არ არის ჩვენი „ტელეიმედი“? თუ ისიც უკვე ტყუპისცალივით დამსგავსებია იმავე „გამარჯვებული ხალხის“ მომტყუებელ ტელევიზიას და „ტელეუიმედობად“ გადაქცეულა?

დასასრულ, რიტორიკული, მაგრამ ლეგიტიმური, კითხვა: ნეტავ, მართლა **რა პრინციპით მუშაობენ დღეს ქართული ტელევიზიები და ვინ ურჩევს მათ გასაშუქებელ „აქტუალურ“ თემებს? ფაქტია, რომ ეს ან ვიღაც საერთო „ლიბერასტული“ თავია, ან პირადად ჯოტია ცააავა ხელმძღვანელობს მათ პრინციპით: შეგვაგინონ და გავაშუქებთ, ბატონო!**

**გაეროს პროგნოზით, XXI საუკუნის მიწურულს პლანეტაზე 11 მილიარდი ადამიანი იცხოვრებს, მათი ნახევარი კი — აფრიკაში, რომლის მოსახლეობა ამჟამინდელი 1,2 მილიარდიდან 5,6 მილიარდამდე გაიზრდება. თუ აზიის სახელმწიფოებს, ასე თუ ისე, შეუძლიათ დაასაქმონ მოსახლეობის ნაწილი და მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკა გაატარონ, აფრიკაში ვითარება თითქმის უკონტროლოა, ხოლო ეკონომიკური მდგომარეობა — კოშმარული. ეს კი ბუნებრივად უხსნის გზას ომს, შიმშილს, ეპიდემიებსა და კონტინენტური მასშტაბის ჰუმანიტარულ კატასტროფას.**

მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რევოლუცია ისე არ მოდის...



**ვითარება მსოფლიოში ისე გართულდა, რომ მას ასი წლის წინანდელს ადარებენ, როდესაც იღუპებოდა მილიონობით ადამიანი, იმსხვრეოდა ძველი იმპერიები, სასოწარკვეთილი ინტელექტუალები გამოსავალს სოციალისტურ და ნაციონალისტურ უტოპიებში ეძებდნენ, ხოლო პირველი მსოფლიო ომის ფინალი მეორის წინაპირობას ქმნიდა. გლობალური კრიზისის დაძლევა, მის ეკონომიკურ თუ კონცეფტუალურ ასპექტში, სისტემის შიგნით არსებული რესურსების ხარჯზე ვერც დღეს ხერხდება, თუმცა პარალელების გავლებას მნიშვნელოვანი სხვაობა უშლის ხელს.**

**დღეს „გლობალურ სამხრეთში" არ არსებობს საკმარისად პოპულარული კონცეფცია, რომელიც მძიმე მდგომარეობაში მყოფი მასებისთვის ისეთივე გასაგები და მიმზიდველი იქნება, როგორც ასი წლის წინათ კომუნისტური იდეები იყო. შესაბამისად, გაერთიანება, რომელიც არ იქნება შეზღუდული რელიგიური ან ეროვნული ჩარჩოებით, პრაქტიკულად გამორიცხულია. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რამდენად მცირე დრო გავიდა კარლ მარქსის დებიუტიდან მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ჩამოყალიბებამდე, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მსგავსი გამაერთიანებელი და სისტემის შეცვლაზე ორიენტირებული კონცეფცია ახლო მომავალში გაჩნდება და ძალიან სწრაფად გავრცელდება**

იმპერიალიზმის არსს, ისევე, როგორც ადრე, წარმოადგენს ერების დაყოფა მჩაგვრელებად და ჩაგრულებად, მაგრამ ბაზრების გაფართოებისთვის ან რესურსებით მდიდარი კოლონიების დაუფლებისთვის „მჩაგვრელები" ერთმანეთთან აღარ ომობენ. განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად შემცირებულია დაპირისპირების სიმწვავე სხვადასხვა კლასის წარმომადგენლებს შორის, უპირველესად, კაპიტალისტებსა და მუშებს შორის. მნიშვნელოვანი როლი ამაში რუსეთის რევოლუციამ და სოციალისტური ბანაკის შექმნამ შეასრულა, რომელმაც დასავლეთს გაერთიანებისკენ და ღარიბების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ უბიძგა, რათა მათ კომუნისტური ექსპერიმენტის გამეორების ცდუნება არ გასჩენოდათ. ამასთანავე, მნიშვნელოვანი იყო დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის კოლონიური იმპერიების მარცხი აშშ-თან კონკურენციის პროცესში — ძველი, პროტექციონისტული, შიდა ბაზრებისა და ეროვნული ეკონომიკის დაცვაზე ორიენტირებული სქემები მაქსიმალური გახსნილობით შეიცვალა, რაც სწრაფი გლობალიზაციის წინაპირობა გახდა.

**თუ რამეს შეიძლება „გლობალიზაციის ძრავა" ეწოდოს, ეს უდავოდ გლობალური შრომითი რესურსების რეგულირებაა. განვითარებული ქვეყნების კომპანიები ცდილობენ, შეამცირონ ხარჯები და გაზარდონ მოგება, რისთვისაც ორი გზა არსებობს — წარმოების გადატანა „მესამე სამყაროს" ქვეყნებში და ამავე ქვეყნებიდან იაფი მუშა ხელის შემოყვანა. ვინაიდან მეორე ვარიანტი რიგი ბარიერების გადალახვას მოითხოვს და რაღაც მომენტში მიგრანტებისთვის განკუთვნილი „ნიშის" გადავსებას იწვევს, მთავარ მეთოდად რჩება საწარმოების შექმნა იმ ქვეყნებში, რომელთაც განვითარების სხვა შანსი არ აქვთ — განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნავთობი არ გააჩნიათ, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.**

თუ 1970 წელს განვითარებული ქვეყნების ბაზარზე განვითარებადი ქვეყნებიდან შემოტანილი სამრეწველო პროდუქციის წილი მხოლოდ 10%-ს შეადგენდა, 2000 წლისთვის ის ხუთჯერ გაიზარდა. 2010 წლისთვის მრეწველობაში დასაქმებული ადამიანების 79%, ნახევარ მილიარდზე მეტი ადამიანი, განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობდა, მაშინ, როდესაც 1950-ში ეს მაჩვენებელი 34%-ს, ხოლო 1980-ში 53%-ს შეადგენდა.

ბოლო ათლეულებში მკვეთრად გაიზარდა ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი, რომლებიც ერთი სისტემის ფარგლებში ამუშავებენ სხვადასხვა ქვეყანაში განლაგებულ საწარმოო საშუალებებს, ლოგისტიკურ ხაზებს, ფინანსებს და ა.შ. ისინი ბუნებრივ მოწინააღმდეგედ განიხილავენ ძველ სახელმწიფოს მისი პროტექციონიზმით, შემზღუდავი მარეგულირებელი ნორმებითა და სოციალური ვალდებულებებით. **თუ განვითარებულ ქვეყანაში კომპანიები ერთმანეთს მარკეტინგში ეჯიბრებიან, განვითარებადში მათი კონკურენცია, ძირითადად, ექსპლუატაციის გაძლიერებას ეფუძნება.** არსებობს არაერთი დოკუმენტური ფილმი, რომლებიც ასახავს ჯოჯოხეთურ პირობებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის საწარმოებში, მაგრამ მუშები ამაზეც თანახმანი არიან, რადგან ეშინიათ, რომ მათ ადგილს სხვა დაიკავებს, მითუმეტეს, რომ სოფლიდან ქალაქისკენ კვლავინდებურად მიედინება გაჭირვებული ღლეხების ნაკადი, ხოლო დემოგრაფიული წნეხი სულ უფრო იზრდება. ექსპლუატაციის გაძლიერება გარდაუვალი ჩანს მთელი რიგი ფაქტორების გამო, რომელთა შორის მთავარია მოსახლეობის ზრდა, ტექნოლოგიების გაუმჯობესება და ნელი, მაგრამ გარდაუვალი რობოტიზაცია, რომელიც ამცირებს მოთხოვნას იაფ და ნაკლებად კვალიფიციურ მუშახელზე.

**გაეროს პროგნოზით, XXI საუკუნის მიწურულს პლანეტაზე 11 მილიარდი ადამიანი იცხოვრებს, მათი ნახევარი კი — აფრიკაში, რომლის მოსახლეობა ამჟამინდელი 1,2 მილიარდიდან 5,6 მილიარდამდე გაიზრდება. თუ აზიის სახელმწიფოებს, ასე თუ ისე, შეუძლიათ დაასაქმონ მოსახლეობის ნაწილი და მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკა გაატარონ, აფრიკაში ვითარება თითქმის უკონტროლოა, ხოლო ეკონომიკური მდგომარეობა — კოშმარული. ეს კი ბუნებრივად უხსნის გზას ომს, შიმშილს, ეპიდემიებსა და კონტინენტური მასშტაბის ჰუმანიტარულ კატასტროფას.**

გლობალიზაციამ შეამცირა აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების სიმწვავე და ის ჩრდილოეთ-სამხრეთის დაპირისპირებით შეცვალა. ღარიბი „გლობალური სამხრეთი" განვითარებული ქვეყნებისთვის დაახლოებით იმავე ფუნქციებს ასრულებს, რომელსაც ასი წლის წინანდელი რესურსების მომწოდებელი კოლონიები და პროდუქციის შემქმნელი ადგილობრივი პროლეტარიატი, მაგრამ არის მნიშვნელოვანი სხვაობაც: თუ ადრე უკმაყოფილების მობილიზებას რევოლუციონერი აგიტატორების ხანგრძლივი ძალისხმევა სჭირდებოდა, საინფორმაციო რევოლუციის შემდეგ ნებისმიერ „სამხრეთელს" შეუძლია, „იუთუბზე" ნახოს, როგორ ცხოვრობს ხალხი „ჩრდილოეთში" და საკუთარი სიღარიბის მიზეზებზე დაფიქრდეს. ზბიგნევ ბჟეზინსკიმ თავის „გლობალური გაღვიძების" თეორიაში ეს ფაქტორი „არაბული რევოლუციის" ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად დაასახელა, მაგრამ იმ არაბ ახალგაზრდებს, რომლებიც 2011-ში ქუჩებში გამოვიდნენ, სავარაუდოდ, არ ესმოდათ, რომ, არსებული გლობალური მოდელის ფარგლებში, „ჩრდილოეთსა" და „სამხრეთს" შორის არსებული სხვაობის აღმოფხვრა შეუძლებელია.

სხვადასხვა რეგიონში დამოკიდებულება პრობლემის მიმართ განსხვავებულია. **თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მუშების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ხანგრძლივი პატიოსანი შრომით მოახერხებს, შვილების უკეთესი მომავალი უზრუნველყოს, ისლამური ქვეყნების ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე აბუნტდა — ზოგი იარაღით ხელში „ისლამურ სახელმწიფოს" უერთდება, ზოგი ფიქრობს, რომ ევროპაში უნდა ჩავიდეს, იქ დასახლდეს და დასუსტებულ ევროპელებს გამოჰგლიჯოს ის, რაც, მისი აზრით, ეკუთვნის.**

„იდეალური მომხმარებლის" გამოყვანის პროცესში კორპორაციებმა მოულოდნელ შედეგს მიაღწიეს. თუ კლასიკური იმპერიალიზმის ხანაში საშუალო ევროპელს ხასიათის სიმტკიცე და დამოუკიდებლობა ახასიათებდა, დღეს ვითარება შეცვლილია. სულ რაღაც 20 წლის წინათ ქართველები ხშირად ვსაუბრობდით იმაზე, რომ დასავლელი ახალგაზრდები მშობლებისგან დამოუკიდებელ ცხოვრებას ადრე იწყებენ (ეს ბევრს დადებითად მიაჩნდა). დღეს 18-39 წლის იტალიელების ნახევარს მშობლებთან ცხოვრება ურჩევნია, ხოლო ახალგაზრდა გერმანელების 63% მშობლებთან ცხოვრობს. დამოუკიდებელი ახალგაზრდობის ქვეყანა ტრადიციულად აშშ-ია, მაგრამ ამერიკულ სოციოლოგიაში უკვე ძალიან ფართოდ გავრცელდა ტერმინი „ბავშვი-ბუმერანგი", რომელიც კოლეჯისა და უნივერსიტეტის შემდეგ მშობლებთან ბრუნდება. 10 მილიონი ახალგაზრდა ბრიტანელი (მოსახლეობის 17%) მუდმივად მოითხოვს მშობლებისგან მატერიალურ დახმარებას, რომელიც ჯამში 55 მილიარდ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

გაჩნდა კიდევ ერთი ახალი ტერმინი „კიდალტი" („კიდ" ინლისურად ბავშვია, „ედალტ" — ზრდასული). ფსიქოლოგები მათ მთავარ თვისებად ასახელებენ იმას, რომ მათ ოჯახის შექმნა და ბავშვების გაჩენა არ სურთ. რეალურად ისინი მოზარდების ცხოვრებას აგრძელებენ – უყურებენ მულტფილმებს, ყიდულობენ ძვირფას გაჯეტებს, ტანსაცმელს და, წინა თაობების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ხშირ შემთხვევაში ვერ ხდებიან პროფესიონალები, რადგან ერთ სამუშაო ადგილზე გაჩერება უჭირთ, ცდილობენ, შეიცვალონ პროფესია და უფრო საინტერესო და მაღალანაზღაურებადი იპოვონ. ამერიკელი მარკეტოლოგების შეფასებით, სწორედ 35 წელს გადაცილებული(!) მამაკაცი-„კიდალტები" უზრუნველყოფენ ინტერესს კომპიუტერული თამაშების მიმართ (შესაბამისი ინდუსტრიის ბრუნვამ 100 მილიარდს გადააჭარბა) და სწორედ მათი წყალობით შეიქმნა კოლოსალური მოთხოვნა ფენტეზის ჟანრის ისეთ ნაწარმოებებზე, რომლებიც ყველა ასაკობრივ ჯგუფს იზიდავს, მაგალითად, რომანებზე ჰარი პოტერის შესახებ (ჯამური ტირაჟი 450 მილიონი, შემოსავალი 1,2 მილიარდი დოლარი) ან სერიალზე „სამეფო კარის თამაშები".

ინფანტილური ადამიანი პრაქტიკულად იდეალური მომხმარებელია, რადგან კრიტიკული აზროვნება „გამორთული" აქვს და მისი მართვა გაცილებით იოლია. შესაბამისად, კორპორაციების პოლიტიკა ხელს უწყობს „გლობალური ჩრდილოეთის" ახალგაზრდობის ინფანტილიზაციას, მაშინ, როდესაც „გლობალური სამხრეთის" ცენტრალური ფიგურა ნახევრადმშიერი და აგრესიული ახალგაზრდა ხდება. თავის ლოგიკურ განვითარებაში ისინი უკავშირდებიან მორლოკებს და ელოებს ჰერბერტ უელსის უცნაურად წინასწარმეტყველური რომანიდან „დროის მანქანა". მათმა შეჯახებამ შეიძლება არნახული მასშტაბის გლობალური კრიზისი გამოიწვიოს.

ეს უბიძგებს „ჩრდილოეთის" მთავრობებს, „სამხრეთში" იმგვარი კონფლიქტები გააღვივონ, რომლებშიც მრავალმილიონიანი მასების რისხვის ანიჰილაცია მოხდება. ამ კონტექსტში შეიძლება სირიის ან ლიბიის კონფლიქტი გავიხსენოთ, სადაც ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძვის, აღარავის ახსოვს, რატომ დაიწყო ომი და ათეულობით მილიონი ადამიანი ყველაფერზე თანახმაა, ოღონდაც თავი უსაფრთხოდ იგრძნოს. „ჩრდილოეთის" უშუალო ჩარევა მინიმალურია, ძირითადი ინსტრუმენტის როლს ადგილზე დაქირავებული მებრძოლები ასრულებენ, ხოლო თურქეთი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები იმას უზრუნველყოფენ, რომ დასავლეთს იმაზე მეტი დევნილი არ მიაწყდეს, ვიდრე შეუძლია „გადახარშოს" და ეკონომიკური პირამიდის ყველაზე დაბალ საფეხურზე დაასაქმოს.

საინტერესოა, რომ 1919 წლის 5 აგვისტოს ლევ ტროცკიმ საგანგებო მემორანდუმი გაუგზავნა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელებს, მოუწოდა, თავი დაენებებინათ ევროპაში რევოლუციის გაჩაღების მცდელობებისთვის და მთელი ძალისხმევა აზიისკენ გადაეტანათ. ის მივიდა დასკვნამდე, რომ მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მომავალი უკავშირდება სწორედ მას და არა მაძღარ, გარე გავლენისგან კარგად დაცულ დასავლეთს.

მაგრამ დღეს „გლობალურ სამხრეთში" არ არსებობს საკმარისად პოპულარული კონცეფცია, რომელიც მძიმე მდგომარეობაში მყოფი მასებისთვის ისეთივე გასაგები და მიმზიდველი იქნება, როგორც ასი წლის წინათ კომუნისტური იდეები იყო. შესაბამისად, გაერთიანება, რომელიც არ იქნება შეზღუდული რელიგიური ან ეროვნული ჩარჩოებით, პრაქტიკულად გამორიცხულია. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რამდენად მცირე დრო გავიდა კარლ მარქსის დებიუტიდან მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ჩამოყალიბებამდე, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მსგავსი გამაერთიანებელი და სისტემის შეცვლაზე ორიენტირებული კონცეფცია ახლო მომავალში გაჩნდება და ძალიან სწრაფად გავრცელდება. მის კონტურებზე და იმ ადგილზე, რომელსაც იკავებს ჩვენი ქვეყანა (და ზოგადად „ევროპული პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები") „ჩრდილოეთ-სამხრეთის" გლობალურ სისტემაში, „საქართველო და მსოფლიოს" მომდევნო ნომერში ვისაუბრებთ.

**ლუკა ნემსაძე**

ორი მაიდანის შედეგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლო ათწლეულში უმეტესობა ომებისა ბუნებრივი რესურსების (ნავთობი, ბუნებრივი აირი, ძვირფასი ლითონები) გამო გაჩაღდა და ეს კონფლიქტები ძალიან რენტაბელურია იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც მათში ფული ჩადეს. როტშილდმა და კიდევ ზოგიერთმა ოჯახმა უზარმაზარი ქონება ჩაიგდო ხელში იმ ჯარისკაცების სისხლისა და სიცოცხლის ფასად, რომლებსაც სჯეროდათ, რომ სამშობლოს იცავდნენ, სინამდვილეში კი სხვებს კიდევ უფრო გამდიდრებაში ეხმარებოდნენ. იმ ქვეყნებისთვის კი, რომელთა მიწაზეც ფეხი დადგეს, გაპარტახებისა და კონფლიქტიების მეტი არაფერი მოუტანიათ. ავღანეთის, ერაყის, ლიბიისა და სირიის შემდეგ ჯერი უკრაინაზე მიდგა?**

# ვინ ყიდულობს უკრაინას და რა ელის საქართველოს?

**ბოლო 2 ათეული წელია, დასავლეთი, კონკრეტულად მისი ლიდერი სახელმწიფო — აშშ ქვეყნების დასაპყრობად და დასამორჩილებლად ერთსა და იმავე სცენარს იყენებს: სამიზნეში ამოღებულ ქვეყანას, დემოკრატიის განვითარების საბაბით, ჯერ დაეხმარება პოლიტიკურად თუ ფინანსურად, შემდეგ თავისი პოზიციების გასაძლიერებლად ამ ქვეყანაში შექმნის უამრავ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც იწყებენ დასავლეთის (აშშ-ის) ინტერესების გატარებას, ანუ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას — ებრძვიან ეროვნულ ფასეულობებს, რელიგიას და ცდილობენ ე.წ. დასავლური ფასეულობების თავსმოხვევას ადგილობრივი მოსახლეობისთვის. შემდეგ ეტაპზე, როცა უკვე ფესვებს კარგად გაიდგამს, აშშ იწყებს დასავლეთში განათლებამიღებული და მისი მარიონეტი პოლიტიკოსების მოყვანას ხელისუფლების სათავეში ფერადი რევოლუციებით. ასე მოხდა საქართველოში, როცა „ვარდების რევოლუციის“ მეშვეობით ხელისუფლების სათავეში მოექცა სააკაშვილი და მისი „ნაციონალური მოძრაობა“, უკრაინაში კი ორჯერ მოაწყვეს ე.წ. მაიდანი და ახლა ამ ქვეყანას პეტრე პოროშენკო მართავს, რომელსაც კიდევ ერთი მაიდნის მოწყობით, ამჯერად სააკაშვილის ხელით, დამხობას უპირებენ.**




ე.წ. არაბული გაზაფხულების მეშვეობით კანონიერად არჩეული ხელისუფლებები დაამხეს ლიბიაში, ეგვიპტეში, ტუნისში. ერაყსა და ავღანეთში პირდაპირ ინტერვენციას მიმართეს, ხოლო სირიაში ხელისუფლებასთან საბრძოლველად კბილებამდე შეაიარაღეს ე.წ. ზომიერი ოპოზიცია. შედეგად ეს ნავთობით მდიდარი და თავის დროზე ეკონომიკურად აყვავებული ქვეყნები დღეს გაპარტახებულია.

ქვეყნების დაპყრობა-დამორჩილების მიზანი სხვადასხვაა: ზოგ შემთხვევაში ეს არის ნავთობსაბადოები და სხვა წიაღისეული, ზოგჯერ კი, მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს არც ნავთობი და არც სხვა წიაღისეული, გეოპოლიტიკური მდებარეობაა — აზია-ევროპის დერეფანი და, რაც მთავარია, რუსეთის მეზობლობა, რათა საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები განალაგოს და ამით რუსეთს პრობლემები შეუქმნას, მაგრამ რა შედეგით დასრულდა საქართველოს რუსეთთან დაპირისპირება 2008 წელს, ყველამ კარგად ვიცით.

უკრაინის დამორჩილების მიზანი კი, გეოპოლიტიკურ მდებარეობასთან ერთად, ამ ქვეყნის ნაყოფიერი მიწები და წიაღისეულია. აღსანიშნავია, რომ მეორე მაიდნიდან მოკლე ხანში აშშ-ის იმჟამინდელი ვიცეპრეზიდენტ **ჯო ბაიდენის** შვილი, **ჰანტერ ბაიდენი**, უკრაინის ბუნებრივი აირის მწარმოებელი კომპანია Bursima Holdings-ის დირექტორთა საბჭოში შეიყვანეს. ახლა კი უკრაინის ნაყოფიერ მიწებს თვალი დაადგა **როტშილდების** ოჯახმა...

უკრაინის, ბელორუსისა და მოლდოვის საკითხებში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორის — **სატუ კაჰკონენის** განცხადებით, უკრაინაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვაზე დაწესებული მორატორიუმი 2018 წლის 1 იანვრიდან გაუქმდება.

**„ეს არის ის რეფორმა, რომელიც სარგებელს მოუტანს უკრაინის ყველა მოქალაქეს, ამიტომ მიგვაჩნია გადაუდებელ საკითხად, ეს უნდა გაკეთდეს ახლავე და მორატორიუმი 2018 წლის 1 იანვრიდან უნდა გაუქმდეს“** , — განაცხადა კაჰკონენმა და დასძინა, რომ მიწის გაყიდვაზე დაწესებული მორატორიუმი ერთ-ერთი მიზეზია მცირემოსავლიანობისა უკრაინაში, ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით.

ამ განცხადების შემდეგ უკრაინის პრესაში გამოქვეყნდა მასალები მაიდნის დაწყების მიზეზებსა და მაიდნის ლიდერების უკან მდგომი ძალების შესახებ, აგრეთვე, იმაზე, რატომ დაიღვარა ამდენი სისხლი ერთი ხელისუფლების მეორით შეცვლაზე, რომლებიც ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებიან.

„კიევის ცენტრში დატრიალებული სისხლიანი მოვლენების 3 წლისთავზე და ქვეყნის აღმოსავლეთში ათიათასობით მსხვერპლის შემდეგ ცნობილია იმ ადამიანების გვარები, რომლებმაც პოროშენკო, იაცენიუკი და სხვა „ლიდერები“ ხელისუფლებაში მოიყვანეს. რაც მთავარია, რისთვის? სიმართლე პოროშენკოს კულისებსმიღმა მბრძანებლებზე გამაოგნებელია. აი ვინ დგას უკრაინის სისხლიანი მოვლენების უკან და რა სურთ მათ“, — წერს ჟურნალისტი **დან ილიუ** უკრაინული გამოცემა Elise Jornal-ის ვებგვერდზე.

**ფსონზე დევს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაახლოებით 40 მლნ ჰექტარი — მსოფლიოს შავმიწა ნიადაგის დიდი ნაწილი. უკრაინის პოლიტიკაზე როტშილდების გავლენაზე კარგა ხნის წინათ წერდნენ, მაგრამ ადრე ფინანსური კლანი, რომელიც 3,2 ტრილიონი დოლარის მსოფლიო აქტივების მფლობელია, უკრაინის სისხლიანი მოვლენების კულისებში რჩებოდა. მას შემდეგ კი, რაც უკრაინის ვალმა უცხოელი პარტნიორების მიმართ მშპ-ს 94%-ს მიაღწია (უკრაინის ეკონომიკის სავალალო მდგომარეობის ფონზე), მსოფლიოში უმდიდრესმა ოჯახმა გადაწყვიტა, ჩრდილიდან გამოსულიყო**

**„ფსონზე დევს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაახლოებით 40 მლნ ჰექტარი — მსოფლიოს შავმიწა ნიადაგის დიდი ნაწილი. უკრაინის პოლიტიკაზე როტშილდების გავლენაზე კარგა ხნის წინათ წერდნენ, მაგრამ ადრე ფინანსური კლანი, რომელიც 3,2 ტრილიონი დოლარის მსოფლიო აქტივების მფლობელია, უკრაინის სისხლიანი მოვლენების კულისებში რჩებოდა. მას შემდეგ კი, რაც უკრაინის ვალმა უცხოელი პარტნიორების მიმართ მშპ-ს 94%-ს მიაღწია (უკრაინის ეკონომიკის სავალალო მდგომარეობის ფონზე), მსოფლიოში უმდიდრესმა ოჯახმა გადაწყვიტა, ჩრდილიდან გამოსულიყო.**


ბანდერელების მხეცობა დასავლეთ უკრაინაში

როტშილდების ინტერესების დამცველ ფონდ Franklin Resources-ში (Franklin Templton Investment-ი) გაერთიანებული არიან უკრაინის **ევროობლიგაციების** 50 პროცენტის მფლობელები. 2015 წელს სააგენტო „ბლუმბერგი“ წერდა, რომ როტშილდებმა შეისყიდეს უკრაინის ვალის მესამედი, მათი კომპანიის (Rothschild) წარმომადგენლებმა კი საჯაროდ განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ უკრაინის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებში მონაწილეობა. საინფორმაციო სივრცეში როტშილდების მოულოდნელი გამოჩენა ამ ოჯახის წარმომადგენლებმა ახსნეს სურვილით, დაეხმარონ ოფიციალურ კიევს ვალების რესტრუქტურიზაციაში, მაგრამ ეს არგუმენტი არადამაჯერებელია. **ROTHSCHILD-ის ჯგუფის მოქმედებაში აშკარად ჩანს სურვილი, მიიპყრონ ყურადღება, როგორც უკრაინის საგარეო ვალების მთავარმა განმკარგველებმა. ასეთი რამ დამახასიათებელია არა რესტრუქტურიზაციისთვის, არამედ გაკოტრების პროცედურისთვის. როცა გამოაცხადებენ კრედიტორების კომიტეტის შექმნას, მოვალეს ქონებრივ მოთხოვნებს საჯაროდ წარუდგენენ.**

სხვათა შორის, ფრანგულ გამოცემა AgoraVox-ის ჟურნალისტი **კრისტელ ნეანი** მიმდინარე წლის ოქტომბერში წერდა, რომ კიევში მაიდანის მოწყობისა და დონბასში ომის გაჩაღების მიზეზები აშშ-ის გეოპოლიტიკაში უნდა ვეძებოთ. ამერიკას სურს, უკრაინის ბუნებრივი აირის გამანაწილებელი სისტემა ხელში ჩაიგდოს. უკრაინის „ნაფტოგაზის“ მომსახურებაზე ამა წლის 13 ოქტომბერს გამოცხადებულ ტენდერში როტშილდების მილანურმა ბანკმა გაიმარჯვა.

**თუ მოვლენები ქვეყნის გაკოტრების სცენარით განვითარდება (ასეთი პრეცედენტები იყო მსოფლიოში) ისევე, როგორც ეს ხდება ხოლმე კერძო კომპანიის გაკოტრების შემთხვევაში, მაშინ შემდეგი ეტაპი კრედიტორების მიერ სახელმწიფო ქონების დროებითი მმართველის დანიშვნაა.**

**ეს დროებითი მმართველი კი როტშილდების ოჯახთან დაახლოებული კომპანიები იქნება, რადგან უკრაინის ძირითადი საგარეო ვალის მფლობელი როტშილდების ოჯახია. შემდეგ მიწებს გაათამაშებენ აუქციონზე ამ კომპანიებს შორის და შედეგად უკრაინის მიწის 40% ამ გიგანტების ხელში აღმოჩნდება.** რას ნიშნავს ეს უკრაინისთვის?

უწინარესად — **დამოუკიდებლობის დაკარგვას. ქვეყანაში ყველა პროცესს ერთი ოჯახი გააკონტროლებს მარიონეტი პოროშენკოებისა და იაცენიუკების მეშვეობით.**

2009 წელს, როდესაც Rothschild&Cie-ს მმართველმა დირექტორმა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში — **ჯოვანი სალვეტიმ** განაცხადა, რომ მის კომპანიას უკრაინაში მხოლოდ სოფლის მეურნეობის დარგი და სავარგულები აინტერესებს, უკრაინის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა **ვიქტორ იუშჩენკომ** თავისი უფლება გამოიყენა და ვეტო დაადო კანონს სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვაზე მორატორიუმის გაგრძელების შესახებ. თუმცა როტშილდებს გზა გადაულობა უკრაინის პარლამენტმა — **უზენაესმა რადამ დაძლია პრეზიდენტის ვეტო და გააგრძელა მორატორიუმი.** ამჟამად კი როტშილდებმა (ფონდი Franklin ▶

**უკრაინელმა ნაციონალისტებმა ისეთი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს, რომ ჰიტლერელებიც კი გაოცებულნი იყვნენ. სხვადასხვა შეფასებით, ბანდერელებმა დასავლეთ უკრაინაში 100-დან 130 ათასამდე ადამიანი სასტიკად აწამეს და მოკლეს, მათ შორის: პოლონელები, ებრაელები, რუსები და უკრაინელებიც კი, ძირითადად, ქალები, ბავშვები და მოხუცები.**

ორი მაიდანის შედეგი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ მოვლენები ქვეყნის გაკოტრების სცენარით განვითარდება (ასეთი პრეცედენტები იყო მსოფლიოში), ისევე, როგორც ეს ხდება ხოლმე კერძო კომპანიის გაკოტრების შემთხვევაში, მაშინ შემდეგი ეტაპი კრედიტორების მიერ სახელმწიფო ქონების დროებითი მმართველის დანიშვნაა. ეს დროებითი მმართველი კი როტშილდების ოჯახთან დაახლოებული კომპანიები იქნება, რადგან უკრაინის ძირითადი საგარეო ვალის მფლობელი როტშილდების ოჯახია. შემდეგ აუქციონზე ამ კომპანიებს შორის მიწებს გაათამაშებენ და შედეგად უკრაინის მიწის 40% ამ გიგანტების ხელში აღმოჩნდება**




◀ Resources-ი) გაითვალისწინეს წარსულის გამოცდილება და კონსულტანტად დაიქირავეს კომპანია BlackStone-ი. სწორედ ამ კომპანიამ უნდა შეიმუშაოს უკრაინის მიწების როტშილდების ოჯახისთვის გადაცემის იურიდიული მექანიზმი.

BlackStone-ს კი ამის გამოცდილება აქვს — 2012 წელს სწორედ მან მოამზადა საბერძნეთის მთავრობასთან (პრემიერმინისტრი **ანტონიო სამარასი**) ხელშეკრულება ვალის გადახდის სანაცვლოდ იონიის, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვებში კუნძულების შესყიდვის შესახებ.

**აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან უკრაინა დაკარგავს დამოუკიდებლობას, რადგან გადავა ერთი ოჯახის მმართველობაში“.**

აქ აღსანიშნავია, რომ მცირემიწიან საქართველოშიც გამოაცხადა ხელისუფლებამ მორატორიუმი უცხოელებისთვის მიწის მიყიდვაზე, მაგრამ კანონში არის „ხვრელები“, რომელთა მიხედვით ბანკებსა და საფინანსო ორგანიზაციებს შეუძლიათ მიწის გაყიდვა.

კიდევ ერთი პარალელი საქართველოსა და უკრაინას შორის: საქართველოს არც ერთ მეზობელ ქვეყანასთან არ აქვს კარგი ურთიერთობა — არც სომხეთთან, არც აზერბაიჯანთან, არც თურქეთთან და, მით უმეტეს — რუსეთთან.

ანალოგიურ ვითარებაში არიან **უკრაინელებიც, რომლებიც ამერიკელებმა, ბანდერელი ნაციონალისტების წაქეზებით, მოძმე რუს ერს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდეს და შედეგად ყირიმის ნახევარკუნძული და დონბასის ოლქი დაკარგეს, როგორც ჩვენ — აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. უკრაინელებს არც ბელარუსებთან აქვთ კარგი ურთიერთობა და არც პოლონეთთან.**

2015 წელს პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაბეჭდა კამპანია „დამოუკიდებლობის გარბენის“ პლაკატი პოლონეთის რუკასთან ერთად, რომელზეც უკრაინის ქალაქი ლვოვი, ლიტვის დედაქალაქი ვილნიუსი და ბელარუსის ტერიტორიის ნაწილი პოლონეთის ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული. ამ რუკამ უკრაინელი ნაციონალისტების აღშფოთება გამოიწვია. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ვიტოლდ ვაშიკოვსკიმ** კი ნოემბრის დასაწყისში ოფიციალური ვიზიტით ლვოვში ყოფნისას უარი განაცხადა უკრაინის ნაციონალური მუზეუმ-მემორიალის მონახულებაზე, რომელიც ოკუპირებული რეჟიმების მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად შეიქმნა. **ვაშიკოვსკის არ მოეწონა ამ მუზეუმის დირექტორის პოზიცია, რომელსაც მიაჩნია, რომ 1918 წელს პოლონეთმა დაიპყრო დასავლეთი უკრაინა.** მოგვიანებით პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ბარტოშ ციხოცკიმ** განაცხადა, რომ „უკრაინა იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს არ უწყობს ისტორიული დიალოგის განვითარებას“. დიპლომატმა ასეთი გადაწყვეტილების მაგალითად დაასახელა „უკრაინის ამბოხებულთა არმიის რეაბილიტაცია“ (უკრაინელი ნაციონალისტების (ბანდერელების) ორგანიზაციის სამხედრო ფრთა. ეს სამხედრო შენაერთი 1943-1945 წლებში გერმანელ ფაშისტებთან თანამშრომლობდა და საბჭოთა და პოლონელ პარტიზანებს ებრძოდა) „საბჭოური ფორმულირებების გამოყენება პოლონეთის მიერ დასავლეთი უკრაინის ოკუპაციაზე“ და კიევის გამაოგნებელი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით აიკრძალა სამხედრო კონფლიქტებში დაღუპული პოლონელების ნეშტების მოძიება და ექსჰუმაცია. **„გარდა ამისა, უკრაინას ჯერ კიდევ სათანადოდ არ უგია პასუხი კატინის დანაშაულზე,** — განაცხადა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, რომელმაც კატინის დანაშაულში **ვოლინის ტრაგედია** იგულისხმა, როცა **უკრაინელმა ნაციონალისტებმა ისეთი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს, რომ ჰიტლერელებიც კი გაოცებულნი იყვნენ. სხვადასხვა შეფასებით, ბანდერელებმა დასავლეთ უკრაინაში 100-დან 130 ათასამდე ადამიანი სასტიკად აწამეს და მოკლეს, მათ შორის, პოლონელები, ებრაელები, რუსები და უკრაინელებიც კი, ძირითადად, ქალები, ბავშვები და მოხუცები.** აი რა განაცხადა უკრაინის ამბოხებულთა არმიის ერთ-ერთი რაზმის მეთაურმა **სტეპან რედეშიმ** დაკითხვაზე 1944 წლის 21 აგვისტოს: **„...ალყაში მოვაქციეთ 5 პოლონური სოფელი და გადავწვით. მოსახლეობა, დიდი თუ პატარა, დავხოცეთ — საერთო ჯამში, 2000 კაცი. ჩემი რაზმი მონაწილეობდა ერთი დიდი სოფლის დაწვაში. დაახლოებით 1000-მდე პოლონელი ავკუწეთ... ბევრი პოლონელი — მამაკაცები, ქალები, მოხუცები, ბავშვები — ჭებში ცოცხლად ჩავყარეთ, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღიდან ტყვიები დავუშინეთ. დანარჩენები ხიშტებითა და ნაჯახებით ავჩეხეთ, ზოგი დავხრიტეთ... პოლონელებით დასახლებულ სოფლებს იმიტომ ვწვავდით, რომ მათი არსებობის კვალი გაგვენადგურებინა და პოლონელებს არასოდეს ჰქონოდათ პრეტენზია უკრაინულ მიწაზე“...**

„პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიტალი ვაშიკოვსკი ლვოვში ვიზიტისას ისე იქცეოდა, თითქოს ეს უკვე პოლონეთის მიწაა. საერთოდ, პოლონელი მაღალჩინოსნების ნაწილი ისე იქცევა, თითქოს სახელმწიფო უკრაინა არ არსებობს“, — განაცხადა უკრაინის ნაციონალური ხსოვნის ინსტიტუტის დირექტორმა **ვლადიმერ ვიატროვიჩმა.**




პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პლაკატი

უკრაინას პოლონეთის სტრატეგიულ პარტნიორს უწოდებენ, მაგრამ პარტნიორობის ნაცვლად ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა სულ უფრო მწვავდება. ცოტა ხნის წინათ ანტიუკრაინულ მოწოდებების გუნდს შეუერთდა პოლონეთის პრეზიდენტი **ანჯეი დუდაც**, რომელმაც განაცხადა, რომ უკრაინაში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც პოლონეთის მიმართ ანტაგონისტურად არიან განწყობილნი. დუდამ აშკარად მიანიშნა ბანდერელებზე, რომლებზეც პოლონური მედია წერს, რომ მათ კიდევ ერთი ვოლინის მოწყობა სურთ.

ორი ნაციონალიზმი — პოლონური და უკრაინული — სულ უფრო მწვავედ უპირისპირდება ერთმანეთს და მათ შორის ურთიერთობის ნორმალიზება, როგორც ჩანს, თვით აშშ-საც აღარ შეუძლია.

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ უკრაინის ახალი ხელისუფლება თავის მოქალაქეებს არწმუნებდა, ქვეყანას საფრთხე აღმოსავლეთიდან ემუქრებაო. ოფიციალურმა კიევმა რუსეთს აგრესორი ქვეყანა უწოდა, არადა, ტელეარხ NewsOne-ს ეთერში უკრაინის პარლამენტის წევრის, **ნესტორ შუფრიჩის,** განცხადებით, **სანამ უკრაინის ხელისუფლება ცდილობდა რუსეთის აგრესონად წარმოჩენას, ქვეყნის დასავლეთ საზღვრებზე ვითარება გამწვავდა და უკრაინა იუგოსლავიის სცენარს მიუახლოვდა, რადგან თითქმის ყველა მეზობელთან აქვს კონფლიქტი — რუმინელებთან, უნგრელებთან, პოლონელებთან. უკრაინელი დეპუტატის აზრით, ქვეყანა 4 ნაწილად დაშლის საფრთხის წინაშეა.**

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულში უმეტესობა ომებისა ბუნებრივი რესურსების (ნავთობი, ბუნებრივი აირი, ძვირფასი ლითონები) გამო გაჩაღდა და ეს კონფლიქტები ძალიან რენტაბელურია იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც მათში ფული ჩადეს. როტშილდმა და კიდევ ზოგიერთმა ოჯახმა უზარმაზარი ქონება ჩაიგდო ხელში იმ ჯარისკაცების სისხლისა და სიცოცხლის ფასად, რომლებსაც სჯეროდათ, რომ სამშობლოს იცავდნენ, სინამდვილეში კი სხვებს კიდევ უფრო გამდიდრებაში ეხმარებოდნენ. იმ ქვეყნებისთვის კი, რომელთა მიწაზეც ფეხი დადგეს, გაპარტახებისა და კონფლიქტების მეტი არაფერი მოუტანიათ.

ავღანეთის, ერაყის, ლიბიისა და სირიის შემდეგ ჯერი უკრაინაზე მიდგა? რა ელის საქართველოს, სადაც როტშილდების ინტერესების გამტარებელ **ჯორჯ სოროსს** ფესვები მყარად აქვს გადგმული?

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

## ცნობისთვის:

**IX საუკუნეში, აღმოსავლეთ სლავების ტომების გაერთიანების შედეგად, აღმოსავლეთ ევროპაში შეიქმნა ძველრუსული სახელმწიფო — კიევის რუსეთი, რომლის ცენტრი იყო კიევი. ამ სახელმწიფოს ეკავა ტერიტორია სამხრეთით — ტამანის ნახევარკუნძულიდან, დასავლეთით — მდინარე დნესტრამდე და მდინარე ვისლამდე, ჩრდილოეთით — მდინარე ჩრდ. დვინამდე და აღმოსავლეთით — მდინარე ვოლგის სათავემდე. XII საუკუნეში დაიშალა რამდენიმე სამთავროდ, იარსება 1237-1240 წლამდე — მონღოლების შემოსევამდე.**

**1569 წელს მოექცა პოლონეთისა და ლიტვის სათავადოს მიერ შექმნილ ფედერაცია რეჩპოსპოლიტას შემადგენლობაში (რეჩპოსპოლიტაში შედიოდა თანამედროვე პოლონეთის, უკრაინის, ბელარუსისა და ლიტვის ტერიტორიები, აგრეთვე, რუსეთის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდოვასა და სლოვაკეთის ტერიტორიების ნაწილი. 1648 წლის ზაპოროჟიელი კაზაკები, გეტმან ბოგდან ხმელნიცკის მეთაურობით, აჯანყდნენ, გამოეყვნენ რეჩპოსპოლიტას და შექმნეს დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული გეტმანშჩინა. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის შემდეგ ყირიმის სახანო (ყირიმის ნახევარკუნძული) რუსეთს შეუერთდა. 1772-1795 წლებში რეჩპოსპოლიტის დაყოფის შედეგად გალიცია გადავიდა ავსტრიელი ჰაბსბურგების ხელში, ხოლო დანარჩენი ნაწილი რუსეთის იმპერიას შეუერთდა.**

**1918 წელს შეიქმნა უკრაინის სახალხო რესპუბლიკა. 1918 წელსვე ავსტრია-უნგრეთის დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ გალიციის ტერიტორიაზე შეიქმნა დასავლეთ უკრაინის სახალხო რესპუბლიკა, მაგრამ პოლონეთთან ომის შემდეგ ეს ტერიტორია პოლონეთისა და რუმინეთის ხელში გადავიდა, 1919 წელს კი ხარკოვში უკრაინელთა III ყრილობაზე გამოცხადდა დამოუკიდებელი სახელმწიფო — უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. 1920-21 წლებში უკრაინის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილი პოლონეთის ჯარებმა დაიკავეს. 1922 წლის 30 დეკემბერს რუსეთის უკრაინის, ბელორუსიისა და ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სსრკ-ის შექმნის შესახებ. 1939 წელს, პოლონეთზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ, გერმანიისა და სსრკ-ის შეთანხმების საფუძველზე, დასავლეთი უკრაინა წითელმა არმიამ დაიკავა. 1945 წელს მეორე მსოფლიო ომის შედეგების გათვალისწინებით, სსრკ-თან შეთანხმებით, ჩეხოსლოვაკიამ უკრაინას გადასცა ამიერკარპატების ოლქი. 1954 წელს კი, ნიკიტა ხრუშჩოვის ინიციატივით, „უკრაინისა და რუსეთის 300-წლიანი მეგობრობის“ ნიშნად უკრაინას გადაეცა ყირიმის ოლქი (ნახევარკუნძული); უკრაინა, ტერიტორიის მიხედვით, ევროპის ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოდ იქცა (სსრკ-ის დაშლის შემდეგ).**

**2014 წლის მარტში კი ყირიმი, სახალხო რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, კვლავ რუსეთს შეუერთდა. უკრაინამ დაკარგა დონბასის ოლქიც.**

**P.S. ევროპის პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომლითაც დაგმო პოლონეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება სასამართლო ხელისუფლების რეფორმირების შესახებ. ევროკავშირის კომისიის ვიცეპრეზიდენტმა ვარშავას მოუწოდა, აღადგინოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობა და შეიტანოს ცვლილება სასამართლოების კანონში. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლონეთს სანქციებს დაუწესებენ ევროკავშირის ხელშეკრულების მე-7 მუხლის მიხედვით (უზენაესი სასამართლოს ნორმებისთვის საფრთხის შექმნა), პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით კი, ბრიუსელი ვარშავას სიძულვილის ენით ელაპარაკება. პოლონეთის გარშემო შექმნილი სიტუაცია ნათლად აჩვენებს, რომ ევროკავშირის წევრობა სულაც არ არის გარანტია იმისა, რომ, თუ ბრიუსელის ნების წინააღმდეგ წავა ქვეყანა, არ დაისჯება. და კიდევ — ევროკავშირის ყველა წევრს არ სურს ევროპა ევროპული იყოს; პოლონეთს სურს, ევროპა ამერიკული იყოს.**

კინო და სპეცსამსახურები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ე.წ. მუნჯი კინოს პერიოდიდან უშიშროების აგენტებს არ სიამოვნებდათ, როგორ წარმოაჩენდნენ მათ ეკრანზე ხან ბრიყვების როლში, ხან საცოდავ ლოთებად, ამიტომ ედგარ ჰუვერის გფბ-ს დირექტორობის პერიოდიდან სპეცსამსახურებმა დაიწყეს გავლენის მოპოვება სცენარისტებსა და რეჟისორებზე. ჭირვეულები ყოველთვის აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ანტიამერიკული მოღვაწეობის საგამოძიებო კომიტეტის სამიზნეში, რომელმაც უკვე 1947 წელს დაუქვემდებარა თავის გავლენას ამერიკული კინოინდუსტრია. კომუნიზმთან ბრძოლის მიზნით ჰუვერი ცდილობდა, საზოგადოებაში უარყოფითი დამოკიდებულება გაეღვივებინა ისეთი მსახიობებისა და რეჟისორების მიმართ, როგორებიც იყვნენ ჰემფრი ბოგარტი, ჩარლი ჩაპლინი, ლორენ ბეკოლი, კეტრინ ჰეპბერნი და სხვები.**

# «გფბ პიქჩერზი» წარმოგიდგენთ: ამერიკის სპეცსამსახურმა როგორ მოაქცია თავისი გავლენის ქვეშ ჰოლივუდი







**როგორ წარმოგიდგენიათ FBI-ის (გფბ — გამოძიების ფედერალური ბიურო) აგენტი? — „დავუშვათ, — იტყვის მკითხველი, — ესენი არიან მომხიბვლელი ბიჭები მაძებრების ბრიგადიდან. ისეთები, როგორებიც არიან სერიალებში „იაზროვნე, როგორც დამნაშავემ“ ან „მენტალისტი“. იქ ქალები მომხიბვლელები და მიზანმიმართულები არიან, როგორც ალექს პერიში „ბაზა კუანტაკოდან“, მამაკაცები — ელეგანტურები და ძლიერები, როგორებიც აგენტი დეილ კუპერი ან რეიმონდ რედინგტონი „შავი სიიდან“. და, რა თქმა უნდა, მათ შორის არიან მაღალი ინტელექტის მქონე გასაოცარი გენიოსები, როგორებიც არიან მალდერი და სკალი „საიდუმლო მასალებიდან“. შეიძლება, გონებაში გაგიელვოთ სხვა ტელესერიალების გმირებმაც, მაგრამ მთავარია: ამერიკის სპეცსამსახურების თანამშრომლებზე მსჯელობისას, მათ ხშირად წარმოვიდგენთ კინოგმირების მიხედვით. და ასე შემთხვევით არ ხდება: როგორც ამერიკული ინტერნეტპორტალ Buzzfeed-ის ჟურნალისტებმა გაარკვიეს, აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) ხელმძღვანელობა სპეცსამსახურების იმიჯის გასაუმჯობესებლად მალულად აკონტროლებს სატელევიზიო პროდუქციის შინაარსს.**

ჰოლივუდსა და სპეცსამსახურებს შორის თბილი ურთიერთობა, რა თქმა უნდა, ყოველთვის არ ყოფილა. ე.წ. მუნჯი კინოს პერიოდიდან უშიშროების აგენტებს არ სიამოვნებდათ, როგორ წარმოაჩენდნენ მათ ეკრანებზე ხან ბრიყვების როლში, ხან საცოდავ ლოთებად, ამიტომ **ედგარ ჰუვერის** გფბ-ის დირექტორობის პერიოდიდან სპეცსამსახურებმა დაიწყეს გავლენის მოპოვება სცენარისტებსა და რეჟისორებზე.

ჭირვეულები ყოველთვის აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ანტიამერიკული მოღვაწეობის საგამოძიებო კომიტეტის სამიზნეში, რომელმაც უკვე 1947 წელს დაუქვემდებარა თავის გავლენას ამერიკული კინოინდუსტრია. კომუნიზმთან ბრძოლის მიზნით ჰუვერი ცდილობდა, საზოგადოებაში უარყოფითი დამოკიდებულება გაეღვივებინა ისეთი მსახიობებისა და რეჟისორების მიმართ, როგორებიც იყვნენ **ჰემფრი ბოგარტი, ჩარლი ჩაპლინი, ლორენ ბეკოლი, კეტრინ ჰეპბერნი** და სხვები.

ტრაგედია დატრიალდა მსახიობ **ჯინ სიბერგის** თავს — სპეცსამსახურების ძალისხმევით მედიაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ სიბერგის შვილის მამა იყო მისი საყვარელი **რეიმონდ ჰიუიტი** — ტერორისტული ორგანიზაცია „შავი პანტერას“ მეთაური, ხოლო კანონიერი ქმარი რომენ ჰარისი ჯინ სიბერგის დაფეხმძიმებასთან არაფერ შუაში იყო.

**ნერვიულობის გამო სიბერგმა შვილი მკვდარი დაბადა, ცოტა ხნის შემდეგ კი, როდესაც დაიღალა მტკიცებით, რომ ტერორისტის საყვარელი არასოდეს ყოფილა, მსახიობმა ქალმა თავის ავტომობილში საძილე საშუალების დიდი დოზა მიიღო და სიცოცხლე მოისწრაფა.**

ამჟამად გფბ-სა და ტელებიზნესს შორის სრული ურთიერთგაგებაა. კანონის თანახმად, მხოლოდ გფბ-ს აქვს უფლება თავისი სიმბოლიკის გავრცელებაზე. ასე რომ, რეჟისორებს, რომლებსაც სურთ ტრილერის ან დეტექტივის გადაღება იმ შემთხვევებზე, რომლებიც გფბ-ს საიდუმლო აგენტების ცხოვრებაში იყო, ამ უწყებისგან უნდა მიიღონ ნებართვა ლოგოტიპის ან სხვა სიმბოლოების გამოყენებაზე. გფბ, რა თქმა უნდა, არასოდეს კრძალავს მის გადაღებას, მაგრამ ამის სანაცვლოდ პიარდეპარტამენტის სპეციალისტები რეჟისორებსა და პროდიუსერებს სცენარის წაკითხვას სთხოვენ, რასაც შემდეგ თითქმის ყოველთვის მოჰყვება თავაზიანი თხოვნა: ხომ არ შეგიძლიათ, რაღაც შეცვალოთ? სანაცვლოდ გფბ-ს აგენტები ჰპირდებიან, ინფორმაცია გაუზიარონ რეალურ სისხლის სამართლის საქმეებზე, რათა კინოსა და სერიალების მწარმოებლებმა შეძლონ, ტიტრებში ჩასვან სანატრელი სტრიქონი: **„დაფუძნებულია რეალურ მოვლენებზე“.**

მაგალითად, რეჟისორი **ჰენრი ალექს რუბინი**, ავტორი ფილმისა „კავშირი არ არის“, რომელიც მოგვითხრობს, როგორ მიაგნეს და დახურეს გფბ-ს აგენტებმა გარყვნილების ბუნაგი, რომლიდანაც ხდებოდა სექსუალური ორგიების ტრანსლირება ინტერნეტში, იხსენებს, როგორ სთხოვეს გფბ-ს აგენტებმა სპეცსამსახურის წარმომადგენელთა „მეტისმეტად სასტიკი“ სახეების კორექტირება.

**მათ მითხრეს: „ჩვენ ასე არ ვმუშაობთ. გაცილებით თავაზიანად ვმოქმედებთ“, — იხსენებს რუბინი. მას შემდეგო, რაც სცენარისტები სცენარიდან ცუდი, კორუფცირებული აგენტების მოქმედებას ამოიღებენ, სიუჟეტი უფრო ჩახლართული ხდება.**

და ეს არ არის ერთი შემთხვევა. Buzzfeed.com.-ის დოსიეს მიხედვით, გფბ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური წელიწადში კინო და ტელესტუდიების 1000-მდე მიმართვას ამუშავებს. მიმართვების უმრავლესობა ეხება გფბ-ს ლოგოტიპის გამოყენებას. არის მიმართვა დოკუმენტური კადრების გამოყენებაზე უწყების არქივიდან.

ფილმების პროდიუსერები უფრო მჭიდრო კონტაქტსაც ამყარებენ გფბ-სთან. მაგალითად, სცენარი ფილმისა „დამიჭირე, თუ შეგიძლია“, რომელშიც **ტომ ჰენკსი** აგენტ კარლ ჰანრატის ასახიერებს, შეასწორა გფბ-ს აგენტმა **ჯო შეამ**, რომელმაც სინამდვილეში დააპატიმრა თაღლითი **ფრენკ აბიგნეილი.**

გფბ-სთან მჭიდრო თანამშრომლობით არის გადაღებული საკულტო ფილმი „კრავთა დუმილიც“ — ბევრისთვის უცნობია, რომ მსახიობ **ჯოდი ფოსტერის** გმირი გფბ-ს რეალურ აკადემია „კუანტიკოში“ გაწვრთნილი.

სხვათა შორის, გფბ ერთადერთი სპეცსამსახური არ არის, რომელსაც გავლენა აქვს ჰოლივუდზე. **კინობიზნესში შეღწევას ჯერ კიდევ ვიეტნამის ომის პერიოდში ცდილობდა პენტაგონი. გენერლები, რომლებიც კინემატოგრაფისტებს გადაღებებისთვის ნამდვილ ავიამზიდებს, ტანკებსა და ვერტმფრენებს ჰპირდებოდნენ, სანაცვლოდ ითხოვდნენ უბრალო რამეს — სცენარის წაკითხვას** და პროდიუსერებიც ხშირად უთმობდნენ გენერლებს, მაგალითად, **რიდლი სკოტის** პოპულარული ფილმიდან „შავი ქორი“, გენერლების მოთხოვნით, ამოჭრეს ყველა სცენა პოლკოვნიკ **მაიკლ სტილის** (ასახიერებდა ჯეისონ აიზეკსი) მონაწილეობით. საქმე ის არის, რომ 2003 წელს ერაყში საომრად გაგზავნილი პოლკოვნიკი სტილი მონაწილეობდა დატყვევებული ერაყელი ჯარისკაცების დახვრეტაში, მშვიდობიანი მოსახლეობის წამებასა და დასჯაში. გენერლებმა ჰეროიკული ფილმიდან შემრცხვენელი სამხედროს კადრები ამოჭრეს — უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს.




ჰოლივუდში თავიანთი წარმომადგენლობები გახსნეს სხვა სახელმწიფო უწყებებმაც, მაგალითად, აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ნაციონალურმა (NASA) და ნარკოტიკებთან ბრძოლის სააგენტოებმა. ცოტა ხნის წინათ ცნობილი შეიქნა, რომ ნარკოტიკებთან მებრძოლებმა ბიუჯეტიდან ათეულ მილიონობით დოლარი დახარჯეს, რათა ისეთ სტუდიებს, როგორებიც არის HBO, Netflix-ი და სხვ., თავიანთ ნაწარმოებებში გამოეყენებინათ ანტინარკოტიკული იდეები.

პიარის მხრივ ყველაზე ცუდად გამოიყურება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო: მას მხოლოდ **კერი მეტისონი** წარმოადგენს (მსახიობი კლერ დეინსი) სერიალ „სამშობლოში“.

**Life.ru-ს მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

**გფბ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური წელიწადში კინო და ტელესტუდიების 1000-მდე მიმართვას ამუშავებს. მიმართვების უმრავლესობა ეხება გფბ-ის ლოგოტიპის გამოყენებას. არის მიმართვა დოკუმენტური კადრების გამოყენებაზე უწყების არქივიდან. ფილმების პროდიუსერები უფრო მჭიდრო კონტაქტსაც ამყარებენ გფბ-სთან. მაგალითად, სცენარი ფილმისა «დამიჭირე, თუ შეგიძლია», რომელშიც ტომ ჰენკსი აგენტ კარლ ჰანრატის ასახიერებს, შეასწორა გფბ-ის აგენტმა ჯო შეამ, რომელმაც სინამდვილეში დააპატიმრა თაღლითი ფრენკ აბიგნეილი**


კადრი ფილმიდან „დამიჭირე, თუ შეგიძლია“

**არქიეპისკოპოსები აღნიშნავენ, რომ სულ უფრო მეტი ბავშვი ვერ ერკვევა გენდერულ სტერეოტიპებში, ეჭვდება — გოგოა თუ ბიჭი(!) და უფროსებს მოუწოდებენ, იარლიყებს ნუ ჩამოჰკიდებთო.ეს მოწოდება ასე იშიფრება: თუ ოჯახში ბიჭი ეზრდებათ, მშობლებმა ეს რეალობა ჭეშმარიტებად არ უნდა აღიქვან, უნდა ჰკითხონ თავიანთ ნაშიერს, — ბიჭად ყოფნა სურს თუ გოგონად ყოფნას ამჯობინებს და პასუხიდან გამომდინარე გაზარდონ გოგონები — ბიჭებად, ბიჭები — გოგონებად.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




# დისნეის სტუდიის მიერ გადაღებულ სერიალში პირველად გამოჩნდა გეიპერსონაჟი

**სერიალ Andi Mack-ის მეორე სეზონში ანდი და მისი საუკეთესო მეგობარი საირუსი ერთი და იმავე ბიჭის გულის მოგებისთვის იბრძოდნენ. ავტორების განსაზღვრით, ამ პროექტის აუდიტორია არის „მაყურებლები 10 წლისა და მეტი ასაკის“.**

მეორე სეზონმა 27 ოქტომბერს აიღო სტარტი. 13 წლის გოგონას, ანდის, და მის საუკეთესო მეგობარს ერთი და იგივე თანაკლასელი ბიჭი შეუყვარდათ.

ბავშვების ტელეარხის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ასეთი კოლიზია ყმაწვილების ტოლერანტული აღზრდის მიზნით არის ჩაფიქრებული.

— სერიალმა მაყურებლებს, რომელთა საშუალო ასაკი 10 წელია, უნდა ასწავლოს, რომ პატივი უნდა სცეს, ადამიანებს მათი სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად, — განაცხადეს ფილმის შემქმნელებმა. თან ირწმუნებიან, რომ ჰომოსექსუალიზმის საკითხს „დიდი დელიკატურობით“ მიუდგნენ.

**დელიკატურობა ჰქვია თურმე მოზარდთა შორის მამათმავლობის შეფარულ პროპაგანდას — ბიჭს ბიჭი შეუყვარდა და ამაში უცნაური არაფერია.**

**არც არაბუნებრივი: ვაშა დემოკრატიას, რომელიც კაცს კაცთან შეაუღლებს და ქალი თავის სარეცელში ჩაიწვენს ქალს!**

კინოფილმ „ძლიერ რეინჯერებში“ კინოს ისტორიაში პირველი ლესბოსელი ქალი გამოჩნდა — სუპერგმირი: ლესბოსელი ქალიშვილი ყვითელ კოსტიუმში. ამ როლის შემსრულებელ მსახიობ **ბეკი ჯის** მიაჩნია, რომ „თითოეულმა ბავშვმა თავის თავს არ უნდა უღალატოს და მონახოს საკუთარი ადგილი ცხოვრებაში“. ეს მოწოდება ასე იშიფრება: ბავშვს უფლება უნდა ჰქონდეს, საკუთარი თავი წარმოიდგინოს მომავალ მამათმავლად ან პერსპექტიულ ლესბოსელად.

ბავშვმა უნდა განსაზღვროს!

ფრთხილად, მშობლებო, პედერასტია შვილებს გართმევთ!

# აშშ-ის კონგრესში სექსუალური სკანდალი აგორდა

**წარმომადგენელთა პალატის წევრმა დემოკრატიული პარტიიდან, ქალბატონმა ჯეკი სპაიერმა განაცხადა, ამერიკის კონგრესში არიან დეპუტატები, რომლებიც თავის დროზე მხილებული იყვნენ, როგორც სექსუალური მოძალადეებიო.**

მან თქვა, რომ გასული 10-15 წლის განმავლობაში კონგრესმა მოძალადეების მსხვერპლ ქალებს 15 მილიონამდე დოლარი გადაუხადა, ასე ვთქვათ, ფარული კომპენსაციის სახით, რათა არ გაეხმაურებინათ უზნეობის ეს შემთხვევები.

ამ სკანდალში გახვეული კონკრეტული პოლიტიკოსების გვარები სპაიერს არ დაუსახელებია, აღნიშნა მხოლოდ, რომ ორი მათგანი დღესაც კონგრესშია: ერთი რესპუბლიკელია, მეორე — დემოკრატი.



ამასობაში დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ უძველეს კემბრიჯის უნივერსიტეტში უკვე გაიმართა დუნდულების კონკურსი. ამჯერად უკანალების შეჯიბრების ფინალში ათი სტუდენტი მონაწილეობდა. გაიმარჯვა, ცხადია, ერთმა, მაგრამ რა მოთხოვნებს უპასუხებდა პირველ ადგილზე გასული სტუდენტის დუნდულები, ამაზე ბრიტანული პრესა დუმს.

დუმან დუნდულების პატრონებიც.

დუმა ცხვარს აქვს. ცხვარი პირუტყვია. კემბრიჯის უნივერსიტეტი განათლების კერაა...

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## ანგლიკანურმა ეკლესიამ ბიჭებს ნება დართო, ატარონ ბალერინების პაჩკები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი

**ბიჭებმა დაწყებით კლასში შეიძლება ჩაიცვან პაჩკა (მოცეკვავე ქალის ერთგვარი კაბა კლასიკურ ბალეტში), ტიარები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. ამის შესახებ საუბარია მასწავლებელთა სახელმძღვანელოში, რომელიც ანგლიკანურმა ეკლესიამ შეიმუშავა ტრანსგენდერთა აღზრდის საკითხებზე, — იუწყება The Telegraph-ი.**



ეტყობა, ამ ეკლესიას საკუთარი რჯულის კანონი აქვს, რადგან ისეთ რეკომენდაციებს გასცემს, რომლებსაც საერთო არაფერი აქვს წმინდა წიგნთან, პირიქით — ეწინააღმდეგება ქრისტიანულ დოგმებს.

ან რა ეკლესიის საქმეა, ვინ რას ჩაიცვამს, ან ვინ აღჭურვა ასეთი სულელური რეკომენდაციების გაცემით?!

ჯერ ერთი, რატომ უნდა გაუჩნდეთ ბიჭებს ქალის კაბაში გამოწყობის სურვილი, რა მასობრივი მოვლენა ეს არის, რომ ანგლიკანური რწმენის მეუფეებმა ამრიგად დამოძღვრონ თავიანთი ეკლესიის მრევლი?!

შეისწავლეს, გაარკვიეს, გააანალიზეს და საჭიროდ ჩათვალეს ასეთი „ინდულგენციის“ გამოცემა: მოდით, ჩვენო შვილებო, ამ გზით იარეთ, მოგეტევებათ! შეიძლება აზრადაც არ მოგსვლიათ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით პაკი-პუკი, მაგრამ, იქნებ, მაინც გსურთ გაგოგოება?

აბა დაფიქრდით!..

ამისკენ უბიძგებენ — გადედლებისკენ!

თავიანთი რეკომენდაციანებადართვით ანომალური გამონაკლისები გააოფიციალურეს, ნორმალურობის განზომილებაში გადაიყვანეს. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ფარული პროპაგანდა არასრულწლოვანთა აუდიტორიის დონეზე.

ანგლიკანელმა ოხროხინეებმა არც გოგონები დაივიწყეს, მათ ნება დართეს, ატარონ მძიმე ქამრები, მეხანძრეთა მუზარადები, სუპერგმირების კოსტიუმები. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ უფლება, „შეისწავლონ იმის აუცილებლობა, ვინ შეიძლება იყვნენ“ და ამის გამო არ უნდა იყვნენ გაკიცხვისა და დაცინვის ობიექტები.

არქიეპისკოპოსები აღნიშნავენ, რომ სულ უფრო მეტი ბავშვი ვერ ერკვევა გენდერულ სტერეოტიპებში, ეჭვდება — გოგოა თუ ბიჭი(!) და უფროსებს მოუწოდებენ, იარლიყებს ნუ ჩამოჰკიდებთო.

ეს მოწოდება ასე იშიფრება: თუ ოჯახში ბიჭი ეზრდებათ, მშობლებმა ეს რეალობა ჭეშმარიტებად არ უნდა აღიქვან, უნდა ჰკითხონ თავიანთ ნაშიერს, — ბიჭად ყოფნა სურს თუ გოგონად ყოფნას ამჯობინებს და პასუხიდან გამომდინარე გაზარდონ გოგონები — ბიჭებად, ბიჭები — გოგონებად.

ამ მითითების დამრღვევი მშობლები „ჰომოფობებად“ გამოცხადდებიან, რადგან პატარების სურვილების უარყოფა ბავშვის ფსიქიკის დაზიანებას გამოიწვევს, დეპრესიას და შეიძლება თვითმკვლელობის მიზეზიც კი გახდეს.

ბავშვების სიცოცხლეს სასწორზე დებენ ეს უნამუსოები, ასეთი ტრაგედიის შესაძლებლობით აშინებენ მშობლებს.

ასეთია მათი მორალი!

რომელ მორალზეა ლაპარაკი, ახლავე გეტყვით:

Danmarks Radio-ს ცნობით, ლუთერანული ეკლესიის მღვდელს, დანიის მოქალაქეს, 47 წლის **დენ პეშაკს** 10 წლით პატიმრობა მიესაჯა არასრულწლოვანთა გაუპატიურებისთვის.

ეს გარყვნილი კაცი 10 წლის განმავლობაში აცდუნებდა 7 ბიჭსა და ერთ გოგონას. მისი აღვირახსნილობის ყველაზე მცირეწლოვანი მსხვერპლი 12 წლისა იყო. დადგენილია, რომ სქესობრივ აქტებს იგი ვიდეოფირზე იღებდა.

სასამართლოს დადგენილებით, მას დაეკისრა 370 ათასი დანიური კრონის ჯარიმის გადახდა დაზარალებულთა სასარგებლოდ. სასჯელის მოხდის შემდეგ მას აკრძალული აქვს 18 წლამდე პირებთან მარტოდ დარჩენა.

ეს ყველაფერი ამ მოძალადის „მოღვაწეობის“ ერთი მხარეა. ამასთან ერთად, იგი „სკაიპში“ თავს ახალგაზრდა ქალად ასაღებდა, კონტაქტს ამყარებდა ყმაწვილებთან და აიძულებდა მასტურბაციას ვებკამერების წინაშე.

ესეც — ტექნიკური პროგრესის დანერგვის ნიმუში გარყვნილების სფეროში.

მაისში დააპატიმრეს კათოლიკე მონაზონი, რომელიც ხელს უწყობდა მღვდლებს ყრუ-მუნჯი ყმაწვილების, ინტერნატის მოსწავლეების გახრწნაში. ამ სპეციფიკური ნაკლის მქონე სხვა ბიჭებს არ ესმოდათ, რა ხდებოდა საშხაპეებსა და შენობის სარდაფში.



**Danmarks Radio-ს ცნობით, ლუთერანული ეკლესიის მღვდელს, დანიის მოქალაქეს, 47 წლის დენ პეშაკს 10 წლით პატიმრობა მიესაჯა არასრულწლოვანთა გაუპატიურებისთვის.ეს გარყვნილი კაცი 10 წლის განმავლობაში აცდუნებდა 7 ბიჭსა და ერთ გოგონას. მისი აღვირახსნილობის ყველაზე მცირეწლოვანი მსხვერპლი 12 წლისა იყო. დადგენილია, რომ სქესობრივ აქტებს იგი ვიდეოფირზე იღებდა**

მომზადდა THE TELEGRAPH-ის, BBC-ისა და WASHINGTON POST-ის მასალების მიხედვით

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორ შეიძლება მსოფლიოს №1 ტერორისტი ქვეყანა ვინმეს მეგობარი იყოს?! როგორ შეიძლება, პატრიოტის ნიღაბაფარებული ხელისუფლება ქართულ მიწა-წყალს ჰყიდდეს და უცხოელებს ასახლებდეს? როგორ შეიძლება, ხალხის გაღატაკებისა და შიმშილის ფონზე, ხელისუფლება მდიდრდებოდეს და ფუფუნებას არ იკლებდეს? როგორ შეიძლება ქართველები უცხოელთა ბორდელების მომსახურე სექსმუშაკებად აქციო და ეს ინვესტიციად ჩათვალო? როგორ შეიძლება არატრადიციული ორიენტაციის არსება მასწავლებლობდეს და მე-6, მე-7 კლასის მოსწავლეებს ტრენინგებს უტარებდეს?**

# ფსიქიატრიული კლინიკა, პალატა №41

## ქვეყანაში სოროსის არაოფიციალური მმართველობა

**რამდენიმე დღის წინათ დამიკავშირდა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთგული მკითხველი, რომელმაც ვინაობის გასაჯაროებისგან თავი შეიკავა და მითხრა: ვერ შევძელი სახელისუფლო პარტიისთვის ხმის მიცემა, მათ ბევრი „ცოდვა“ დაუგროვდათ, იმედი მოგვიკლეს — წლები გავიდა და ქვეყანაში უკეთესობისკენ არაფერი შეიცვალა. პოლიტიკას, რომელსაც ხელისუფლება ატარებს, ქართულ ოცნებასთან საერთო არაფერი აქვს და ყველაზე ამაზრზენი მოტივტივე ლიბერასტის, ლევან ბერძენიშვილის, იდეას ახორციელებს, — ჩვენ ხალხისგან ხმები გვინდა და არა მათი კეთილგანწყობაო. მკითხველმა გამანდო თავისი „საიდუმლოც“, რომელსაც წერილის ბოლოს გაგიმხელთ.**

ქართველი საზოგადოება დღეს იმ ღირებულებების გადასარჩენად იბრძვის, რომელთა მეშვეობითაც დღემდე შეინარჩუნა საქართველო. ბრძოლა კი იმიტომ გვიწევს, რომ დამონებული ქვეყნის ხელისუფლებას ეკრძალება, გაუნათლებლობას, სიცრუეს, გახრწნილებას შეეწინააღმდეგოს, ამ „ღირებულებების“ დასაცავად კი ანტიდისკრიმინაციული კანონი აამოქმედეს. ხელისუფლების სათავეშიც ანტიქართული იდეოლოგიით ტვინაფეთქებული, ფულსა და სავარძელს დახარბებული არსებები სხედან. ჩვენი პრეზიდენტი ვერასდროს დაემსგავსება ფილიპინების პრეზიდენტ **როდრიგო დუარტეს**, რომელმაც აშშ-ის პრეზიდენტ **ობამას** ხელის მხარზე მოთათუნების უფლება არ მისცა და მეძავის შვილი უწოდა. ჩვენი პრეზიდენტისთვის ეს მოთათუნება ბედნიერების მწვერვალი იქნებოდა. **მარგველაშვილს** ასეთი პატივი რომ რგებოდა აშშ-ის პრეზიდენტისგან, ჩოქბჯენშიც კი დადგებოდა... ჟურნალისტებიც უარყოფითად აფასებენ იმას, რაც ადრე ღირებულებად ითვლებოდა, ამიტომაც „ჩარეცხეს“ საღად მოაზროვნე პროფესიონალები და მათი ადგილი დაბალი კვალიფიკაციის ადამიანებს დააკავებინეს.

იმედგაცრუებული ახალგაზრდობა დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში არაფერი შეიცვლება და საქართველოდან გარბის. განათლების სამინისტრო, რომელიც უცხოურ განათლებას ლობირებს, თსუ-ს მე-2 კორპუსის ფასადზე რეკლამას უკეთებს ამერიკულ განათლებასა და დიპლომს. რა უნდა ვისწავლოთ ჩვენ 200-წლიანი ისტორიის ქვეყნისგან?! თვით ცნობილი ამერიკელი იურისტი და პუბლიცისტი, რეზერფორდის სახელობის ინსტიტუტის დამფუძნებელი და პრეზიდენტი **ჯონ უ. უაიტჰედი** ამბობს, რომ ამერიკა თავის მოქალაქეებზე სახიფათო იარაღისა და ტექნოლოგიების საიდუმლო ტესტირებას ახორციელებს და ქმნის იმ საფრთხეებს, რომლებსაც შემდეგ ებრძვის... ჩვენი ხელისუფლება, როგორც იქნა, მიხვდა, რომ განათლების მინისტრი დაცინვის ობიექტად არ უნდა იქცეს და **ალექსანდრე ჯეჯელავა** თანამდებობიდან გაათავისუფლა, მაგრამ მისი „საქმენი საგმირონი“ არსებობას განაგრძობს: გაეროს ბავშვთა ფონდის დირექტივების თანახმად, საბავშვო ბაღებში ბავშვმა თავი არ უნდა აღიქვას იმ სქესის წარმომადგენლად, რომლისაც არის ბიოლოგიურად. დიახ, ალექსანდრე ჯეჯელავა, გარეგნულად უწყინარი იუმორისტული ჟურნალის პერსონაჟი და შინაგანად სექსუმცირესობის იდეოლოგი, ამ დირექტივის განხორციელებას შეუდგა, მაგრამ ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა.

როგორ აუდიტორიაზეა გათვლილი „ლიბერასტების“ რიტორიკა? **იოზეფ გებელსი**, ფაშისტური იდეოლოგიის მამამთავარი გაიძახოდა: „მომეცით მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ნებისმიერ ერს ღორების კოლტად გადავაქცევ“. ამერიკა დღესაც ახორციელებს გებელსის პოლიტიკას, რომელსაც საქართველოს ხელისუფლებაც შეუერთდა თავისი ხალხის წინააღმდეგ. მსოფლიოს ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მსხვერპლია. საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ, პოლიტიკურმა ვითარებამ გამახსენა ფსიქიატრიული კლინიკა, სადაც **ავლიპი ზურაბაშვილისა** და **მირიან მესტიაშვილის** ხელმძღვანელობით პრაქტიკა გავიარე. ბატონი ავლიპი პაციენტებთან ფსიქოთერაპიის სეანსებს ატარებდა. ერთ-ერთ ცნობიერებადარღვეულ პაციენტს გულდასმით არწმუნებდა: „აბა, როგორ შეიძლება, შენი შვილი შენი დედა იყოს?“ ამავე ლოგიკით შეიძლება ჩავუტაროთ ფსიქოთერაპია ხელისუფლებას: **როგორ შეიძლება მსოფლიოს №1 ტერორისტი ქვეყანა ვინმეს მეგობარი იყოს?! როგორ შეიძლება, პატრიოტის ნიღაბაფარებული ხელისუფლება ქართულ მიწა-წყალს ჰყიდდეს და უცხოელებს ასახლებდეს? როგორ შეიძლება, ხალხის გაღატაკებისა და შიმშილის ფონზე, ხელისუფლება მდიდრდებოდეს და ფუფუნებას არ იკლებდეს? როგორ შეიძლება ქართველები უცხოელთა ბორდელების მომსახურე სექსმუშაკებად აქციო და ეს ინვესტიციად ჩათვალო? როგორ შეიძლება არატრადიციული ორიენტაციის არსება მასწავლებლობდეს და მე-6, მე-7 კლასის მოსწავლეებს ტრენინგებს უტარებდეს?** თუმცა ხელისუფლებას ფსიქოთერაპია აღარ უშველის, რადგან ფული და თანამდებობაა მათი ცხოვრების კრედო. წლების შემდეგ, ამჯერად უკვე **დავით ზურაბაშვილის** წერილის საფუძველზე, კვლავ მოვინახულე ფსიქიატრიული კლინიკა და პაციენტებს ტკბილეულით ბარბაროზა მივულოცე. ყველა პაციენტი თავის სტიქიაში იყო, ერთი ახალგაზრდა მამაკაცის (დიაგნოზი — დეპრესიული ფსიქოზი) გარდა, რომელიც იდგა და ელოდა... ეს პაციენტი დღესაც თვალწინ მიდგას და პარალელს ვავლებ ქართველ საზოგადოებასთან, რომელიც ასევე დგას და ელის...



ქართველ საზოგადოებას მივმართავ: ქარიზმული ლიდერი უკვე ჰყავდა საქართველოს და ვნახეთ, რაც მოუტანა ქვეყანას. თქვენი გულის ხმაა თქვენი ლიდერიც და თვალსაწიერიც. როცა ბახტრიონის აჯანყება მოხდა, საქართველოს მამულიშვილები ჰყავდა, ახლა კი უძღები შვილები ჰყავს. იმ მამულიშვილებს გული ქართულად უძგერდათ და ფულს არ ელოდნენ. **მაინცდამაინც 600 ათასამდე უნდა შემცირდეს საქართველოს მოსახლეობა და ქართველი სამუზეუმო ექსპონატად იქცეს? ღვთისმშობელმა რუსეთის მეზობლობით თავისი მადლიანი კალთა გადააფარა საქართველოს, რათა რწმენითა და ღირსებით გვევლო. ჩვენ კი ვდგავართ და ველით... ველით ქართული სულიერებისა და გენოფონდის დასამარებას.**

ქართველმა საზოგადოებამ პროტესტი „ქართული მარშის“ სახით გამოხატა, მაგრამ ქვეყანას, არალეგალი მიგრანტების შემოსევის გარდა, სხვა პრობლემა არ აქვს? ერთ-ერთი გაზეთი წერდა: „ქართული მარში“ მხოლოდ ლგბტ-ის პროპაგანდას უპირისპირდებაო. საზოგადოებას ჩემი თვალსაზრისი მინდა გავაცნო: „ქართული მარშის“ წარმომადგენელთა შორის არიან „ძალიან ქართველები“ და უბრალოდ ქართველები... ერთ-ერთ „ძალიან ქართველს“ ვკითხე: ეს მარში რუსეთის პოლიტიკური ინტერესების თანხვედრილი რომ იყოს, რას მოიმოქმედებდით-მეთქი, და — მე რუსეთის ინტერესს არ გავატარებო, — იყო პასუხი. რა თქმა უნდა, საქართველოს ინტერესი უნდა გავატაროთ, მაგრამ ვეკითხები მარშის ინიციატორებს: გაქვთ კი ბერკეტი დაუპირისპირდეთ სომხეთის (რომელსაც გვერდით რუსეთი უდგას), აზერბაიჯანისა და თურქეთის ინტერესებს, საქართველოს ტერიტორიის დანაწევრებას რომ ცდილობენ? ამ კითხვაზე პასუხი, რა თქმა უნდა, არ აქვთ, მაგრამ დასავლეთიდან შეშფოთება-აღშფოთების იმედი აქვთ. **რაც შეეხება პროტესტის ფორმას და სახელწოდებას, რატომ უნდა ავიღოთ მაგალითი დასავლეთის ქვეყნებიდან, როცა ყველაფერი, რაც არ მოგვწონს, დასავლეთიდან მოდის? რატომ ვებრძვით შედეგს და არა ყველა უბედურების სათავეს — დასავლურ ორიენტაციას?** იქნებ ქართველებმა მაგალითი საქართველოს ისტორიიდან ავიღოთ და „კარგად დავიწყებული ძველი“ გავიხსენოთ, მაგალითად: **„შეფიცულები“, „ფიცის კაცები“, „მამულიშვილთა კავშირი“.** წინა წერილში („საქართველო და მსოფლიო“ №29) ვისაუბრე მოთხოვნებზე (პირადობის მოწმობაში ეროვნების გრაფის აღდგენა, მიწის ნაციონალიზაცია და სხვ.), რომლებიც საზოგადოებამ უნდა დააყენოს, მაგრამ, **როგორც პოლიტიკის ექსპერტმა მითხრა, ამ მოთხოვნებს არავინ დააყენებს, რადგან ეს დასავლურ ორიენტაციასა და ბიძინა ივანიშვილთან დაპირისპირებას ნიშნავსო.** აქედან დასკვნა: ამ ადამიანებისთვის სამშობლო ბიძინა ივანიშვილია და არა საქართველო. „ქართული მარშის“ საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა **ბექა ვარდოსანიძემ** გაასაჯაროა დოკუმენტი, რომელშიც საუბარია, რომ სოროსის ფონდი დღესაც აკონტროლებს ჩვენს ხელისუფლებას და უფრთხის ეროვნული ძალების მოსვლას ხელისუფლებაში. ამ ფონდს გავლენა ჰქონდა **სააკაშვილის** ხელისუფლებაზე და ამ ხელისუფლებასაც აკონტროლებს. **ქვეყანაში სოროსის არაოფიციალური მმართველობაა და სოროსის ფონდთან შეუთანხმებლად ხელისუფლება ვერც ერთ საკითხს ვერ წყვეტს.** მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროექტების დაფინანსება ანტისახელმწიფოებრივია, ხელისუფლება ამ ფინანსებზე უარს არ ამბობს. ამასთანავე, **ხელისუფლება დაინტერესებულია, მუდმივად იყოს დაძაბულობა რუსეთსა და საქართველოს შორის, რადგან რუსეთისგან მტრის ხატის შექმნას ასევე დასავლეთი აფინანსებს და არ სურს ამ ფულის დაკარგვა.**

ხელისუფლებაში 30-ზე მეტი ოფიციალური მულტიმილიონერი ზის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხალხის ჯიბიდან ამოღებული ფულით ფინანსდება: „ქართული ოცნება“ — 2,08 მლნ ლარით; „ნაციონალური მოძრაობა“ — 1,2 მლნ-ით. ყველა პარტია, რომლებიც 3%-იან ბარიერს გადალახავს, 300 ათასით ფინანსდება ყოველწლიურად. ასე რომ, პოლიტიკოსებს სხვა საზრუნავი რა უნდა ჰქონდეთ, ბარიერის გადალახვის გარდა?! **თუ დიდ ვაჟა-ფშაველას საქართველო ყვავ-ყორნებთან მებრძოლ დაჭრილ არწივად ესახებოდა, დღეს ქართველი ხალხი უყურებს და უსმენს უზნეობას, რომელსაც ხელისუფლება სთავაზობს.** სსრკ-ში კი არსებობდა ზნეობა, მორალი და ერთმანეთს ამ ღირებულებებით ვაფასებდით, ამიტომ აღფრთოვანებით შევხვდით ახალგაზრდა სოციალისტების გამოსვლებს მოსკოვში. როგორც ჩანს, ჯერ ყველა ღირებულება არ დაგვიკარგავს. რამდენიმე ხნის წინათ ჩემმა ერთმა თანამოაზრემ მიმითითა ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილზე, რომელშიც ჟურნალისტი წერდა: **თუ სურს პუტინს, საქართველოს ისტორიაში კარგად დარჩეს, ტერიტორიები უნდა დაგვიბრუნოსო.** ვუდასტურებ პატივისცემას ამ გაზეთის ჟურნალისტებს, მაგრამ, სათქმელი უნდა ითქვას: აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს რუსეთის მფარველობის ქვეშ ურჩევნიათ ცხოვრება. **რატომ უნდა დააბრუნოს რუსეთმა ეს ტერიტორიები — ამერიკის ინტერესები გაატაროს, ნატოს ბაზების განთავსების უფლება მისცეს და მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ ლიბერასტ-პედერასტები აჯლიგინოს?** პუტინის რეიტინგი მის სამშობლოში 87%-ია, მან დაჩოქებული რუსეთი ფეხზე წამოაყენა და მის კაცობაზე საუბარს, საქართველოს დამჩოქებელ ხელისუფლებას მივუთითოთ კაცობისკენ. ჩემო ძვირფასებო, ნუ მოვჭრით იმ ტოტს, რომელსაც შეიძლება კიდევ ჩავეჭიდოთ, რათა ამ მყრალი ჭაობიდან თავი დავიხსნათ. ჩვენ უნდა გავაფორმოთ რუსეთთან სამხედრო-სტრატეგიული სამოკავშირეო ხელშეკრულება და შემდეგ უნდა ვისაუბროთ ტერიტორიულ მთლიანობაზე. დასასრულ, ლიბერასტებს, ჩემი იდეოლოგიით, ფაღარათის გამომწვევ რეცეპტს ვთავაზობ: **სსრკ ჩემი სამშობლო იყო, ხოლო საქართველო დედასამშობლოა!**

**P.S. წერილის დასაწყისში მკითხველის „საიდუმლო“ გახსენე, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: „საარჩევნო ბიულეტენზე ყველა პარტია გადავხაზე და მივაწერე: ქართული მიწა-წყლის გამყიდველებო, სწორება ჩოქბჯენში ამერიკელთა საზარდულთან!“**

**P.P.S. ოფიციალური ინფორმაციით, 2013-დან 2017 წლამდე საქართველოში ბინადრობის ნებართვა 85 604-მა უცხოელმა მიიღო, მათგან 26 111-მა — მუდმივი ბინადრობისა, ხოლო 59 493-მა — დროებითი ბინადრობის. საქართველოს მოქალაქეობა კი, ბოლო 5 წლის მონაცემებით, 23 011-მა ადამიანმა მიიღო. ჯამში, 108 615-მა პიროვნებამ მიიღო ბინადრობის ნებართვა და მოქალაქეობა.**

**იზა თამაზაშვილი**

**თამარიანების მიერ „სტიმულირებული“ სამართლის კვალი უფრო მაღალ ეშელონებში მიდის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თამარიანების დასახმარებლად უტყუარ მტკიცებულებათა განადგურებაში ჩვენ ვამხილეთ წალკის პოლიციის მაღალჩინოსნები, მაგრამ მათზე დაწყებული გამოძიება ქვემო ქართლის პროკურატურაში საეჭვოდ ჭიანურდება.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ღია წერილი

## საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ეკა ბესელიას

## საქართველოს პარლამეტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალბატონ სოფიო კილაძეს

**მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევთ, მოგახსენოთ შარშან ზაფხულში წალკაში მომხდარი სისხლიანი დრამის შესახებ, რომელიც თანდათან სცილდება რეალური განსჯის საზღვრებს და აბსურდის განზომილებაში ინაცვლებს. როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის, პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, წალკის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე აიკ მელტონიანის ოჯახზე მათივე თანასოფლელის, ადრე ნასამართლევი სამსონ თამარიანის, მისი შვილისა და ძმის თავდასხმას ემსხვერპლა აიკ მელტონიანის 23 წლის ძმისშვილი, ცნობილი სპორტსმენი — ანდრანიკ მელტონიანი; მძიმედ დაშავდა და ხეიბრად იქცა აიკ მელტონიანის არასრულწლოვანი ვაჟი — მერგელი, ბეწვზე გადაუჩა სიკვდილს აიკ მელტონიანის უმცროსი ვაჟი — ამბარცუმი; ასევე, დაიჭრა ერთ-ერთი თავდამსხმელი — სამველ თამარიანი. ამ ტრაგედიიდან 15 თვე გავიდა, შედეგი კი ასეთია:**





თავდასხმის სავარაუდო ორგანიზატორი, **სამველ თამარიანი,** ქვემო ქართლის პროკურატურამ დაზარალებულად ცნო. ის დღემდე თავისუფალია. მისმა ძმამ კი, **სამსონ თამარიანმა**, რომელმაც საკუთარი ძვირად ღირებული „მერსედესის“ მარკის ჯიპი დააჯახა არასრულწლოვან **მერგელ მელტონიანს** და სიცოცხლისთვის საშიში სხეულის დაზიანება მიაყენა (ეს ფაქტი დაადასტურა სასამართლომაც), ასევე თავისუფალია, ხოლო მის შვილს — **ანდრანიკ თამარიანს**, რომელმაც არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღით აიკ მელტონიანისა და მამის — **მორლენის** თვალწინ განსაკუთრებული სისასტიკით მოკლა **ანდრანიკ მელტონიანი**, იმის მაგივრად, რომ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსჯილი ყოფილიყო სსკ 109-ე მუხლით, გასამართლებული იქნა სსკ 108-ე მუხლით, მიესაჯა მინიმალური — რვაწლიანი პატიმრობა, რაც ქვემო ქართლის პროკურორ **ლევან გეგეჭკორისა** და ქალაქ რუსთავის მოსამართლე **ეკატერინე პართენიშვილის** „საოცარი გულმოწყალების“ შედეგია. **ყველაზე თავზარდამცემი ამ საეჭვო გარემოებებით ისედაც მდიდარ საქმეში არის ის, რომ მძიმედ ავადმყოფს, ასაკოვანს, ყოფილ დეპუტატს, სახელმწიფოს წინაშე გაწეული დამსახურებებისთვის ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი ორდენის მფლობელ აიკ მელტონიანს, რომელიც ოჯახის წევრებისა და საკუთარ სიცოცხლეს იცავდა, ასევე რვაწლიანი სასჯელი შეუფარდეს.** ჩვენ არაერთხელ გულდასმით შევეცადეთ, გაგვერკვია, რასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ჯერჯერობით ამაოდ. ერთადერთი, რაც ამ ეტაპზე ნათელია, არის ის, რომ, დიდი ალბათობით, საქმე გვაქვს ბრალდებისა და სასამართლოს ჯერ კიდევ ნაციონალებისდროიდან გადმოყოლილი თეთრის გაშავების უნარ-ჩვევასთან, პროფესიულ უვიცობასთან ან, სულაც, კორუფციულ გარიგებასთან. რადგან, ერთი მხრივ, გაოცებას იწვევს სახელმწიფო ბრალდების უცნაური სინაზე და შეუნიღბავი მფარველობა სამივე თამარიანის მიმართ, ამის საპირწონედ კი ზღვარგადასული, დაუსაბუთებელი მრისხანება, რომელიც ისედაც სრულიად განადგურებულ აიკ მელტონიანს დაატეხეს თავს...

**მას შემდეგ, რაც 2016 წლის 30 ივლისს თამარიანების თავდასხმამ შეიწირა ერთი უდანაშაულო ახალგაზრდის სიცოცხლე და მეორის ჯანმრთელობა, ჩვენ თავდაუზოგავად, თავგანწირვით ვეძებთ სამართალს, მაგრამ მის მაგივრად ვპოვეთ მხოლოდ შეუნიღბავი აგრესია, სრული გულგრილობა ქვემო ქართლის პროკურორ ლევან გეგეჭკორის მხრიდან.** ეს გულგრილობა ჩვენთვის გასაგებია, რადგან გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მისი მიკერძოებულება გულუხვად არის „სტიმულირებული“ თამარიანებისგან. თავად განსაჯეთ, იმის მაგივრად, რომ ბატონ გეგეჭკორს, არსებული უტყუარი მტკიცებულებებიდან, თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებებიდან, ექსპერტიზის დასკვნებიდან, საგამოძიებო ექსპერიმენტიდან, წარმოდგენილი აუდიო-ვიდეო მასალიდან, საქმეზე დართული ოფიციალური დოკუმენტაციიდან გამომდინარე, წარედგინა, ჩვენი ღრმა რწმენით, მკვლელისთვის 109-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 15 წლიდან უვადო პატიმრობამდე, წარუდგინეს 108-ე მუხლი, რომელიც რვაწლიან სასჯელს ითვალისწინებს და უახლოეს მომავალში, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბატონი ლევანი საპროცესო გარიგებით, ანდრანიკ თამარიანის ციხიდან გამოშვებას გეგმავს; სამსონ და სამველ თამარიანებს კი ხონჩით მიართვა თავისუფლება. **ამ სისხლის სამართლის დამნაშავეთა მიერ განადგურებული აიკ მელტონიანი გახლავთ ბრალდების მძევალი და მასზე პირველივე დღიდან ახდენენ ზეწოლას, რათა გაურიგდეს თამარიანებს, აღიაროს არჩადენილი დანაშაული, უღირსად მოიპოვოს გადმოგდებული თავისუფლება და მისცეს საშუალება პროკურატურას, შეასრულოს თამარიანების სურვილი და სამუდამოდ ჩამოწერონ საქმე, რომელშიც საკმარისზე მეტი სამართალდარღვევა და კანონგადაცდომაა.** რაც შეეხება რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე პართენიშვილს, ის აიკ მელტონიანის ბრალის დასამტკიცებლად იძულებული შეიქნა, წარმოუდგენელი მანევრები განეხორციელებინა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ **გაყალბებულია დანაშაულის დრო, გაყალბებულია თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტის დასკვნა, შეცვლილია ციფრობრივი მონაცემები. დაუჯერებლია, მაგრამ სასამართლო განაჩენში ოფიციალურად მოყვანილია არარსებული პიროვნება, არარსებული მოწმე.** პროკურორთან ტანდემში მოსამართლემ არ გაითვალისწინა არც ერთი თვითმხილველი მოწმის ჩვენება, რომლებმაც დაადასტურეს აიკ მელტონიანის უდანაშაულობა; მეტიც, **მოსამართლემ იცრუა და განაჩენში დაწერა, რომ აიკ მელტონიანის პროცესები რუსთავში იყო ღია და გამჭვირვალე. მაშინ, როდესაც, პროცესის ყველა მონაწილემ ვიცით, რომ ეკატერინე პართენიშვილმა უსაფუძვლოდ დახურა სასამართლო პროცესები საზოგადოებისთვის და თავისუფალი მასმედიისთვის.** რა არის ეს: უვიცობა, თავხედობა თუ თამარიანების მიერ „სტიმულირებული“ ვაი-სამართალი? ჩვენმა ოჯახმა რუსთავის სასამართლო გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. ჰოი, საოცრებავ! მეექვსე თვეა, პროცესი ვერ გაიხსნა: ზაფხულში მოსამართლეები იყვნენ შვებულებაში, ეს გასაგებია, მაგრამ პირველი პროცესი, რომელიც ჩანიშნული იყო სექტემბერში, გადაიდო, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ ვერ შეძლო პროცესზე თარჯიმნის მოყვანა. შემდეგი პროცესი ოქტომბერში იყო ჩანიშნული და გადაიდო იმ მიზეზით, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრომ ვერ მოიყვანა პატიმრები, — ასე აცხადებს სააპელაციო სასამართლო. 20 ნოემბრისთვის ჩანიშნული პროცესიც გადაიდო დეკემბრის ბოლოსთვის... როგორც ჩვენს ადვოკატს სააპელაციო სასამართლოდან აცნობეს, მოსამართლეები გასული არიან განაჩენის გამოსატანად. გვესმის, რაღაც მიზეზის გამო, პროცესების დაწყება ხელოვნურად ჭიანურდება. ვვარაუდობთ, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ქვემო ქართლის პროკურატურისა და პართენიშვილის განაწყენება, მაგრამ არც მათი გაფუჭებული საქმის გამოსწორება სურს. შესაბამისად, სააპელაციო ასე აყენებს საკითხს: ან გაასწორეთ თქვენივე გაფუჭებული საქმე, ან გააფორმეთ საპროცესო შეთანხმება. ვფიქრობთ, სწორედ ეს არის მიზეზი პროცესების დაუსაბუთებელი გადადებისა. ჩვენ მუდმივ საფრთხეში ვართ. გვჯერა, ამდენ უკანონობას, უსამართლობას, კრიმინალთა ღია მხარდაჭერას მარტოდენ პროკურორი ვერ გაწვდებოდა. სავარაუდოდ, **თამარიანების მიერ „სტიმულირებული“ სამართლის კვალი უფრო მაღალ ეშელონებში მიდის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თამარიანების დასახმარებლად უტყუარ მტკიცებულებათა განადგურებაში ჩვენ ვამხილეთ წალკის პოლიციის მაღალჩინოსნები, მაგრამ მათზე დაწყებული გამოძიება ქვემო ქართლის პროკურატურაში საეჭვოდ ჭიანურდება.** ასევე, საეჭვოდ ჭიანურდება ქვემო ქართლის პროკურატურაში ადვოკატ **თამარ სადრაძის** მიერ თამარიანების სასარგებლოდ მოწმეთა ჩვენებების გაყალბების თაობაზე გამოძიებაც. ჩამოთვლილ გარემოებათა ერთობლიობა გვაძლევს საფუძველს გონივრული ეჭვისა, რომ საქმე გვაქვს საკმაოდ გავლენიანი, ძლიერი ფიგურების მცდელობასთან, ნებისმიერ ფასად გადაარჩინონ დამნაშავეები. აღნიშნულის თაობაზე ოფიციალურად ვაცნობეთ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, ანტიკორუფციულ სააგენტოს, წინამდებარე წერილით გაცნობეთ თქვენც და გვჯერა მათი და თქვენი პროფესიონალიზმისა. ველოდებით შედეგს.

დიდ შეშფოთებას გამოვთქვამთ იმის თაობაზე, რომ წალკის პოლიციის მთავარი სამმართველოს ავრანლოს განყოფილების უფროსი **ედვარდ ხაჩატრიანი,** რომელიც 2012 წლიდან ახორციელებდა აიკ მელტონიანის დევნას, ემუქრებოდა მას დაჭერით იმ შემთხვევაში, თუ აიკი გააგრძელებდა „ქართული ოცნების“ მხარდაჭერას. ედვარდ ხაჩატრიანი, რომელმაც 2016 წლის 30 ივლისს დამალა სამსონ თამარიანის მიერ ჩადენილი დანაშაული, დღემდე რჩება დაკავებულ თანამდებობაზე.

**ყველაზე თავზარდამცემი ამ საეჭვო გარემოებებით ისედაც მდიდარ საქმეში არის ის, რომ მძიმედ ავადმყოფს, ასაკოვანს, ყოფილ დეპუტატს, სახელმწიფოს წინაშე გაწეული დამსახურებებისთვის ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი ორდენის მფლობელ აიკ მელტონიანს, რომელიც ოჯახის წევრებისა და საკუთარ სიცოცხლეს იცავდა, ასევე რვაწლიანი სასჯელი შეუფარდეს**

**გაყალბებულია დანაშაულის დრო, გაყალბებულია თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტის დასკვნა, შეცვლილია ციფრობრივი მონაცემები. დაუჯერებლია, მაგრამ სასამართლო განაჩენში ოფიციალურად მოყვანილია არარსებული პიროვნება, არარსებული მოწმე**

**პატივისცემით,**
**მარლენ მელტონიანი,**
**ინგა აივაზიანი**

**წყევლაკრულვიანი საკითხავი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართველობამ ამ ბოლოს ხანებში დააჯერა გული, რომ ამ ყოფით დგომა ცხოვრების მოედანზე შეუძლებელია, რადგანაც მოასწავებს დედამიწის ზურგიდამ აგვას, თუ წამალი რამ არ დაიდვა და თუ ისე არ მოაწყო საქმე, რომ ამ გაჭირვებიდამ თავი დაიხსნას“.**

# როდემდე უნდა იყოს ქართველი ხალხი «დედინაცვლის ხელში ჩავარდნილი ობოლივით»?

ილია გამუდმებით ფიქრობდა ხალხის დუხჭირ ცხოვრებაზე და ეძებდა თანამემამულეთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს. ამ საკითხზე ხშირად იბეჭდებოდა მისი პუბლიკაციები იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში. ამ პუბლიკაციებსაც, ისევე, როგორც ჩვენ მიერ ადრე შემოთავაზებულს, ბევრი რამ აქვს საერთო დღევანდელობასთან და კარგი გაკვეთილია ქვეყნის ბედზე მზრუნველი კაცისთვის, მაგრამ საკითხავია: არიან კი დღეს ასეთი კაცები ხელისუფლებაში?

„ქართველობამ ამ ბოლოს ხანებში დააჯერა გული, რომ ამ ყოფით დგომა ცხოვრების მოედანზე შეუძლებელია, რადგანაც მოასწავებს დედამიწის ზურგიდამ აგვას, თუ წამალი რამ არ დაიდვა და თუ ისე არ მოაწყო საქმე, რომ ამ გაჭირვებიდამ თავი დაიხსნას“ („ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი“, 1893 წ., 17 ივლისი). **წერდა ერის მამა 1893 წელს, 124 წლის წინათ, მაგრამ თითქოს ჩვენს სატკივარზე საუბრობს. ჩვენი ყოფაც „ცხოვრების მოედანზე“ შეუძლებელი გამხდარა, რადგან ვერც წამალი გვიპოვია და ვერც ისე მოგვიწყვია საქმე, რომ ბოლოსდაბოლოს ხალხმა ამოისუნთქოს, საკუთარ მამულში თავი ბედნიერად იგრძნოს და ლუკმაპურის საშოვნელად გაქცევაზე არ ეჭიროს თვალი;** ხოლო ლგბტზაცია, რომელსაც ასე გვტენიან „ლიბერალები“, მათი უცხოელი მარჩენლები და დამრიგებლები, „მოასწავებს დედამიწის ზურგიდამ აგვას“ ისეთი მცირე ერისას, როგორიც ჩვენ ვართ.

მაშ, როდემდე უნდა იყოს ქართველი ხალხი „დედინაცვლის ხელში ჩავარდნილი ობოლივით“?



„ვერაფერი სანუგეშო ამბავია, როცა კაცი საზოგადო საქმის მოედანზედ გამოდის მარტო იმისათვის, რომ სიტყვა და აზრი წინ გავიგდო და ვითამაშოო. ყოველი თამაში შექცევაა და საზოგადო საქმეს უპატიუროდ ხდის. საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა, ჯაფა უნდა, ბეჯითი და გულდადებითი ჯაფაცა. უამისოდ საზოგადო საქმე, რაც უნდა კარგი იყოს თვალად, შიგნით ფუღუროა, დღემოკლეა, სუსტია. **წარამარად ბარბაცი საზოგადო საქმეში იქნება უსაქმო კაცისთვის სასაცილოც იყოს, მაგრამ საქმიანისათვის საწყენოა. ამაზედ უფრო სავაგლახოა, როცა საზოგადო საქმეში „მე ესე მიჯობს“ აღვირაშვებული დაიარება და ის კი, „რაც საქმეს უჯობს“, თავჩაღუნული დადის, თითქო დედინაცვალის ხელში ჩავარდნილი ობოლიაო, ჩაგრული და ხმაამოუღებელიო.** ბოლოს ცხვირში ამოგვკრავს, რომ ესე წინდაუხედავად შევსვამთ ხოლმე საზოგადო მძიმე საქმეს ერთმანეთის მტრობისა და შურის საქანელაზედ და ისე უკადრისად წინდაუკან ვაქანებთ. ბოლოს ცხვირში ამოვიკრავთ-მეთქი, მაგრამ ვაი თუ გვიანღა იყოს“ *(„შინაური მიმოხილვა“, 1879 წ., აპრილი).*

„ერთის სიტყვით, ჩვენი შინაური საქმეები ჯერ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, უნდა ჩვენ თვითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოვზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში ჩვენის ხელით გამოვაცხოთ“ *(„შინაური მიმოხილვა“, 1879 წ., ივლისი-აგვისტო).*

„მამების და შვილების“ ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმაწვილ-კაცობა და იმ ბრმად აყოლილებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც გადმოიტანეს, მაგრამ ჩვენის ყმაწვილ-კაცობის სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მათგანმა თითო-ოროლამ გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნო, გამოვიდა და ცალკე გუნდად დადგა ცხოვრების მოედანზედ. მას აქეთ ჩვენშიაც ყმაწვილ-კაცობა ორ ბანაკად გაიყო: ერთში მოექცნენ ისინი, ვისაც რუსეთის უარმყოფელის მიმართულებიდამ ოთხ ზემოხსენებულ ფრაზებს გარდა არა რა გამოეტანათ რა, მეორეში — ახალის გუნდის მომხრენი. პირველებმა დაიხვიეს ხელზედ რუსეთის „მამა-შვილობა“, ენაზედ დაიკერეს ზემოთ მოყვანილი ოთხი ფრაზა და დღესაქამომდე აწიოწოს იძახიან და იოლად მიდიან. მეორეები კი დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებას და ნახეს, რომ **ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისი ძალ-ღონითა. ის „სხვა რამე“ იყო — ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება“** *(„შინაური მიმოხილვა“, 1881 წ., მაისი).*

„იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიჰმართა. მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრა მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“ და ბოლოს „ივერია“ სულ მაგ მიმართულების ბუკსა და ნაღარასა სცემდნენ. საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენის პოეზიისა სულ მაგას გვამხელდნენ, მაგას გვიგალობდნენ დღესაქამომდე. მართალია, ჩვენის „ვინაობის“ აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არ უქმნია რა, რადგანაც იმისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგა ქვეითობდნენ, მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ მაგ მიმართულებას მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად ფეხი მოაკიდებინეს. ისიც დიდი ამბავი იქნება, თუ ამ გუნდმა ამ საგანზედ მოახედა ჩვენი ალმაცერად მაყურებელი თვალი და რაც ძალ-ღონეა, სულ მაგ საქმეს ზედ მოახვია და შესჭიდა. რაც ვერ ჰქმნეს ამათ, იქმოდნენ სხვანი, ოღონდ ამ მიმართულებამ თავი დაიჭიროს ჩვენს ცხოვრებაში, ღრმად გაიკეთოს ძირი და იმოქმედოს, ვიდრე საჭიროება მოითხოვს“ *(„შინაური მიმოხილვა“, 1881 წ., მაისი).*

**«ჩვენი შინაური საქმეები ჯერ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, უნდა ჩვენ თვითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოვზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში ჩვენის ხელით გამოვაცხოთ»**

„ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი, დღესაც მარტო მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ეგ მიმართულება, რადგანაც დიდი ხნისაა, იმიტომ ძველია, და რადგანაც ძველია, იმიტომ უკადრისია და სათაკილო ლიბერალებისათვის. დეე ოთხფრაზიანმა ლიბერალებმა ეგრე იფიქრონ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისკენ უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ რადმე სხვად, — მაგ მიმართულების სისწორეზედ უნდა ავწონოთ. აი ჭეშმარიტის ლიბერალის საქმე რა არის ჩვენში“ *(„შინაური მიმოხილვა“, 1881 წ., მაისი).*

„ჩვენებური რეტროგრადი ის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენის დღევანდელის დღის მღაღადებელს ხმას არ გაუგონებს, ყურს მოუყრუებს და არ აჰყვება. გინდ „მამა“ დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი“, აქ სახელწოდება არაფერს შუაშია, ოღონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის“ *(„შინაური მიმოხილვა“, 1881 წ., მაისი).*

„სლავიანებმა, რომელთა ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ, სულ ამ საქმეს მოახმარეს თავისი დრო და მეცადინეობა. ამისათვის თავგანწირულ კაცებს დღესაც წმინდანებსავით ლოცულობენ და თაყვანსა-სცემენ. მით უკეთესი წარმომადგენელნი იმით ქადულობენ, იმით ლიბერალობენ, რომ მაგ საქმეს მისდგომიან და მარტო მაგით სულდგმულობენ. დღესაც მაგ საქმეს ზედ აკვდებიან და, რასაკვირველია, არც მოეშვებიან, ვიდრე თავისას არ გაიტანენ. **თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად — თავისი წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდან, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯი გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურკაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებული სახელოვანნი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედა-ენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზე დადგა, ფრთა შეისხა.** ამისი მაგალითი, სხვათა შორის, ჩეხელები არიან. აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმლით აღჭურვილი, აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს. ამისთვის სამყოფი არ არის კაცმა დაისწავლოს პარიზის ყავახანაში მოარული ფრაზები და იმით თავი მოიტანოს. **ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს.** უამისოდ, იმ მოედანზედ, რომელიც ჩვენ ზემოთ ვიგულისხმეთ, კაცი ერთ ბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წარსდგამს, და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ დააჩნევს. ჩვენის მხრით, ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთეს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ. „ჯერ მაცოცხლეო, მერე მაფიქრებინე, როგორ გავმდიდრდეო“, — ამბობს ერთი სლავიანი პატრიოტი. ნამდვილად გულშემატკივარმა საქართველოს შვილმა ეს სიტყვები უნდა დაიწეროს გულისფიცარზედ და სხვაზედ არაფერზედ არ წაიტყუოს ჭკუა და ხელი“ *(„შინაური მიმოხილვა“, 1881 წ., მაისი).*

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

**«ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისი ძალ-ღონითა. ის «სხვა რამე» იყო — ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება»**

მიგვაცილებდა სამიათასკაციანი ჯგუფი. ამ მიზეზით ხშირად ერთურთისაგან შორი-შორს მივდიოდით. ბოლოს კნეინები და მათი ბავშვები მხედველობის არედან სავსებით დამეკარგნენ. ნაღველი რომ ცოტათი მაინც გამეფანტა, მინდვრებს ყურადღებით თვალიერება დავუწყე. შემენანა საუცხოო ყანები, რომლებსაც მთიელები ასე უმოწყალოდ თელავდნენ თავიანთი ცხენებით. პირწავარდნილი ბარბაროსები! ამით სურდათ, საბოლოოდ დაეგვირგვინებინათ ასე წარმატებით წამოწყებული საზიზღარი გაჩანაგება-გავერანება.

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის...»

ლეკიანობა XVIII საუკუნეში აშკარა განადგურებით დაემუქრა კახეთის მოსახლეობას. ლეკები უდიდეს საფრთხეს უქმნიდნენ გარეშე მტრების მიერ ისედაც აწიოკებულ ქვეყანას. შამილის მარბიელი რაზმის მსხვერპლი აღმოჩნდა თავადის — დავით ჭავჭავაძის ოჯახი, რომელმაც დაღესტანში ტყვეობის უმძიმესი თვეები გამოიარა.

განვაგრძობთ ანა დრანსეს მიერ მოთხრობილ ამბავს წიგნიდან „შამილის ტყვე ქალები“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-2 (139-140)




## წინანდლის გაძარცვა. გამგზავრება

დიდი სურვილი მქონდა, დამენახა საყვარელი მეგობარი ქალები და ჩემი საცოდავი მოსწავლეები. ჩვენი ეზო, რომლის მოთვალიერებაც დავიწყე, საშინელი სანახავი გახლდათ: ცხენები, ხარები, კამეჩები, აყირავებული საზიდრები, აქვითინებული, ტანსაცმელშემოფლეთილი და გაწეწილთმიანი ქალები... ძალდატანების კვალი ყველაფერს ემჩნეოდა! ჩემი პატარა მარია მეძახდა, მთელი ძალით გაჰყვიროდა; მინდოდა, მიმერბინა მასთან, მაგრამ ნუკერებმა დამაკავეს... ვიგრძენი საკუთარი უმწეობა და, რადგან ამ უბადრუკ არსებათა უნებართვოდ ვერ ვბედავდი ფეხის გადადგმას, ვტიროდი და ვეხვეწებოდი, ჩემს საყვარელ პაწაწასთან მისვლის ნება დაერთოთ, მაგრამ არც ცრემლებმა და არც მუდარამ არ გაჭრა! თუმცაღა მალე, რაღაც ბედზე, ცხენზე მჯდარი მარია ჩემს გვერდით აღმოჩნდა; გადავკოცნე და ის ის იყო, უნდა გამემხნევებინა, რომ ჩემგან შორს წაიყვანეს.

აქეთ-იქით ვიმზირებოდი, იქნებ თვალი წავჰკრა კეთილ კნეინა ჭავჭავაძეს-მეთქი, და ბოლოს, როგორც იქნა, დავინახე... დავინახე, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა ყოფაში! მიწაზე გაშხლართულიყო. საბრალო ლიდია მკერდზე მიკვროდა! მშვენიერი თმები გასჩეჩვოდა და, თუ ამოქარგულ კოფთას არ ჩავთვლით, რაც მცირედ უფარავდა სხეულს, მთელს მის ტანსაცმელს შეადგენდა შიდა საცვლები და ქვედაკაბა. მის პატარა გოგონას, ვისაც ძუძუთი კვებავდა, ეცვა მხოლოდ პერანგი: არც სახვევებში იყო გამოკრული და არც რაიმე საბურველი ეფარა, რაც ესოდენ აუცილებელია ჩვილის ნაზი სხეულისათვის. მძარცველებს ცხენები კნეინას ირგვლივ ისე მეტისმეტად ახლოს დაეყენებინათ, რომ ანგარიშმიუცემლად მივიჭერი მასთან, რათა გამეფრთხილებინა, მაგრამ მან თავი წამოწია და იმგვარად დამიქნია, თითქოს მეუბნებოდა, რომ მისთვის ახლა ყველაფერი სულ ერთი იყო, რომ ამ ქვეყანას მაინც აღარ ეკუთვნოდა.

— ბავშვები! ბავშვები! — წამოილაპარაკა მან.

— მარია აი, იქ არის, სალომე კი უფრო იქით, — ვუთხარი მე.

უცებ ვიღაცამ ხელზე ძლიერ მომქაჩა. კნეინას მიტოვება არ მეწადა, მაგრამ ტყვე ქალს ხომ არ შემეძლო, ჩემს ნებაზე ვყოფილიყავი და მაშინვე საკუთარ ადგილს მივაშურე. ამის შემდეგ ჩემ თვალწინ დატრიალდა სისხლიანი ტრაგედია, რამაც მთელი სხეული ამითრთოლა: კნეინას ახლოს გაიმართა საშინელი შეტაკება. თუმცა ქალბატონი ოდნავადაც არ შერხეულა, რათა მოსალოდნელი საფრთხე აეცილებინა. შეტაკება კი მისი მითვისების მიზნით მოხდა. მტაცებელთაგან ბევრი ხვდებოდა, რომ კნეინა ძვირფასი ნადავლი უნდა ყოფილიყო და მის გამო ერთი მეორეს გააფთრებით უტევდა. ბოლოს და ბოლოს ჩხუბი დასრულდა და კნეინა, ჩემს მსგავსად, ერთ-ერთ მეპატრონეს მიეკუთვნა, რომელიც დაიხარა და ჰკითხა:

— შენ ხარ კნეინა ჭავჭავაძე?

— დიახ, — უპასუხა ქალბატონმა და შემდგომ ამისა, თვალებით ძებნა დაუწყო თავის შვილს. ვიღაცამ, ქართულად მოლაპარაკემ, ბავშვზე მიუთითა. მაშინ კნეინამ ყურებიდან მდიდრული საყურეები მოიძრო, გადასცა ისინი ამ კაცს და შემდეგ კვლავ უგონო მდგომარეობაში ჩავარდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ამაოდ ვცდილობდი, თვალი მომეკრა კნეინა ორბელიანისათვის; მისი მულიშვილი კი, **თავადის ასული ნინო**, ჩემს შორიახლო საუკეთესო ცხენზე იჯდა. მეტისმეტად გაკვირვებული დავრჩი, მის მომხიბვლელ ქართულ ჩაცმულობას რომ დავაკვირდი — იგი სრულ წესრიგში იყო და სულაც არ დაჭმუჭნულიყო. მას იცავდა და უფრთხილდებოდა ახალგაზრდა, რომლის სახის გამომეტყველებაც იმდენად სასტიკი არ იყო, როგორც სხვა მტაცებლებისა. სამაგიეროდ სრულიად სხვაგვარად გამოიყურებოდა კნეინების ღრმად მოხუცი დეიდა. მას ტანსაცმელი შემოსძარცვოდა, ჭაღარა თმები კეთილშობილ სახეზე ჩამოშლოდა, ხოლო ზეცისაკენ ზეაპყრობილი ხელებით თითქოს შესთხოვდა უფალს, დაესაჯა უღირსი არსებანი, რომლებიც არც მის ჭაღარას სცემდნენ პატივს და არც ებრალებოდათ. საცოდავი ასი წლის მოხუცი ქალიც თითქმის ასევე იყო გაშიშვლებული; მთიელები მას მეტისმეტად მკაცრად მოეპყრნენ — ხეზე მიაკრეს. იგი მხოლოდ მეორე დღეს გაათავისუფლეს. რაც შეეხება **კნეინა თინიას**, ჩვენი წასვლის შემდეგ გაიქცა ტყეში, სადაც გლეხები იმალებოდნენ. აქ მას გადააცვეს მამაკაცის ტანსაცმელი და თელავს წაიყვანეს. ეს ორი უკანასკნელი მსხვერპლი ლეკებმა მიატოვეს: მათი ფიქრით, ისინი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ.

**ამასობაში დაიწყო სასახლის ძარცვა: სკივრები, ჭურჭლეული, ვერცხლი, მაქმანები, ბრილიანტები, ძვირფასი შალეული — ყველაფერი ხარბი მტაცებლების ხელში გადადიოდა, თუმცა მათ არც ფასი იცოდნენ მათი და არც იმ ნივთთა იშვიათობისა გაეგებოდათ რაიმე, რომლებსაც პირველად შეეხნენ თავიანთ ცხოვრებაში. მაშინ, როდესაც ერთი ამსხვრევდა ვერცხლის სინებს, რათა ტომარაში მოხერხებულად მოეთავსებინა, მეორე მიწიდან იღებდა ძველ ხელთათმანს ანდა იტაცებდა ძველ ჩვეულებრივ შანდალს, რა თქმა უნდა, იმ ფიქრით, რომ მანაც ძვირფასი ნადავლი იგდო ხელთ. თითოეული ცდილობდა, მოემარაგებინა შაქარი, ყავა, ჩაი. ვიღაც ქილაში მდგარ ფერუმარილს გემოს უსინჯავდა, ვიღაცა კი ყლაპავდა აბუსალათინის ზეთს, ორმელსაც ჩვენი სამზარეულოს სურსათ-სანოვაგის ნაწილად მიიჩნევდა. აღმოჩნდა ისეთიც, ვინც ცდილობდა, ჩემთვის ცარცის ნატეხი შეეჭმევინებინა, რათა გაეგო, გემრიელია თუ არა? მთელი ეს სანახაობა გულისამრევი და საშინელი იყო. უხამსობამ აქ მთელი თავისი სახე გამოაჩინა.**

ძარცვამ საათზე მეტხანს გასტანა. ბოლოს გამოგვიყვანეს ეზოდან და გზას გაგვიყენეს. მე ფეხით მივდიოდი; ნუკერები კი ამხედრებულნი მგზავრობდნენ. გზის სივიწროვის გამო ერთი წინ მიდიოდა, მეორე უკან მომდევდა. მალე ჩალმიანი მთიელი შემოგვიერთდა. თავზე წასაკრავად ჩვარი მესროლა, რომლითაც სამზარეულოში ჭურჭელს წმენდდნენ და ცხენზე ერთ-ერთი ნუკერის უკან კაცივით შემსვა. სხვა ტყვე ქალებიც ზუსტად ამგვარად მოემგზავრებოდნენ.

## ალაზანი

გზამ მდინარესთან მიგვიყვანა. მდინარის პირას უკვე იდგა თავადის ეკიპაჟები. მათი შორს წაყვანა რომ შეუძლებლად ცნეს, ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს.

ფონზე ცხენებით გავედით. **მხოლოდ ერთადერთი კნეინა ჭავჭავაძე მოდიოდა ფეხით. მას მკლავზე გადაწვენილი პატარა ლიდია მოჰყავდა, მაგრამ მდინარის შუაგულს რომ მიაღწია, ნაკადს ველარ გაუძლო და ბავშვიანად წყალში ჩავარდა. ლეკებმა მაშინვე ნაპირზე ამოიყვანეს და უკვე სავსებით არაქათგამოლეული ცხენზე შესვეს. აქედან დაიწყო კნეინას ახალი წამებანი. თავისი მომტაცებლის უკან მჯდარს ცალი ხელით ლიდია უნდა მიეკრა მკერდზე, ხოლო მეორე ხელი მაგრად ჩაეჭიდა მხედრისათვის, რათა არ გადმოვარდნილიყო. საცოდავი პატარა, რომელსაც მხოლოდ პერანგი ფარავდა და ცუდად იჭერდა დაღლილი ხელი, ძლიერ ეხეთქებოდა უნაგირს. უბედური, თვალცრემლიანი დედა ამაოდ ევედრებოდა მასთან მიმავალ მთიელს — მიეცა რაიმე ქსოვილი, რითაც ბავშვს ტანზე მიიკრავდა... მაგრამ იგი ქალის საწყალობელ ვედრებას და საშინელ წვალებას აინუნშიაც არ აგდებდა!**

კნეინა ორბელიანი საკუთარ თავს უწყრებოდა, რატომ თვითონ არ დაიტოვა ლიდია; თუმცა ეს იმიტომაც მოხდა, რომ მისი და თვითონვე აწოვებდა ძუძუს გოგონას, და, რადგანაც ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, თითოეულ ჩვენგანს ბედი სად გადაისვრიდა, ასეთ ვითარებაში დედაშვილის განშორება და განცალკევება არაგონივრული იქნებოდა. **მართალია, ალექსანდრე ჭავჭავაძე ძიძას ხელიდან გამოსტაცეს, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩააბარეს საიმედო ხელს — კნეინას მოახლე ლუციას, რომელიც, როდესაც საშუალება არ ჰქონდა, რაიმე საკვები ეშოვა, ბავშვს თოვლს აჭმევდა** (ტყვეებს ხშირად უხდებოდათ ალპურ ზონაში სიარული, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდა მწვანე მოლი და ფითქინა თოვლის საფარი.) და ასე გადაარჩინა იგი სიკვდილს. სამაგიეროდ ამ შემთხვევაში **გიორგი ორბელიანი** უფრო იღბლიანი გამოდგა. მისმა ჯანსაღმა სხეულმა და მკვრივმა აგებულებამ მთიელთა ყურადღება მიიქცია: იგი დაუტოვეს თავის ძიძას, რომელსაც ტომარაც მისცეს და მანაც საიმედოდ მიიკრა ბავშვი სხეულზე.

ჩემი მოსწავლეები ზოგჯერ ჩემთან საკმაოდ ახლოს მოდიოდნენ. მაშინ შესაძლებლობა მეძლეოდა, მათთან მელაპარაკა და ყმაწვილები დამემშვიდებინა. **სალომე**, რომლის ქცევაშიც უკვე კეთილშობილური სიამაყე იგრძნობოდა, ხმამაღლა წყრებოდა მასთან მჯდომ კაცზე და თავისი პატარა მჯიღით ემუქრებოდა. იმით შეშფოთებული, რომ ცუდად არ მოქცეოდნენ, ყოველნაირად ვცდილობდი, დამეწყნარებინა. რაც შეეხება **მარიას**, თავისი სილამაზითა და თავაზიანობით მოიგო. პირველად ბევრს ტიროდა, მაგრამ შემდეგ ვიღაცამ ვაშლი მიაწოდა, რასაც ჭამა დაუწყო და ჩაჩუმდა. მალე გლეხის პატარა ბიჭუნა და თავადის ნებიერი — ელო მიუახლოვდა მარიას. ამის შემდეგ უდარდელმა ბავშვმა ცელქობა და სიცილი დაიწყო.

**ნაჭრებად და ნაფლეთებად ქცეული ჩვენი ტანსაცმელი, შლაპები და სხვა ნივთები ამშვენებდნენ ცხენებსა და მთიელთა თავებს. ერთ მათგანს ტრიუმფით მიჰქონდა ჩემი ქოლგა: მთიელებსაც ისევე, როგორც არაბებს, ქოლგა კეთილშობილების ნიშანი ჰგონიათ.**

გრძელი გზის გავლის შემდეგ ჩვენი გამტაცებლები დასასვენებლად შეჩერდნენ მოზრდილ მდელოზე. საქმის კეთილად დაგვირგვინების ნიშნად რამდენიმეჯერ კიდეც გაისროლეს. ამ სიგნალზე შემოკრბა მრავალი ჩეჩენი და ლეკი, რომლებიც წინანდლის ძარცვის მოსამთავრებლად იყვნენ გაგზავნილი.

მომიახლოვდა ერთ-ერთი მთიელი, მაჩვენა თავადის სასახლიდან მოტაცებული ფრანგული წიგნი სათაურით „ქრისტიანობის სული“. იგი უმეცრის ხელს დაემახინჯებინა; ძლიერ მომინდა, მქონოდა მშობლიურ ენაზე დაწერილი წიგნი, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ სავსებით შესაძლებელი იყო, სხვა ველარც კი მეხილა ველარასოდეს! მთიელმა მკითხა, თუ რა იყო ეს? რუსული ენა არ ვიცოდი და ერთი სიტყვით ვუპასუხე — კარგია. ამ დრო იწყეს წასასვლელად მზადება. მთიელმა აიღო თავისი წიგნი და გამეცალა.

**თამარი, თავად ჭავჭავაძის სამი წლის გოგონა**, ხმამაღლა ტიროდა, რადგან მთიელებს ეწადათ, იგი ძიძისათვის წაერთმიათ. მისმა ჩხავილმა თავი მოაბეზრა მტაცებლებს. ამის გამო ბავშვი ტომარაში მოათავსეს. როცა პატარა მთიელთა საშიშარ სახეებს ველარ ხედავდა, ტირილი შეწყვიტა და ჩაიძინა.

**მიგვაცილებდა სამიათასკაციანი ჯგუფი. ამ მიზეზით ხშირად ერთურთისაგან შორი-შორს მივდიოდით. ბოლოს კნეინები და მათი ბავშვები მხედველობის არედან სავსებით დამეკარგნენ. ნაღველი რომ ცოტათი მაინც გამეფანტა, მინდვრებს ყურადღებით თვალიერება დავუწყე. შემენანა საუცხოო ყანები, რომლებსაც მთიელები ასე უმოწყალოდ თელავდნენ თავიანთი ცხენებით. პირწავარდნილი ბარბაროსები! ამით სურდათ, საბოლოოდ დაეგვირგვინებინათ ასე წარმატებით წამოწყებული საზიზღარი გაჩანაგება-გავერანება.**

როგორც იქნა, ალაზანს მივაღწიეთ. მრისხანე მზერა შემოგვაგება ამ მდინარემ. იგი ნაწვიმარზე ღვარებისაგან სულ მთლად გადარეულიყო და ნაპირზე გადმოსულიყო. ნუთუ, — გავიფიქრე, — მეკობრეთა განუსჯელობა იქამდე მივა, რომ ისინი მართლა გაბედავენ გახელებულ მდინარეზე გადასვლას? მათ ეს მართლაც გაბედეს და, უნდა ითქვას, ისე მარჯვედ და მამაცურად განახორციელეს მდინარის გადალახვა, გაოცებული დავრჩი. მანამდე ამის მსგავსიც კი არაფერი მენახა. ბავშვები რომ არ დასველებულიყვნენ, ცხენების ქედზე დასვეს და ხელებით აგვიხსნეს, ამ მდგომარეობაში ისინი რაც შეიძლება მაგრად გვჭეროდა. შემდგომ ამისა, უცებ შეაგდეს ცხენები წყალში; რაც არ უნდა მაღლა აეწიათ თავები ცხენებს, წყალი მაინც ზედ ყურებთან ადგებოდათ. თუმცა, უნდა გენახათ, რა საშინელი დაძაბულობით ცდილობდნენ მტრულად დაპირისპირებული სტიქიის დაძლევას! მდინარის შუაწელს რომ მივატანეთ, მარიამ დაიყვირა: „მადამ, კაბა გეკარგებათ!“ სამწუხაროდ, ეს ასეც მოხდა და მდინარის გადალახვის შემდეგ ჩემს ტანსაცმელს მხოლოდ პერანგი და კორსეტი შეადგენდა. სიცივემ ამაძაგძაგა, მაგრამ ერთ-ერთ მთიელს შევეცოდე და ნაბადი მომახურა.

ალაზანგაღმა გასულები რამდენსამე წუთს შევდექით. ჩემმა გამყოლმა ჯიბიდან სიმინდის ფქვილი ამოიხვეტა და ამ ღარიბულ საჭმელზე დამიწვია. მომაწოდა მოხარშული კამეჩის ხორცის ნაჭერი, რომელიც სიმაგრით მხოლოდ ქვას თუ ჩამოუვარდებოდა. გახევებული ნაჭერი უკანვე დავუბრუნე და წყალი ვსთხოვე. ამ დროს ჩალმიანი მთიელი მომიახლოვდა, თითიდან წამგლიჯა მის მიერვე დატოვებული უკანასკნელი ბეჭედი. მეორე ბეჭედი და სხვა ძვირფასეულობანი მან ჯერ კიდევ სასახლის ეზოში ამართვა. მერე ნუკერებს რაღაც უბრძანა და გაგვშორდა. შემდგომ ამისა, ხარ-კამეჩებიანი ჩემი გამცილებელი სხვა გზით წავიდა, თუმცაღა ეს გზა ძალიან არ შორდებოდა იმას, რომლითაც მოდიოდნენ ჩემი ძვირფასი თანამგზავრი ქალები.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# უკრაინის საუკეთესო მასწავლებელი ევროპაში მომვლელად სამუშაოდ გაემგზავრა



**ვიოლეტა მაკედონმა, რომელიც უკრაინაში 2016 წლის საუკეთესო მასწავლებლად აღიარეს, მიატოვა სკოლა და ევროპაში საშოვარზე გაემგზავრა. შვილის სანახავად ორი დღით სამშობლოში დაბრუნებულმა ინტერვიუ მისცა უკრაინის მედიას.**

„აქ (უკრაინაში) ცხოვრობენ ჩემი მეგობრები, კოლეგები, მოსწავლეები, აქ დავოსტატდი ჩემს პროფესიაში. მადლობელი ვარ მათი, რადგან დამეხმარნენ პროფესიული მწვერვალის დაპყრობაში“, — ციტირებს მას გამოცემა РБК-Украина.

ინგლისური ენის მასწავლებელმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ლონდონში მომვლელ ქალად მუშაობს და მისი ყოველდღიური ანაზღაურება უკრაინაში პედაგოგის ერთი თვის ხელფასს უდრის. დამსახურებული მასწავლებელი ხანდაზმულ მამაკაცს უვლის — ასეირნებს, დაჰყავს პარკებსა და მუზეუმებში.

ვიოლეტა მაკედონი აღიარებს, რომ, კარგი ხელფასის მიუხედავად, თავს ძალიან არაკომფორტულად გრძნობს, დათრგუნვილია, ენატრება შვილი და სახლი, რომელიც დატოვა.



უკრაინა „ჩემოდანურმა განწყობილებამ“ მოიცვა: ქვეყნიდან „დროზე გასწრების“ განზრახვამ მოსწავლეთა შორისაც მოიკიდა ფეხი, რომ არაფერი ვთქვათ უფროსებზე, რომლებიც გადაულახავ სოციალურ წინააღმდეგობებს ვერ ერევიან.

ანალიტიკოსები ასკვნიან, შრომისუნარიანი მოსახლეობის უკრაინიდან გადინებას კატასტროფული შედეგები მოჰყვება.

უკრაინელი პოლიტოლოგი **ანდრეი ოკარა**, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს, ამბობს, რომ „ეპიდემია, რომელიც ამჟამად უკრაინაში მძვინვარებს (იგულისხმება „ჩემოდანური განწყობილება“), უკრაინას, როგორც სახელმწიფოს, გაანადგურებს. იგი მიიჩნევს, რომ სწორედ ასეთი განწყობაა პრობლემის თავიდათავი და არა მაინცდამაინც მოუგვარებელი ეკონომიკა, უმუშევრობა ან რუსეთ-უკრაინის ომი. განსაკუთრებით შეწუხებულია იმით, რომ მისი ნაცნობ-მეგობრების შვილები სკოლის დამთავრების შემდეგ უკრაინის დატოვებას აპირებენ: ზოგიერთი — სამუდამოდ, ზოგიც — სასწავლებლად. **„თუ გსურს სამშობლოში დარჩენა, ხარ „გოიმი“, სულელი, მესამე ხარისხის ადამიანი. ასეთი განწყობაა გავრცელებული დამამთავრებელი კლასების მოსწავლეების მშობელთა შორის“**, — აღნიშნავს იგი.

იმატა იმ ქვეყნების ჩამონათვალმა, რომლებისკენაც ისწრაფვიან უკრაინელები. თუ უწინ ეს იყო პოლონეთი, რუსეთი, გერმანია, აშშ, კანადა, უკვე დაემატა დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, სლოვაკეთი, ჩეხეთი, საბერძნეთი, შვედეთი, ბელარუსი და ჩინეთი.

**„შრომისუნარიანი ადამიანების გადინებას, რომელმაც შეიძლება მოკლას უკრაინა, მასობრივი ფსიქოზის ფორმატი აქვს. სახელმწიფო უუნაროა და არც ცდილობს, მართოს მომავალი. გამორიცხული არ არის, რომ ეს ნგრევა უკრაინის ისტორიაში უკანასკნელი იქნება“**, — ასკვნის ანდრეი ოკარა.

თემა, რომელსაც ოკარა განიხილავს, არახალია: ერთი წლის წინათ სოციოლოგიური კვლევების ჯგუფმა „რეიტინგმა“ ჩაატარა გამოკითხვა და გაარკვია, რომ უკრაინელების, სუ ცოტა, 30 პროცენტს სურს უცხოეთში მუდმივად დასახლება; უცხოეთში, სადაც მათ დიდი სიყვარულით არ ხვდებიან.

პოლონეთში, სადაც უკრაინიდან წასული მოქალაქეების უმეტესობაა დასაქმებული, რამდენიმე უკრაინელს თავს დაესხნენ მთვრალი ნაციონალისტები. ასეთივე თავდასხმა მოხდა ქალაქ ზაკოპანეში, სადაც უკრაინელებს ძვალი და რბილი გაუერთიანეს იმის გამო, რომ მშობლიურ ენაზე საუბრობდნენ.

წლეულს, აგვისტოში, პოლონეთის მედიაში ფართოდ განიხილავდნენ უკრაინელ მუშებზე თავდასხმის კიდევ ერთ შემთხვევას. აგრესიულად განწყობილმა პოლონელებმა ახალგაზრდა კაცი მხოლოდ იმიტომ სცემეს, რომ იგი უკრაინელი იყო. კიდევ ერთი სკანდალი მოხდა სექტემბერში: ქალაქ ბარლინეკის ერთ-ერთი სასურსათო მაღაზიის მეპატრონის განკარგულებით, უკრაინული წარმოშობის ყველა მყიდველს სალაროდან გამოსვლისას ჩხრეკდნენ. პატრონმა თავისი ქმედება გახშირებული ქურდობის აღსაკვეთად განხორციელებული აუცილებლობით ახსნა.



# მექსიკელებმა გამოიგონეს ზარბაზანი, რომელიც აშშ-ისკენ ისვრის... მარიხუანას

**სპეცოპერაციის ჩატარების შედეგად, მექსიკის სონორას შტატში კონფისკებულია თვითნაკეთი ზარბაზანი, რომელიც მარიხუანით დატენილ ყუმბარებს ისვრის, — წერს lenta.ru.**

ამ „საშუალებას“ იყენებდნენ ადგილობრივი ნარკოდილერები ამერიკელი „კოლეგებისთვის“ ნარკოტიკების მისაწოდებლად. იუწყებიან, რომ აღნიშნული მოწყობილობის სიგრძე 3,5 მეტრია, „კალიბრი“ — 30 სანტიმეტრამდე, აღჭურვილია კომპრესორით, დამონტაჟებული იყო ავტოფურგონის სახურავზე.

სპეცსამსახურმა რეიდი ჩაატარა ქალაქ აგუა-პრიეტაში, რომელიც არიზონაში, ქალაქ დუგლასის საზღვართან ახლოს მდებარეობს.

ამას გარდა, მექსიკის სამართალდამცველებმა ამოიღეს 800 კილოგრამზე მეტი მარიხუანა, რომლის ერთი ნაწილით უკვე დატენილი იყო „ზარბაზნის“ ყუმბარები. პოლიციელებმა დიდი რაოდენობით ტყვია-წამალიც ამოიღეს. დაკავებულების შესახებ ცნობები არ გაუვრცელებიათ.

# აშშ-ში ტერორისტები «გრინქარდით» შედიან

**ტერორიზმში ეჭვმიტანილი, სულ ცოტა, ექვსი კაცი ჩავიდა აშშ-ში Green Card-ის ლატარეით მოგებული ვიზის მეშვეობით.**

Fox News-ი პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს, რომ მათგან ერთ-ერთი, **საიფულო საიპოვი**, უზბეკეთის მოქალაქეა. ვარაუდობენ, რომ მან მოაწყო ნიუ-იორკში, მანჰეტენში ა.წ. 31 ოქტომბერს თავდასხმა, რომელსაც რვა ადამიანი ემსხვერპლა. საიპოვი აშშ-ში 2010 წელს ჩავიდა.

ტერაქტის შემდეგ ტრამპმა განაცხადა, თუ რა საშიშროების შემცველია ვიზების გათა-



მაშების პროგრამა, ეს ლატარია Green Card-ის (აშშ-ში მუდმივად მცხოვრების სტატუსის) მოპოვების საშუალებას აძლევს ბევრ შემთხვევით ადამიანს, მათ შორის, ტერორისტებსაც.

# CBC:კანადელებს დაჰპირდნენ, რომ ჰეროინის მოხმარება თავისუფლად შეეძლებათ

**კანადის ჯანდაცვის მინისტრმა, ქალბატონმა ჟინეტ პეტიპა ტეილორმა განაცხადა, რომ ქვეყნის მთავრობა განიხილავს საკითხს, ნება დართოს ამ ქვეყნის მოქალაქეებს, სამკურნალო დაწესებულებების მიღმა მოიხმარონ სხვადასხვა სახეობის ნარკოტიკები.**

მან აღნიშნა, რომ იმ სახეობის ნარკოტიკების მოხმარება, რომლებშიც ჰეროინიც შედის, ექიმებს მკურნალობის დამატებითი ვარიანტების გამოყენების შესაძლებლობას მისცემს. ტეილორმა დაუმატა, რომ ასეთ ნაბიჯს კანადა გადადგამს ქვეყანაში „ოპიოიდური ეპიდემიის“ წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. მაგალითად, განიხილავენ ნარკომანებისთვის რეცეპტებით ოპიოიდების მიყიდვის შესაძლებლობას. ვარაუდობენ, რომ ამით შემცირდება უხარისხო ნარკოტიკების მიღებით გამოწვეული სიკვდილიანობა.

კანადის მთავრობას განზრახული აქვს, განახორციელოს ინოვაციური პროექტები, რომელთა ფარგლებშიც ნარკომანებს მიაწვდიან ოპიოიდების გაცილებით უსაფრთხო ალტერნატივებს სპეციალურად საამისოდ გამოყოფილ ადგილებში. ასეთი პრაქტიკა უკვე ხორციელდება ვანკუვერსა და ოტავაში.

ამასთანავე, კანადის ხელისუფლება დაადგენს, ზედმეტად ხომ არ არის გართულებული ნარკოდამოკიდებულებისთვის მეტადონის მიცემის პროცედურა მათი მკურნალ-



ობის პროცესში. ტეილორმა კატეგორიულად უარყო იმის შესაძლებლობა, რომ ქვეყანაში განხორციელდება ნარკოტიკების სრული დეკრიმინალიზაცია.

2016 წლის სექტემბერში კანადის ჯანდაცვის სამინისტრომ დაადგინა, რომ ქრონიკულ ნარკომანებს შეუძლიათ ჰეროინის მიღება ექიმის რეცეპტით. ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ასეთი ნაბიჯებით შესაძლებელი გახდება, თავიდან აიცილონ ნარკოტიკების გადიდებული დოზების მიღებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევები.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ არმაზ სანებლიძეს დეიდაშვილის, კომპოზიტორ

ნათელა სვანიძის

გარდაცვალების გამო.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894